ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

პარასკევი, 26 ივლისი, 2013 №175 (6176) ფასი: 30 თეთრი

25 ივლისიდან!
„ახალი თაობა“
+
„მგლის ბილიკი“
6 ლარი




# „ამერიკელებმა ირაკლი ალასანია გვერდზე გასწიეს“



გვ.4

ვაშინგტონის დავალებით ნაციონალებს რესპუბლიკელები ჩაანაცვლებენ



## სანდრო ბრეგაძე: „ივანიშვილის ზურგს უკან ნაციონალებთან მოლაპარაკებები მიმდინარეობს“

გვ.2

ვის არ აწყობს ვადამდელი არჩევნები



## 28-ლარიან შემწეობას უფრო პოლიტიკური დატვირთვა აქვს გვ.4

## მამუკა გიორგაძე: „ქართული ოცნების“ ზოგიერთი წევრი უნდა დაისაჯოს“

გვ.5





## კახა კუკავა: „ხელისუფლებისა და ოპოზიციის ურთიერთობა საშიშ ზღვარს მიუახლოვდა“

გვ.3



გვ.6

ბიძინა ივანიშვილი: „ჩემთვის სასიამოვნო იქნებოდა, თუ კონდოლიზა რაისი მრჩევლობას იტვირთებდა“

გიორგი სანაიას მკვლელობიდან 12 წელი გავიდა



გვ.6



გვ.6

გზების მშენებლობისა და მოვლა-შენახვისთვის 68 მლნ ლარი დაიხარჯა

24 ივლისიდან!
„ახალი თაობა“
+
დარვინი
8 ლარი




ISSN 1987-9385
9 771987 938006

**2** მარიამ კოჩალიძის სავარაუდო მკვლელის ძებნაში ინტერპოლი ჩაერთო

**3** დავით უსუფაშვილმა პრეზიდენტის მიერ ვეტოდადებულ კანონს „მაუწყებლის შესახებ“ ხელი მოაწერა

**2** ირაკლი ღარიბაშვილმა მარიამ კოჩალიძის სავარაუდო მკვლელის დაკავების თხოვნით თურქ კოლეგას პირადად მიმართა

**6** „გადავარჩინოთ ქართველი ექიმები!“

# სანდრო ბრეგაძე: „ივანიშვილის ზურგს უკან ნაციონალებთან მოლაპარაკებები მიმდინარეობს“

## ვის არ აწყობს ვადამდელი არჩევნები

ნონა ცაბაძე

მოძრაობა ეროვნულების ლიდერი სანდრო ბრეგაძე არ გამორიცხავს, რომ წინასაარჩევნოდ ნაციონალებმა სხვადასხვა სახის პროვოკაციები მოაწყონ. „როგორც ყველა კრიმინალური ორგანიზაცია, ნაციონალური მოძრაობაც ეცდება, თავის გადარჩენისა და მოსახლეობის გამწარების მიზნით მსგავსი ქმედებები ჩაიდინონ“, — აცხადებს ბრეგაძე.

— იმ ფონზე, როდესაც როლანდ ახალაია ჭიქებს ესვრის სასამართლო შენობას და მას ამაზე არავინ არც აკავებს და არც პასუხს არ აგებინებს, ამ სადისტს და მანიაკ ადამიანს, რომელმაც მთელი საქართველოააწიოკა და წამებაში ამოხადა ადამიანებს სული და დღეს კი ასე თავხედობს, ასევე მის გვერდზე მყოფი ადვოკატი, ვინმე ონიანი, რომელიც ასევე სადიზმით არის განთქმული, ეს ერთუჯრედიანი, როდესაც იგინება სასამართლოში და მას არავინ არაფერს არ ეუბნება. როდესაც ნაციონალები ყველაფერს კადრულობენ და პასუხის გამცემი არავინ ჰყავთ, რა თქმა უნდა, ამ ფონზე, რეალურია ის, რომ ნაციონალებმა პროვოკაციები მოაწყონ. მოდით, ჩვენ ამ ყველაფრის მიზეზზე და მთავარ პრობლემაზე მივუთითოთ.

***— რა არის ეს მთავარი პრობლემა, ბატონო სანდრო?***

— პრობლემა ისაა, რომ დღეს ნაციონალების პოლიტიკიდან წასვლა გადაწყვეტილი არ არის და ნაციონალების წასვლას ხელს უშლიან ის პარტიები, რომლებიც უმრავლესობაში არიან. ჩემდა სამწუხაროდ, ეს ასეა. თუ არადა, გადახედეთ და ძალიან კარგად დაინახავთ, რომ ნაციონალებზე მეტად ამ პარტიის შენარჩუნებაზე ზრუნავს რესპუბლიკური პარტია და, სხვათა შორის, არა მარტო რესპუბლიკური პარტია, არიან სხვა ადამიანებიც, რომლებიც დღეს საპარლამენტო უმრავლესობაში არიან თავმოყრილნი. ეს ხალხი ბევრად უფრო კარგად გრძნობს თავს ნაციონალებთან ერთად, ვიდრე სხვა ოპოზიციურ პარტიებთან. ახლა ორჯერ ორი რომ ოთხია, ისევე არის თვალნათელი, რომ არა „ქართული ოცნების“ კოალიციაში შემავალი ზოგიერთი სუბიექტის ხელშეწყობა, ნაციონალური მოძრაობა უკვე აღარ იარსებებდა. სწორედ მათი ხელშეწყობით ხდება ნაციონალური მოძრაობის გადარჩენა და გადარჩენილია კიდეც ამ ეტაპზე. რეალობა ის არის, რომ პარლამენტის თავმჯდომარე ყველა თავისი ნაბიჯით ცდილობს, ხელოვნურად გაუხანგრძლივოს არსებობა ნაციონალურ მოძრაობას.

***— ბატონო სანდრო, საუბარია იმის თაობაზე, რომ სწორედ ასეთი დისკრედიტირებული ოპოზიცია აწყობს დღევანდელ ხელისუფლებას და ამიტომ ჰყავთ ასეთ სასათბურე პირობებში, რომ რაც შეიძლება დიდხანს იარსებონ.***

— მოდით, პირდაპირ ვთქვათ, დღევანდელი უმრავლესობა არ არის ერთგვაროვანი. იქ არის ბევრი ნორმალური და ჯანსაღად მოაზროვნე ადამიანი, მაგრამ არიან ადამიანები, რომლებიც, ვიწრო პარტიული ინტერესების გამო, სახელმწიფო ინტერესებს უგულებელყოფენ. მოდით, ჩვენ ეს დაყოფა აუცილებლად მოვახდინოთ და ერთ რამესაც გავუსვათ ხაზი, რომ თქვენს დასმულ კითხვაში არის რაციონალური მარცვალი. როდესაც ძალიან დაბალი რეიტინგი გაქვს და შენი იდეოლოგია მიუღებელია საქართველოს მოსახლეობის დიდი უმრავლესობისთვის, ამ შემთხვევაში მოწინააღმდეგედ გჭირდება დისკრედიტებული, განადგურებული პოლიტიკური ძალა, რომელზე უკეთესიც შენ იქნები. ახლა ფაქტი ფაქტად რჩება, რომ არა ბატონი ივანიშვილის მიერ რესპუბლიკელების მიერ ხელდასმა, რა თქმა უნდა რეს-



პუბლიკელები საპარლამენტო უმრავლესობაში ვერ იქნებოდნენ. ფაქტობრივად, ივანიშვილმა საქართველოს მოსახლეობას მისი ინტერესების საპირისპიროდ მოუყვანა რესპუბლიკელები ხელისუფლებაში. ეს ასე მოხდა და ნურავის ეწყინება, რომ მე ამის კონსტატაციას ვახდენ. დიახ, სწორედ ბიძინა ივანიშვილმა ხალხის ნების საწინააღმდეგოდ რესპუბლიკელები მოიყვანა ხელისუფლების სათავეში. თუ ეს ასე არ არის, ადგეს გინდ ერთი მხარე, გინდ მეორე და პასუხი გამცენ ამაზე, არის თუ არა ეს ასე. სინამდვილეში კი ყველამ იცის, რომ ეს ასეა. ამიტომ ჩვენ ყოველთვის ვიქნებით ძალიან რთული და, ხშირ შემთხვევაში, სამარცხვინო პროცესების მომსწრეები.

***— სამარცხვინო პროცესებში რას გულისხმობთ?***

— ჩვენ ცოტა ხანში მომსწრეები ვიქნებით იმისა, რომ კოალიციაში შემავალი ზოგიერთი სუბიექტისთვის ნაციონალური მოძრაობა უფრო ახლობელი პოლიტიკური ძალა იქნება, ვიდრე სხვა ოპოზიციური ძალები, რომელთან ერთადაც ისინი იბრძოდნენ გაერთიანებული ოპოზიციის პირობებში, სააკაშვილის რეჟიმის წინააღმდეგ. მე არ გამოვრიცხავ იმასაც, რომ გარკვეული დროის შემდგომ და ეს, ალბათ, დაემთხვევა ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლას და ანონსირებული აქვს ბატონ ივანიშვილს, რომ პოლიტიკიდან ის საპრეზიდენტო არჩევნების შემდგომ, მოკლე პერიოდში მიდის. მე არ გამოვრიცხავ, რომ ნაციონალური მოძრაობის შედარებით ლოიალურ ფრთასთან, ისეთები, როგორებიც არიან, მაგალითად, ჯაფარიძე, რატიანი და ასეთი ტიპის ლიდერები, მათთან ალიანსი შეკრას „ქართულ ოცნებაში“ შემავალმა ერთმა ან ორმა სუბიექტმა. მე მაქვს ამის ინფორმაცია, რომ გარკვეულწილად მიმდინარეობს ეს მოსამზადებელი პროცესი და ამ მოსამზადებელ პროცესში კონსულტანტის სახით აქტიურ მონაწილეობს გიგა ბოკერია. გარკვეული დროის შემდგომ ჩვენ შეიძლება მივიღოთ ნაციონალურ მოძრაობასთან არა კოჰაბიტირებული უმრავლესობის ერთი ან ორი პარტია, არამედ მასთან პოლიტიკურ ალიანსს გაფორმებული ოცნების კოალიციის ძალები. მე ამ შემთხვევაში ვსვამ ერთ ძალიან მარტივ და ლოგიკურ კითხვას — რომ გამოეცხადებინათ არჩევნების წინ იმავე რესპუბლიკელებს, რომ ქართული დემოკრატიის გადარჩენის ამოცანა არის ნაციონალური მოძრაობის შენარჩუნება, როგორ ფიქრობთ, რამდენ პროცენტს მიიღებდა ის კოალიცია, სადაც რესპუბლიკელები იქნებოდნენ?! მე პირდაპირ გეტყვით, რომ 5%-იან ბარიერს ვერ გადალახავდა. როდესაც შენ ამას არჩევნების წინ არ აცხადებ და არჩევნების შემდგომ თავზე მახვევ, ეს ნიშნავს, რომ მატყუებ, როგორც ამომრჩეველს და შენ ხარ მატყუარა და ნაციონალურ მოძრაობაზე უარესი, იმიტომ რომ, მოდიხარ ნაციონალური მოძრაობისგან გათავისუფლების ლოზუნგით, ნაციონალური მოძრაობის გასამართლების ლოზუნგით, ნაციონალური მოძრაობის პოლიტიკური სივრციდან წასვლის ლოზუნგით, მევაჭრები, იღებ ჩემს ხმას და შემდგომში მატყუებ, აკეთებ საპირისპიროს, გადარჩენილი გყავს ნაციონალური მოძრაობა და ხელიხელჩაკიდებული დადიხარ მასთან. აი, ამას ჰქვია დიდი ტყუილი და ტყუილი არავის ეპატიება ქვეყანაზე, გინდა კოალიციის წევრი იყოს და გინდა სინოდის!

***— ამბობენ, გამოსავალი ვადამდელი საპარლამენტო არჩევნებიაო, მაგრამ კოალიციაში შემავალი ეს პარტიები მხარს რამდენად დაუჭერენ ვადამდელ არჩევნებს?***

— პარტიებს, რომლებსაც 1%-იანი და 2%-იანი რეიტინგი არა აქვს და ბიძინა ივანიშვილმა მოჰკიდა კოსტიუმის საყელოში ხელი და დაგვისვა სკამზე, როგორც ხელისუფალი და თან მთელ საქართველოს ეზიზღება ეს პარტია! ზუსტად ამ სიტყვებით დაწერეთ — მთელ საქართველოს ეზიზღება ეს პარტია, მისი იდეოლოგია და ეს ძალით დასმული არის საქართველოს ხელისუფლების სათავეში, თქვენ როგორ ფიქრობთ, ეს პოლიტიკური ძალა ყველაფერს არ გააკეთებს იმისათვის, რომ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები არ დაინიშნოს?! რა თქმა უნდა, ყველაფერს გააკეთებს! და არა მარტო ის, იქ არის კიდევ ერთი-ორი წვრილი პარტია, ვითომ ეროვნულ და კონსერვატორულ ნიადაგზე მდგომი პარტიები, მათი მხილების დრო, მერწმუნეთ, უახლოეს ხანებში დადგება. ეროვნულობას ამოფარებული ფულზე გაგიჟებული მანქურთები რომ არიან. სწორედ ამაზე მაქვს საუბარი, რომ პარტიას, რომელსაც ერთი და ორპროცენტიანი ბარიერი არა აქვს, ბუნებრივია, ყველაფერს იზამს იმისთვის, რომ ვადამდელი არჩევნები არ დაინიშნოს. თქვენ როგორ ფიქრობთ ახლა, ახალი დემოკრატიული არჩევნები რომ დაინიშნოს, პარლამენტის თავმჯდომარე ვინმე რესპუბლიკელი იქნება?! ერთი წამითაც კი უშვებთ ამას?! მე მგონი, არც ერთი ჭკუათმყოფელი ამას არ უშვებს. ეს თავადაც კარგად იციან და რატომ დაკარგავენ სკამებს?! ესენი არიან კომკავშირელი კარიერისტები, რომლებმაც ბიძინა ივანიშვილის სახელით მიაღწიეს იმას, რასაც ყველაზე ლამაზ ფერად სიზმარშიც ვერ ინატრებდნენ. ეს ხალხი ყველაფერ გააკეთებს იმისათვის, რომ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები არ დაინიშნოს. არადა, ქვეყნისათვის გამოსავალი, რა თქმა უნდა, ვადამდელი არჩევნებია. საქართველოს მოსახლეობას უნდა მიეცეს თავისუფალი არჩევანის გაკეთების უფლება. საქართველოს მოსახლეობა, მგონი, იმსახურებს იმას, რომ არჩეული გვყავდეს ის პარლამენტი, რომელიც მისი ნების გამომხატველია. დღეს პოლიტიკურ ძალთა ბალანსი არ შეესაბამება იმ რეალობას, რომელიც საქართველოში არსებობს. მე ახლა არ დავიწყებ იმაზე საუბარს, კოალიციის რეიტინგი რამდენია სინამდვილეში, მაგრამ დღეს თუკი ვინმე ფიქრობს იმას, რომ დამნაშავე ნაციონალური მოძრაობა 40%-ის მფლობელია და 40%-ით უნდა იყოს საქართველოს პარლამენტში წარმოდგენილი, მაშინ რა ვილაპარაკო... აუცილებელია ვადამდელი არჩევნების ჩატარება, რომელსაც რესპუბლიკელები არავითარ შემთხვევაში არ ჩაატარებენ, იმიტომ, რომ ისინი დაკარგავენ იმ პრივილეგიებს, რომელიც მათ აქვთ. მათ აიწყვეს ცხოვრება, პარლამენტის თავმჯდომარე მათი კაცია, მისი მეუღლეც საკმაოდ კომფორტულ გარემოშია და, რაც ცხოვრებაში არ ღირსებია, ის ეღირსა. განათლების მინისტრის მოადგილედ კი დანიშნულია კაცი, რომელიც, პირდაპირ შემიძლია გითხრათ, საქართველოს ეროვნული ინტერესების მოწინააღმდეგეა. პარლამენტში აქვთ საკმაოდ დიდი ფრაქცია, საკრებულოებში გადმოიყვანეს ნაციონალური მოძრაობიდან ხალხი და გაიკეთეს ფრაქციები. მათი ერთ-ერთი ლიდერი უკვე ღიად აცხადებს, რომ სამი ვეშაპი მართავს ქვეყანას. რესპუბლიკელები უსუფაშვილის ფიგურას ივანიშვილის ფიგურას უთანაბრებენ და მათ ეს ყველაფერი მიიღეს აბსოლუტურად დაუმსახურებლად. დამსახურებულად მიღება იმას ნიშნავს, როდესაც ამ ყველაფერს მოსახლეობის ფართო მხარდაჭერით იღებ. როდესაც მოსახლეობის არანაირი მხარდაჭერა არა გაქვს, სამპროცენტიანი რეიტინგი არა გაქვს და ასეთ პრივილეგიებს იღებ, როგორ ფიქრობთ, ეს ადამიანები ასე მარტივად დათმობენ ამას და წავლენ სახლებში?! არავინ არსადაც არ წავა და ეს არის ჩვენი ტრაგედია, რომ დღევანდელი პარლამენტი, უმცირესობაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, რომელიც მოღალატეებითა და ავაზაკებით არის დაკომპლექტებული, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, უმრავლესობაში შემავალი ზოგიერთი პოლიტიკური სუბიექტი ადგას ნაციონალებთან ალიანსის შეკვრის გზას და, გარწმუნებთ, ეს გარდაუვალია!

***— გამოდის, რომ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები არ იქნება?***

— ვადამდელი არჩევნები, წესით, უნდა იყოს, მაგრამ ამას შეეწინააღმდეგებიან ეს რამდენიმეპროცენტიანი პარტიები, რომლებიც უმრავლესობაში არიან. ვადამდელი არჩევნები რომ არ დაინიშნოს, ამაში ნაციონალებისა და კოალიციის ზოგიერთი სუბიექტის ინტერესები ემთხვევა ერთმანეთს. ნაციონალებისა და რესპუბლიკელების ინტერესები უკვე ისედაც ბევრ საკითხში დაემთხვა ერთმანეთს და შეიძლება, დამნაშავე გასასამართლებელ პოლიტიკურ ძალასთან ამდენი ინტერესთა თანხვედრა გქონდეს? შენ იმ ძალას, რომელიც ქართველი ერის მხსნელის მანტიით მოხვედი და დღეს ნაციონალურ მოძრაობასთან ერთად საერთო ინტერესები გაქვს?! ამ ფაქტზე აუცილებლად უნდა გაამახვილოს საზოგადოებამ ყურადღება. ამას თქვენ გეუბნებით ექსკლუზიურად, უახლოეს ხანებში ანუ მაშინ, როდესაც პოლიტიკიდან წასვლის შესახებ განცხადებას გააკეთებს ბიძინა ივანიშვილი, მოხდება ნაციონალური მოძრაობის საკმაოდ დიდი ჯგუფისა და კოალიციაში შემავალი ორი სუბიექტის გაერთიანება, ე.წ. პროდასავლური კოალიციის სახით. ამ პროცესში და მის დაგვირგვინებაში ძალიან დიდ მონაწილეობას იღებენ გიგა ბოკერია და ასევე თავისუფლების ინსტიტუტის ძველი დამფუძნებლები და წევრები, რომლებიც დღეს კოალიციაში არიან. მე ვფიქრობ, ეს არის შეთქმულება ქართული სახელმწიფოებრიობისა და ქართველი ხალხის წინაშე! ეს უნდა იცოდეს ყველამ. მერე ისე არ გამოვიდეს, ურემი რომ გადაბრუნდება, გზა მერე გამოჩნდებაო. მე ამას წინასწარ ვაცხადებ და წინასწარ არის ამაზე რეაქცია გასაკეთებელი.

## ირაკლი ღარიბაშვილმა მარიამ კოჩალიძის სავარაუდო მკვლელის დაკავების თხოვნით თურქ კოლეგას პირადად მიმართა

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა, ბათუმში 16 წლის მარიამ კოჩალიძის სავარაუდო მკვლელის დაკავების საქმეში თანამშრომლობისთვის, თავის თურქ კოლეგას პირადად მიმართა. ამის შესახებ „ნიუსპრესს“ სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა ნინო გიორგობიანმა განუცხადა. შეგახსენებთ, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრომ, მარიამ კოჩილაძის მკვლელობის საქმე, მომხდარიდან 2 დღეში გახსნა. მკვლელობის გამოძიების მსვლელობისას დადგინდა სავარაუდო მკვლელის ვინაობა. გამოძიებისთვის ცნობილია, რომ აღნიშნული პირი 1985 წელს დაბადებული ირანის მოქალაქე მოჰამადამინ რუინთანია, რომელიც საქართველოში სარფის სასაზღვრო-გამშვები პუნქტიდან 23 ივნისს შემოვიდა და 22 ივლისს, 19.22 საათზე, საქართველოს ტერიტორია ასევე სარფის სასაზღვრო-გამშვები პუნქტის გავლით დატოვა. მარიამ კოჩალიძის მკვლელის ძებნაში უკვე ჩაერთო ინტერპოლი.

ნიუსპრესი

## მარიამ კოჩალიძის სავარაუდო მკვლელის ძებნაში ინტერპოლი ჩაერთო



ბათუმში, 16 წლის მარიამ კოჩალიძის სავარაუდო მკვლელის ძებნაში ინტერპოლი უკვე ჩაერთო. ამის შესახებ „ნიუსპრესს“ შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა ნინო გიორგობიანმა განუცხადა.

შეგახსენებთ, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრომ, მარიამ კოჩილაძის მკვლელობის საქმე, მომხდარიდან 2 დღეში გახსნა. მკვლელობის გამოძიების მსვლელობისას დადგინდა სავარაუდო მკვლელის ვინაობა. გამოძიებისთვის ცნობილია, რომ აღნიშნული პირი 1985 წელს დაბადებული ირანის მოქალაქე მოჰამადამინ რუინთანია, რომელიც საქართველოში სარფის სასაზღვრო-გამშვები პუნქტიდან 23 ივნისს შემოვიდა და 22 ივლისს, 19.22 საათზე, საქართველოს ტერიტორია ასევე სარფის სასაზღვრო-გამშვები პუნქტის გავლით დატოვა. გარდა ინტერპოლისა, აღნიშნული პირის დასაკავებლად შინაგან საქმეთა სამინისტრო თურქ კოლეგებთანაც თანამშრომლობს.

ნიუსპრესი

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# კახა კუკავა: „ხელისუფლებისა და ოპოზიციის ურთიერთობა საშიშ ზღვარს მიუახლოვდა“

ნათია ხურცილავა

წინასაარჩევნო გარემოს გაუმჯობესებაზე ზრუნვა კვლავ ერთ-ერთ პრიორიტეტად რჩება არასაპარლამენტო ოპოზიციისთვის. 12 არასაპარლამენტო ოპოზიცია კვლავ განაგრძობს საარჩევნო კოდექსთან დაკავშირებით შეხვედრებს. ამჯერად შეხვედრა ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში გაიმართა. ცესკოს თავმჯდომარე ზურაბ ხარატიშვილს გუშინ არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლები შეხვდნენ.

არასაპარლამენტო ოპოზიციის ლიდერები მიღწეული შეთანხმების დარღვევას აპროტესტებენ და ისინი ხელისუფლების წარმომადგენლებს მოუწოდებენ, საკითხს მიუბრუნდნენ.

შეხვედრას „ახალი მემარჯვენეების“, „ქრისტიან-დემოკრატების“, ედპ-ის, „დემოკრატიული მოძრაობისა“ და „ქართული დასის“ წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

როგორც ცესკოს თავმჯდომარე ზურაბ ხარატიშვილმა შეხვედრის დაწყებამდე განაცხადა, საუბარი შეეხება 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების წინასაარჩევნო გარემოსა და მისი გაუმჯობესების გზებს.

— შეხვედრაზე კონსტრუქციულ ფორმაში იქნება საუბარი, თუ რის გაკეთებას შეძლებენ საარჩევნო ადმინისტრაცია და პოლიტიკური პარტიები იმისათვის, რომ არჩევნებმა კარგად ჩაიაროს. ასევე საუბარი იქნება იმაზე, თუ როგორ უნდა გაიზარდოს არასაპარლამენტო პოლიტიკური პარტიების ჩართულობა საარჩევნო ადმინისტრაციაში, რათა მათაც აქტიური მონაწილეობა მიიღონ არჩევნების პროცესში. ისე, ყველა კანდიდატს ჰყავს თავისი წარმომადგენელი. მათ შეუძლიათ, უფრო აქტიური ფორმატით იყვნენ ჩართული, — განუცხადა ჟურნალისტებს ხარატიშვილმა.

არასაპარლამენტო ოპოზიცია, როგორც მათ ჩვენთან საუბარში განაცხადეს, საარჩევნო გარემოსთან დაკავშირებით პრემიერ-მინისტრისგან რეაგირებას კვირის ბოლომდე დაელოდება.

როგორც „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერმა კახა კუკავამ ცესკოში გამართული შეხვედრის დასრულების შემდეგ განაცხადა, აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ არასაპარლამენტო პარტიები შეეცდებიან, პროცესში საერთაშორისო საზოგადოება ჩართონ.

— ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის საარჩევნო საკითხებზე მიმდინარე პროცესი საშიშ ზღვარს მიუახლოვდა. პარტიებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების დიდი ნაწილი უკვე აცხადებს, რომ არჩევნების შედეგებს არ ენდობა. არ მინდა, რომ საქართველოს მომავალ პრეზიდენტს უცხოეთში ვიზიტისას ეკითხებოდნენ, რამდენად აქვს მას ქართველი ხალხის მანდატი. თუ არჩევნები ამ კოდექსის პირობებში ჩატარდება, საქართველოს „ქართული ოცნების“ პრეზიდენტი ეყოლება და საარჩევნო გარემოს გამოსასწორებლად მცირე დრო რჩება, თუმცა პარლამენტისგან არავითარი მოლოდინი არ არის, რომ ის რაიმე გადაწყვეტილება მიიღებს. კვირის ბოლომდე დაველოდებით პრემიერს, რათა გადაწყვეტილება მიიღოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, საერთაშორისო ორგანიზაციებთან აქტიურ მუშაობას დავიწყებთ, — განაცხადა კახა კუკავამ.



კახა კუკავამ გუშინ 12 პარტიის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტის შინაარსზე ისაუბრა.

— პარლამენტის კანცელარიაში, დავით უსუფაშვილთან ინახება დოკუმენტი, რომელსაც 12-მა პარტიამ ხელი მოაწერა. ზაქარია ქუცნაშვილი ცრუპენტელაა და მნიშვნელობა არ აქვს, მან რა თქვა, — განაცხადა „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერმა.

კუკავას მტკიცებით, პარტიებისთვის განკუთვნილი მილიონების შესახებ მემორანდუმში საუბარი არ არის. მისი ინფორმაციით, „ქართულმა ოცნებამ“ 2.1 მილიონი ლარის ოდენობით მიმდინარე დაფინანსების გამოყოფა მოითხოვა, ხოლო „ნაციონალურმა მოძრაობამ“ დამატებით — 1.8 მილიონი ლარი.

რაც შეეხება სხვა სუბიექტებს, როგორც კუკავა ამბობს, საუბარია იმის შესახებ, რომ თუკი პრეზიდენტობის რომელიმე კანდიდატი 10%-იან ზღვარს გადალახავს, მან შეიძლება სახელმწიფო ბიუჯეტიდან მაქსიმუმ ერთი მილიონი ლარი მიიღოს. კუკავას განმარტებით, თუ კანდიდატმა ზღვარი გადალახა, მაგრამ საარჩევნო კამპანიის დროს 600 ათასი ლარი დახარჯა, მას მხოლოდ ეს თანხა აუნაზღაურდება.

— ეს წინადადება „ქართული ოცნებიდან“ მოდიოდა და ჩვენ დავეთანხმეთ, — აღნიშნავს კახა კუკავა.

ერთ კვირაში არასაპარლამენტო ოპოზიცია დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს შეხვდება და წინასაარჩევნოდ არსებულ მდგომარეობას გააცნობს.

ამის შესახებ „ქართული დასის“ ლიდერმა ჯონდი ბაღათურიამ არასაპარლამენტო პარტიებისა და ცენტრალური საარჩევნო კომისიის წარმომადგენლების შეხვედრის დასრულების შემდეგ განაცხადა.

— დაახლოებით ერთ კვირაში ჩვენ შევხვდებით დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს, რათა შექმნილი მდგომარეობა გავაცნოთ და არადემოკრატიული და არასამართლიანი საარჩევნო გარემოს შესახებ ინფორმაცია გავიდეს ქვეყნის ფარგლებს გარეთ. ჩვენ გვჭირდება საერთაშორისო და საზოგადოებრივი აზრის ზეწოლა, რათა სამართლიან არჩევნებს მივაღწიოთ. ჩვენ ვითხოვთ სამართლიან გარემოსა და ლეგალურად არსებობის საშუალებას, — განაცხადა ჯონდი ბაღათურიამ.

„ქრისტიან-დემოკრატების“ ერთ-ერთი ლიდერის გიორგი ახვლედიანის განცხადებით, საარჩევნო ადმინისტრაცია „ქართულ ოცნებასა“ და ნაციონალურ მოძრაობას შორის არის გადანაწილებული და ისინი, ალბათ, არჩევნებსაც გადაინაწილებენ.

— სისულელეა თითქოს იმაზე საუბარი, რომ რომელიმე არასაპარლამენტო პოლიტიკური პარტია წინასწარ მილიონიან დაფინანსებას ითხოვს. დღევანდელ შეხვედრაზე სამ მნიშვნელოვან საკითხზე მქონდა საუბარი, პირველ რიგში, ერთმნიშვნელოვნად სიცრუეა, თითქოს რომელიმე არასაპარლამენტო პარტია ერთი მილიონი ლარის წინასწარ გადარიცხვას ითხოვს. დაფინანსების თემაზე ისე გვატირეს „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებმა, ცალკე ქუცნაშვილმა და ცალკე უსუფაშვილმა, თითქოს ამით ყველაზე მეტად თავად დაზარალდნენ, ლამის ვიფიქრეთ, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფთა სიაში ხომ არ შეგვეყვანა „ქართული ოცნების“ კოალიცია და მათი ლიდერები?! გარდა ამისა, საარჩევნო ადმინისტრაცია გადანაწილებულია „ქართულ ოცნებასა“ და ნაციონალურ მოძრაობას შორის და, ალბათ, ისინი არჩევნებსაც გადაინაწილებენ და ქვეყანასაც. მესამე მნიშვნელოვანი საკითხი არის ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების უფლება, რაც გულისხმობს გუბერნატორების მონაწილეობას წინასაარჩევნო კამპანიაში. ეს ჯერ კიდევ ნაციონალურმა მოძრაობამ დააკანონა. ამას თავის დროზე აპროტესტებდა მაშინდელი ოპოზიცია, დღეს კი ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ყურს აღარ იბერტყავენ, — განაცხადა გიორგი ახვლედიანმა.

„ახალი მემარჯვენეების“ ერთ-ერთი ლიდერის მანანა ნაჭყებიას განცხადებით, მმართველმა გუნდმა არასაპარლამენტო პარტიებთან შეთანხმება დაარღვია.

ამის შესახებ ნაჭყებიამ ცესკოს თავმჯდომარესთან არასაპარლამენტო პარტიების წარმომადგენლების შეხვედრის დაწყებამდე განაცხადა.

— ძალიან ცუდია, როდესაც პირველივე ჯერზე არასაპარლამენტო ოპოზიციასა და ახალ ხელისუფლებას შორის მიღწეული შეთანხმება დარღვეულ იქნა. ხელისუფლებას მოვუწოდებ, მიუბრუნდეთ ამ საკითხს. არ არის მხოლოდ საუბარი პარტიების დაფინანსებაზე, თუმცა, ესეც ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია. საუბარია წინასაარჩევნო რეკლამის თემაზე და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე. რაც შეეხება გამართულ შეხვედრას ცესკოს თავმჯდომარესთან, ვინაიდან ცესკო წარმართავს არჩევნების პროცესს, ამიტომ მნიშვნელოვანია, მათგანაც გავიგოთ, რა ხედვები აქვთ საარჩევნო კოდექსში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით. გარდა ამისა, კიდევ ერთხელ მივმართავ მმართველ გუნდს და შევახსენებ, რომ პირველ ჯერზე მათ დაარღვიეს არასაპარლამენტო ოპოზიციასთან მიღწეული შეთანხმება, — განაცხადა ნაჭყებიამ და ხელისუფლებას მოუწოდა, ამ თემას კვლავ დაუბრუნდნენ, — განაცხადა ნაჭყებიამ.

„ეროვნულ-დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერ ბაჩუკი ქარდავას განცხადებით, შეთანხმების დარღვევა არაეთიკური საქციელია.

— ბევრი საკითხი და შეთანხმება, რომელიც მიღწეული იყო დღევანდელ ხელისუფლებასთან, სამწუხაროდ, ირღვევა, რადგან ხელისუფლებამ მის სრულად შესრულებაზე უარი განაცხადა. საუბარი არ არის მხოლოდ დაფინანსებაზე. რატომღაც წინა პლანზე აქვთ დაყენებული დაფინანსების საკითხი და მხოლოდ მას გამოყოფენ. ძალიან ბევრი საკითხია, რომელიც მხოლოდ ნაწილობრივ არის შესრულებული. საერთოდ, როდესაც შეთანხმებას აღწევ, შემდეგ მეორე მხარის მიერ ამ შეთანხმების დარღვევა არაეთიკურია, — აცხადებს ქარდავა.

ცესკო არასაპარლამენტო პარტიებს სთხოვს, მაქსიმალურად შეიკავონ თავი ისეთი მწვავე განცხადებებისგან, რომლებიც საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ არჩევნების ჩატარების ლეგიტიმაციის საკითხს ეჭვქვეშ დააყენებს.

ცესკოს სპიკერმა ეკა აზარაშვილმა არასაპარლამენტო პარტიების წარმომადგენლებთან შეხვედრის შემდეგ ჟურნალისტებთან კომენტარი გააკეთა.

აზარაშვილის თქმით, შეხვედრაზე ცესკოსა და არასაპარლამენტო პარტიებს შორის თანამშრომლობის საკითხი განიხილეს. როგორც მან აღნიშნა, შეხვედრები ორ კვირაში ერთხელ ან, თუ საჭირო გახდება, უფრო ხშირად გაიმართება.

## დავით უსუფაშვილმა პრეზიდენტის მიერ ვეტოდადებულ კანონს „მაუწყებლის შესახებ“ ხელი მოაწერა



საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა, პარლამენტის მიერ ვეტოდაძლეულ კანონს, „მაუწყებლობის შესახებ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და მის თანამდევ კანონებს – ხელი მოაწერა. ამის შესახებ ცნობილი ბიუროს გუშინდელ სხდომაზე გახდა.

გუშინვე, ხელი მოეწერა კანონპროექტს — „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

როგორც ბიუროზე განმარტეს, პარლამენტის თავმჯდომარემ კანონებზე ხელმოწერისას საქართველოს კონსტიტუციის 68-ე მუხლით მისთვის მინიჭებული უფლება გამოიყენა, რომლის თანახმად, თუ პრეზიდენტი დადგენილ ვადაში არ აქვეყნებს პარლამენტის მიერ მიღებულ კანონს, მას ხელს აწერს და აქვეყნებს პარლამენტის თავმჯდომარე.

დავით უსუფაშვილის განცხადებით, კანონები „საკანონმდებლო მაცნეს“ დღესვე გადაეგზავნება და გამოქვეყნდება.

ნიუსპრესი

## საქართველოსა და ნიგერიას შორის ურთიერთგაგების მემორანდუმი გაფორმდა

საქართველოსა და ნიგერიას შორის, საგარეო საქმეთა სამინისტროში გუშინ ურთიერთგაგების მემორანდუმი გაფორმდა.

დოკუმენტს ხელი, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე დავით ჯალაღანიამ და ნიგერიის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ ვიოლა ონვულირმა მოაწერეს.

„მე მჯერა რომ დღეს ისტორიულ ფაქტს ჰქონდა ადგილი. ბედნიერი ვარ ჩვენს ქვეყნებსა და ხალხებს შორის თანამშრომლობით. მადლობა ქართველ ხალხს და ჩემ ძმას დავით ჯალაღანიას“ — განაცხადა ჟურნალისტებთან ნიგერიის წარმომადგენელმა.

ნიგერია-საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობების პერიოდში, ეს ოფიციალური ვიზიტის პირველი შემთხვევაა.

მედიანიუსი

## იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-გასაღების ბრალდებით ერთი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს კონტრტერორისტული ცენტრის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1971 წელს დაბადებული გია ე., ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვისა და გასაღების მცდელობის ბრალდებით თბილისში დააკავეს. შს სამინისტროს ინფორმაციით, სამართალდამცველებმა დაკავებულის დროებითი საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას, „ა-კა-ემ“-ის მოდელის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, „მაკაროვი“-ს ტიპის პისტოლეტი, ორი მჭიდი და 7 საბრძოლო ვაზნა ამოიღეს.




გამოძიებამ დაადგინა, რომ წარსულში გია ე., იარაღის მართლსაწინააღმდეგო ტარების და განზრახ მკვლელობისთვისაა ნასამართლევი. იგი 2008 წლის 20 ოქტომბერს საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით იყო შეწყალებული.

გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის და გასაღების მცდელობის ფაქტზე, სსსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და 19-236-ე მუხლის მე-3 ნაწილით მიმდინარეობს.

ნიუსპრესი

## პროსტიტუციისთვის ადგილის გამოყოფის ბრალდებით რამდენიმე ადამიანი დააკავეს

ბათუმის საქალაქო სამმართველოს ცენტრალური აპარატისა და ბათუმის საქალაქო სამმართველოს 1-ლი, მე-2, მე-3, მე-4 და მე-7 განყოფილების თანამშრომლებმა, ბათუმში, რამდენიმე ადგილას ერთდროულად ჩატარებული ოპერატიული-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, პროსტიტუციისთვის ადგილის გამოყოფის ბრალდებით სამი სხვადასხვა სასტუმროს და ერთი კაფე-ბარის დროებითი მფლობელები, იქ მომუშავე რამდენიმე პირი და ასევე, ერთ-ერთი ბინის მეპატრონე დააკავეს. დაკავებული არიან ბათუმის აეროპორტის გზატკეცილზე მდებარე სასტუმრო „ელეგანტი“-ს დროებითი მფლობელი — 1990 წელს დაბადებული თურქეთის მოქალაქე ბურთან ე., ამავე სასტუმროს დირექტორი — 1974 წელს დაბადებული გიორგი მ. და ადმინისტრატორი — 1966 წელს დაბადებული ანასტასია ხ., ასევე, სასტუმროს თანამშრომელი — 1974 წელს დაბადებული თურქეთის მოქალაქე გუმუტ კ.

დააკავეს ასევე ბათუმში, რურუას ქუჩაზე მდებარე სასტუმრო „ნინი“-ს მფლობელი — 1979 წელს დაბადებული ირანის რესპუბლიკის მოქალაქე მაჰმუდ ა., სასტუმრო „იქსი“-ს მფლობელი — 1965 წელს დაბადებული, პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფი ინგა ბ., რომელიც წარსულში იგივე დანაშაულისთვისაა ნასამართლევი.

სამართალდამცველებმა ასევე დააკავეს კონსტანტინე გამსახურდიას ქუჩაზე მდებარე კაფე-ბარის დროებითი მფლობელი, 1970 წელს დაბადებული ძაბული ვ. იგი კაფე-ბარის მე-2 სართულზე მდებარე ოთახს პროსტიტუციისთვის აქირავებდა.

დაკავებულია ბათუმში, ჯავახიშვილის ქუჩაზე მცხოვრები, 1954 წელს დაბადებული ტანია პ.-ც, რომელიც საკუთარ საცხოვრებელ ბინას პროსტიტუციაში ჩართულ პირებს ფულის სანაცვლოდ უთმობდა. გამოძიების ფარგლებში, აღნიშნულ დაწესებულებებში მომუშავე 30-მდე ქალბატონი და ტანია პ-ს მეზობლები მოწმის სტატუსით დაიკითხნენ. გამოძიება პროსტიტუციისთვის ადგილის გამოყოფის ხუთივე ფაქტზე, სსსკ-ის 254-ე მუხლით მიმდინარეობს.

მედიანიუსი

## საზღვარგარეთ მყოფი საქართველოს მოქალაქე არჩევნებთან დაკავშირებით საკონსულო აღრიცხვაზე 6 ოქტომბრამდე უნდა დადგეს

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო საზღვარგარეთ მყოფ საქართველოს მოქალაქეთათვის საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით ინფორმაციას ავრცელებს.

სამინისტროს განმარტებით, საზღვარგარეთ მყოფ საქართველოს მოქალაქეს, რომელსაც სურს არჩევნებში მონაწილეობის მიღება, უნდა დადგეს საკონსულო აღრიცხვაზე (თუ უკვე არ იმყოფება) 2013 წლის 6 ოქტომბრის ჩათვლით, ან გაიაროთ რეგისტრაცია საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობაში/საკონსულო დაწესებულებაში ან საზღვარგარეთ შექმნილ საუბნო საარჩევნო კომისიაში. საკონსულო აღრიცხვაზე დადგომა საკმაოდ მარტივი პროცედურაა და მისი განხორციელება შესაძლებელია:

საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობაში/საკონსულო დაწესებულებაში გამოცხადებით ან საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობაში/საკონსულო დაწესებულებაში საფოსტო გზავნილის მეშვეობით შესაბამისი დოკუმენტაციის გაგზავნით. ორივე შემთხვევაში საკმარისია მხოლოდ განცხადება-ანკეტის წარმოდგენა. არ მოითხოვება რაიმე დამატებითი დოკუმენტის წარმოდგენა.

მედიანიუსი

2013, 26 ივლისი, №175

# „ამერიკელებმა ირაკლი ალასანია გვერდზე გასწიეს“

## ვაშინგტონის დავალებით ნაციონალებს რესპუბლიკელები ჩაანაცვლებენ

შორენა მარსაგიშვილი

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილისაგან უცნაური მოქცევა აღარავის უკვირს. ბოლო ხანებში კი მისი ქცევები და განცხადებები განსაკუთრებით უცნაური გახდა. 26 მაისთან დაკავშირებით მის მიერ გაკეთებულმა განცხადებამ დიდი ამბები გამოიწვია. პოლიტიკური პარტია „თეთრების“ ლიდერი თემურ შაშიაშვილი უკვე კარგა ხანია ამბობს, რომ პრეზიდენტი ამერიკას აშანტაჟებს. შაშიაშვილის მტკიცებით, პრეზიდენტის ბოლო განცხადებაც ამ მიზნით გაკეთდა.

შაშიაშვილის განცხადებით, დასავლეთს უკვე დიდი ხანია აღარ აწყობს სააკაშვილი, მაგრამ მისი უმტკივნეულოდ გაშვება სურთ. ნაციონალების შემცვლელებიც უკვე გამოუძებნიათ. „თეთრების“ ლიდერი წუხს, რომ ბიძინა ივანიშვილიც იმას აკეთებს, რასაც ამერიკელები უკვეთავენ. შაშიაშვილი იმის გამოც შეშფოთებულია, რომ ქვეყანა ზეპოლიტიზებულია. მისი თქმით, სწორედ ესაა იმის მიზეზი, რომ ქვეყანაში დემაგოგი პოლიტიკოსები მომრავლდნენ. „თეთრების“ ლიდერის განცხადებით, ასეთი პოლიტიკოსებით და პარტიებით საქართველოს მომავალი არა აქვს.

რა მიზნებს ემსახურება სააკაშვილის განცხადებები, ვინ და რატომ მოსწონთ ამერიკელებს, ვის არ სწყალობს ივანიშვილი და რატომ არ უწერია ამ პოლიტიკოსების ხელში საქართველოს აყვავება, ამის შესახებ „თეთრების“ ლიდერი „ახალ თაობას“ ესაუბრება.

**თემურ შაშიაშვილი:**

საქართველოში მოხდა საზოგადოების ზეპოლიტიზება. დიდი და პატარა მხოლოდ პოლიტიკაზე საუბრობს. სადაც არ უნდა წახვიდე, ყველგან პოლიტიკაა განხილვის საგანი. ეს არის დამანგრეველი. როცა პოლიტიკასთან დაკავშირებულ ადამიანთა რაოდენობა მოსახლეობის 20%-ს აღწევს, ეს ნებისმიერი ქვეყნისთვის საშიშია. მიმაჩნია, რომ აუცილებელია პოლიტიკური სისტემის რეფორმა, რადგან ქვეყანაში შექმნილი უმძიმესი მდგომარეობა სწორედ აქ გაბატონებულმა ავადმყოფმა პოლიტიკურმა სისტემამ წარმოშვა. ავადმყოფი სისტემა კი ანდამატივით იკრებს ავადმყოფური აზროვნების ადამიანებს, რომელთა რაოდენობამ კრიტიკულ ზღვარს გადააჭარბა პოლიტიკაში. ეს ის ზღვარია, რომელიც ებრძვის და ამარცხებს ძლიერს და ზედაპირზე ამოჰყავს სუსტი. ღმერთმა ქნას, მე ვცდებოდე, მაგრამ ეჭვი მეპარება, რომ ქვეყანაში მოქმედი პოლიტიკური პარტიებისა და პოლიტიკოსების პირობებში ვიფიქროთ ქვეყნის დიდ მომავალზე. ვერც ერთი ქვეყანა ვერ გაუძლებდა გარედან მართულ პოლიტიკური პარტიების და პოლიტიკოსების ასეთ რაოდენობას; ვერც ერთი ქვეყანა ვერ გაუძლებდა ასეთ აგრესიულ და დემაგოგიურ პოლიტიკურ პროცესებს და ასეთ დემაგოგ და აგრესიულ პოლიტიკოსებს. ნაცვლად იმისა, რომ პოლიტიკოსები ბოდიშს ვიხდიდეთ მოსახლეობის წინაშე, მეტი მოკრძალება გვქონდეს ხალხის მიმართ, ყველა ამბობს, რომ ის არის მართალი, „მე ხომ ვამბობდი“, ეს



გამოთქმა ხშირად ისმის პოლიტიკოსთაგან, თუ ყველა მართალია, რატომაა ქვეყანაში ასეთი სიტუაცია?

პოლიტიკოსებმა კარგად ისწავლეს ხალხის ენაზე საუბარი, კარგად ისწავლეს ისეთი პოზის დაჭერა, თითქოს უსმენენ ხალხს, მაგრამ აშკარაა, რომ პოლიტიკოსთა აბსოლუტურ უმრავლესობას არ ესმის ხალხის. დემაგოგიის მწვერვალია, როცა ხალხის ენაზე ლაპარაკობ, თითქოს უსმენ ხალხს, მაგრამ აბსოლუტურად არ გესმის ხალხის.

გავიხსენოთ: „მოქკავშირი“ საარჩევნოდ გვპირდებოდა ერთი მილიონი სამუშაო ადგილის შექმნას. ეს იყო ხალხის მოტყუება ხელისუფლებაში სკამების მოპოვების მიზნით, შედეგად მივიღეთ მილიონი უმუშევარი ქვეყანაში და მილიონზე მეტი შრომისუნარიანი საქართველოს მოქალაქე გასული ქვეყნის გარეთ საკუთარი და ახლობლების სიცოცხლის გადასარჩენად.

გაცილებით აგრესიული დემაგოგიური პროცესი დაიწყო 2003 წლის შემდგომ „ნაცმოძრაობის“ მიერ. კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა და სიღარიბის დაძლევა – ამ დაპირებებით მოვიდა მიხეილ სააკაშვილი ხელისუფლებაში. 9-წლიანი მმართველობა კი დაასრულა საქართველოს მოსახლეობის გენოციდით და ელიტური კორუფციის არნახული მასშტაბებით. დანგრეული ქვეყანა – ეს არის პოლიტიკოსთა და პოლიტიკურ პარტიათა აგრესიული დემაგოგიური პოლიტიკის შედეგი. სამწუხაროა, რომ ეს პროცესი გრძელდება და კიდევ უფრო მეტ მასშტაბებს იძენს. დრო არ ითმენს, დღეს სრულიად სხვა ფილოსოფიისა და განზომილების, მომავალზე ორიენტირებული პროცესია საჭირო ქვეყანაში.

***– კონკრეტულად რა უნდა გაკეთდეს?***

– ჩემი აზრით, აუცილებელია შეიქმნას პოლიტიკურ პარტიათა კვლევის სერიოზული ცენტრი. ქვეყანას სჭირდება პოლიტიკოსად აღიარების ნათელი სისტემა, ქვეყანას სჭირდება პოლიტიკური პარტიების საქმიანობის შეფასების ნათელი კრიტერიუმები. პოლიტიკოსისა და პოლიტიკური პარტიის შეფასების კრიტერიუმად არჩევნებზე მოპოვებული ხმების აღიარება დემაგოგური და აგრესიული პოლიტიკის შედეგი უფროა, ვიდრე მათი პარტიის რეალური წონის შედეგი. დღეს საქართველოში წონა აქვს არა პოლიტიკურ გონებას, არამედ პოლიტიკურ ემოციასა და აგრესიას. დღეს საქართველოში წონა აქვთ დემაგოგიურ პოლიტიკურ ძალასა და პოლიტიკოსებს. სწორედ ამ მდგომარეობამ გადააწყვეტინა ცნობილ მეცნიერთა ერთ ჯგუფს მეცნიერთა „სადისკუსიო დარბაზი“ დაფუძნება და მეცნიერთა მეორე ჯგუფს, ეფიქრა „პოლიტიკოსთა ცხოვრების წიგნის“ გამოცემაზე. სწორად ამბობენ მეცნიერები – იმაზე კი არ უნდა ვწეროთ, ვინ ვინაა პოლიტიკაში, რაც დითირამბები და ქება-დიდება უფროა, არამედ იმაზე, თუ ვინ რა არის პოლიტიკაში და რეალურად ვის რა წონა აქვს პოლიტიკაში, ისეთ წიგნზე, რომელიც იტყვის, რომ „ვინც არა ჰგავს კახაბერსა, ვერ იტყვის კახაბრობას“. მე კარგად მესმის ჩემი განცხადების სიმძიმე, ვიცი, რომ მას პოლიტიკოსთა არც ერთ წრეში, არ ექნება მხარდაჭერა, ან, თუ იქნება, პოლიტიკოსების ძალიან მცირე ნაწილში. შეიძლება ბევრი ამ იდეას ხიშტითაც შეხვდეს. იქნება იგნორირება, თითქოს არაფერი თქმულა, ან, შესაძლოა, მოხდეს კატეგორიული უარყოფა ყველაფერი იმისა, რაზეც ვსაუბრობ. მაგრამ, დე, ხალხმა და მომავალმა შეაფასოს. მე კი ვფიქრობ, რომ უაღრესად მტკივნეულ, უმთავრეს და უპირველეს თემას შევეხე. ამის გარდა, კარგი იქნება, თუ გვეცოდინება, რას ამბობდნენ ეს პოლიტიკოსები საქართველოს დამოუკიდებლობაზე, სამოქალაქო ომზე, დსთ-ში შესვლაზე, ნულოვან ვარიანტზე და ა.შ. კარგად მახსოვს, გია ბარამიძე რა დღეში იყო, საქართველოს დსთ-ში შესვლის საკითხი რომ წყდებოდა. იქაურობა დაანგრია, იქ უნდა შევიდეთო. ახლა ეს ადამიანი გამოდის და რუსეთს ლანძღავს. ასევე მახსოვს ის ხალხი, რომლებმაც 1991 წელს რკინიგზა გადაკეტეს.

***– ზვიად ძიძიგურზე საუბრობთ?***

– ყველას ახსოვს ის ადამიანი. ამბობდა, რუსეთის ეკონომიკა უნდა დავაქციოთო. შედეგად რა მივიღეთ? ქართული ეკონომიკა რუსეთმა ჩაიგდო ხელში.

***– მაინც, როგორი უნდა იყოს პოლიტიკოსი?***

– ჩვენთან პოლიტიკოსების 99%-ს პოლიტიკოსი არ უნდა ერქვას. მთავარი ამოცანა, მგონი, ასეთი ხალხისგან პოლიტიკის გაწმენდაა. ილია ჭავჭავაძე ამბობდა, პოლიტიკოსი საკუთარი აზრებითა და ხალხის გრძნობებით უნდა ცხოვრობდესო. პლატონი და არისტოტელე ჯერ კიდევ როდის ამბობდნენ, ხალხის ენაზე მოლაპარაკე პოლიტიკოსები ქვეყნის დაღუპვააო. პოლიტიკოსი არის ის პიროვნება, რომელიც ხალხზე მაღლა დგას, მაგრამ ხალხს მაღლიდან არ უყურებს. ხალხთან კი არ ჩამოდის, არამედ ხალხი აჰყავს თავისთან. ჩვენ ასეთი პოლიტიკოსები არ გვყავს. სამწუხაროდ, ჩვენთან პოლიტიკოსებად ინიშნებიან. ყველაზე ცუდი ის არის, რომ ეს გარედან ხდება. აბა, დავაკვირდეთ, ვინ არიან დღეს ხელისუფლებაში? ეს ის ხალხია, რომლებმაც თავის დროზე მოიყვანეს შევარდნაძე და შემდეგ დაამხეს ის. ეს ის ხალხია, რომლებმაც შექმნეს სააკაშვილი. სააკაშვილის შემქმნელები დღეს პარლამენტში არიან.

***– ვინ გყავთ მხედველობაში?***

– რესპუბლიკელები. აბა, კარგად გავიხსენოთ, ვინ დააფუძნა ნაციონალური მოძრაობა. მე ხომ არ შემიქმნია ეს პარტია. როცა სააკაშვილს ვაკრიტიკებდი, მლანძღავდნენ, ეს საქართველოს მომავალია და ვისზე ლაპარაკობთ ცუდსო. დღეს ისინი ჭკუას მასწავლიან. სამწუხაროა, რომ საქართველოში პოლიტიკოსები არიან დანიშნული. საქართველოს გარდა, ქვეყანას ვერ ნახავთ, სადაც პოლიტიკოსად აღიარება ხდება. მე არ მესმის, რატომ უნდა აღიარო პოლიტიკოსად ადამიანი მხოლოდ იმიტომ, რომ პარტია შექმნა.

***– ეს საკმარისი არ არის?***

– ბუნებრივია, არ არის საკმარისი. მსოფლიომ არ იცის პოლიტიკოსი, რომელსაც სადმე, კონკრეტულ საქმეზე არ უმუშავია და ხალხს არ უნახავს, რას წარმოადგენს ის საქმეში.

***– ჩვენთან ასეთები მართლაც ბლომად არიან***

– 99%-ს წარმოადგენენ ასეთი პოლიტიკოსები. ყველამ დაიწყო პოლიტიკოსობა და ცხოვრობენ კარგად. პოლიტიკა აქციეს ბიზნესად. როგორ შეიძლება, ფუფუნებაში ცხოვრობდე, როცა პოლიტიკის იქით არაფერი გიკეთებია და პოლიტიკური განათლებაც არა გაქვს. პარტიად არ ვთვლი იმ პარტიას, რომელიც ქვეყნის გარედან იმართება. სამწუხაროდ, პარტიების უმეტესობა იმართება ქვეყნის გარედან. მათ რიგებში ბევრი გულანთებული პატრიოტია, მაგრამ პარტიის თავები გარედან იმართებიან.

***– იქნებ დაასახელოთ ეს პარტიები?***

– პირველ რიგში – რესპუბლიკელები. ამერიკელებს უნდათ, რომ ნაციონალები რესპუბლიკელებით ჩაანაცვლონ. ივანიშვილი ყველაფერს აკეთებს ამისათვის. ალასანიაც ამერიკელების კაცად ითვლებოდა, მაგრამ ბოლო დროს აღარ მოსწონთ და ტექნიკურად გასწიეს გვერდზე. ფორუმსაც კი ფერი დააკარგვინეს. რიგითი ფორუმელები და კონსერვატორები უკვე ხმამაღლა ჩივიან, ამას რას გვიშვრებიან, ფაქტიურად, გაგვარესპუბლიკელესო. მძიმე განწყობაა კოალიციაშიც, არ უნდათ, რომ ყველას თავზე რესპუბლიკური პარტია დააჯდეს.

***– რაში აწყობს ეს ივანიშვილს?***

– ივანიშვილს, შეიძლება, არ აწყობს, მაგრამ ასე აწყობს ამერიკას. ივანიშვილი კი მათი მითითებებით მოქმედებს. თუ დააკვირდებით, ის მხოლოდ იმათ ხვდება, ვინც ამერიკელებს მოსწონს.

***– კონკრეტული მაგალითის მოყვანა შეგიძლიათ?***

– ამერიკელებს არ მოსწონთ ადვოკატთა ასოციაცია და ივანიშვილი ამის გამო არ ხვდება ზაზა ხატიაშვილს. სამაგიეროდ, ხვდება სასამართლოს წარმომადგენლებს, რომლებზეც ამერიკა დიდ იმედებს ამყარებს. შარშან ნონა გაფრინდაშვილის იუბილეზე მოსული იყო ბიძინა ივანიშვილი. იქ განაცხადა, რომ ჰყავს 2 იდეალი – ნონა გაფრინდაშვილი და რეზო ესაძე. ორივე მათგანი სახალხო კრებაშია, მაგრამ პრემიერი არც ერთხელ არ შეხვდა სახალხო კრებას. სამაგიეროდ, ხვდება ამერიკელების მიერ დაფინანსებულ არასამთავრობოებს. ამ ბავშვებს ამერიკაში ტელევიზიასთან ახლოს არ მიუშვებენ, აქ კი ყველაფერზე ეგენი აკეთებენ შეფასებებს. დასავლეთის ჩარევა, რომ სააკაშვილი პოლიტიკოსი ვერ გახდებოდა. მაგის ოცნება იყო, სკოლაში კომკავშირის მდივანი გამხდარიყო. არ ირჩევდნენ და კინაღამ თავი მოიკლა. დღეს ის საქართველოს პრეზიდენტია და ისევ აგრძელებს ქვეყნის ნგრევას. ის არის იაგოს კლასიკური მაგალითი, რომელიც ცდილობს, ყველა დააპირისპიროს ერთმანეთთან.

***– დღეს ბევრს საუბრობენ მის განცხადებაზე, რომელიც ფედერალურ ბიუროზე გააკეთა. ამტკიცებს, რომ მისი წარმომადგენლები 26 მაისის დარბევას თვალს ადევნებდნენ. ბევრმა ეს შანტაჟად აღიქვა. ადრე თქვენც თქვით, სააკაშვილი ამერიკას აშანტაჟებსო.***

– აშანტაჟებს. მას უამრავი რამე აქვს სათქმელი. დასავლეთს სააკაშვილი აღარ უნდა, მაგრამ ცდილობს, ის უმტკივნეულოდ გაუშვას. ყველაფერს აკეთებენ, რომ ის არ ალაპარაკდეს. თქვენ რა გგონიათ, ბედუკაძეზე ტყუილად ატყდა ამბავი? სამწუხაროდ, ამას ბიძინა ივანიშვილიც წამოეგო. მთავრობის მეთაური, წესით, არ უნდა ერეოდეს პროკურატურის გადაწყვეტილებაში. სააკაშვილი დასავლეთის დავალებით ითხოვს კბილაშვილის გადაყენებას და ბედუკაძის დასჯას.

***– დასავლეთს რაში აწყობს ეს?***

– ბედუკაძემ ამხილა სისტემა და ამით გათავისუფლდა სისხლისსამართლებრივი დევნისაგან. მერაბიშვილსა და ახალაიასაც ბევრი რამის თქმა შეუძლიათ. დასავლეთს ეს არ სურს. ამერიკელებმა გადაწყვიტეს, მათ აჩვენონ, რომ, თუ ალაპარაკდები-

გაგრძელება მე-5 გვერდზე

# 28-ლარიან შემწეობას უფრო პოლიტიკური დატვირთვა აქვს

შორენა მარსაგიშვილი

24 ივლისს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადადგილებულ პირთა, ლტოლვილთა და განსახლების მინისტრმა დავით დარახველიძემ განაცხადა, რომ დევნილებს, რომელთა თვიური შემოსავალი 15000 ლარზე მეტია 28 ლარიანი შემწეობები გაუუქმდებათ.

– ჩვენ გვყავს 33 000 დევნილი, რომელთა ყოველთვიური შემოსავალი 1 500 ლარზე მეტია. 10 000 მათგანს ყოველთვიურად 20 000-30 000 აქვს შემოსავალი, ხოლო 1 800 დევნილის ყოველთვიური შემოსავალი 40 000 აღემატება. ესენი იბეგრებიან ქონების გადასახადით. ამის შესახებ ცნობილია ფინანსთა სამინისტროსთვის. მიუხედავად ამისა, ამ ადამიანებს ყოველთვიურად ერიცხებათ დევნილთა შემწეობა – 28 ლარის ოდენობით. ჩემი ინიციატივაა, რომ ეს 13 მილიონი ლარი აღარ გაიცეს მათზე და ეს თანხა დაემატოს იმ დევნილთა შემწეობებს, რომელთა ეს მართლაც სჭირდებათ, – განაცხადა დარახველიძემ.

ამასთან დაკავშირებით კომენტარს აკეთებს აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, ანზორ წოწონავა.

***– ბატონო ანზორ, თქვენ განსახლების მინსტრთან, ბატონ დავით დარახველიძესთან პერმანენტულად გქონდათ შეხვედრები, მიაწოდეთ მას ანალიტიკური მასალა დევნილთა რეალური პრობლემების შესახებ და შეთანხმდით ურთიერთთანამშრომლობაზე, რომლის დროსაც გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო დევნილთა მთელი რიგი პრობლემებისა. ელოდით თუ არა მინისტრის ახალ ინიციატივას შემწეობის შეწყვეტასთან დაკავშირებით, რომელმაც დიდი უკმაყოფილება გამოიწვია დევნილ მოსახლეობაში და არა მარტო დევნილებში და რამდენად გამართლებულად მიგაჩნიათ იგი?***

– იცით რა, იმ ანალიტიკურ მასალასთან დაკავშირებით, რომელიც ჩვენ მივაწოდეთ ბატონ დარახველიძეს, მინდა გითხრათ, რომ პასუხი დღემდე არ მიგვიღია სამინისტროდან, არც ის ვიცით, გაითვალისიწინეს თუ არა რამე...

რაც შეეხება მინისტრის განცხადებას, ეს ძალიან ნაადრევია მისი მხრიდან, რადგანაც სამინისტრომ რეალურად ჯერჯერობით ვერვავითარი ცვლილება და რეფორმა ვერ განახორციელა დევნილების ცხოვრებაში. ერთადერთი, რაც დალაგდა – ეს არის კომუნიკაციის საკითხი. დევნილი მოსახლეობა ჯერ კიდევ რეალური ქმედებების მოლოდინშია, რასაც სჭირდება სისტემის ჩამოყალიბება. ალბათ გახსოვთ, როგორი ძალისხმევით მივაღწიეთ იმას, რომ პრეზიდენტის ბრძანებულება დევნილთა შესახებ 1996 წელს კანონად გვექცია. თუმცა ამ კანონს სჭირდებოდა შემდგომი დახვეწა და გაღრმავება. მაგრამ ასე არ მოხდა. კანონში არსებული ბუნდოვანება იმის საშუალებას იძლეოდა, რომ რომ ერთი მუხლი სხვადასხვაგვარად ყოფილიყო გაგებული. ფაქტიურად მოხდა ამ კანონის გაფეტიშება და არა ამოქმედება. აი, ეს არის უფრო საშური საქმე და არა იმ სიმბოლური თანხის მოხსნა, რასაც პოლიტიკური დატვირთვა უფრო აქვს, ვიდრე სოციალური..... ან კი რა არის 28 ლარი? დღევანდელი ინფლაციის პირობებში ერთი დღის სამყოფი თანხაც აღარაა. მინიმუმის მინიმუმია.... ან როგორ შეიძლება თუნდაც უზრუნველყოფილ დევნილს წაართვა 28 ლარი? ინდივიდუალურად კი, ბატონო, ვისაც სურს, შეუძლია უარი თქვას ამ თანხაზე, ეს მისი პირადი ნებაა.

***– ბატონო ანზორ, დღევანდელი უმუშევრობის პირობებში, ხომ შეიძლება ოჯახში, სადაც ერთი ადამიანია მხოლოდ დასაქმებული 1500 ლარიანი ხელფასით, ოჯახის სხვა წევრები, მაგალითად, დედ-მამა და 2 შვილი, უმშევრები იყონ? მაშინ გამოდის, რომ ისევ სიღარიბესთან გვაქვს საქმე და 28 ლარიანი შემწეობაც ჰაერივით სჭირდება ოჯახს?***

– ბატონმა მინისტრმა უნდა გაითვალისწინოს ის, რომ მაღალხელფასიანი ადამიანები მაღალ საშემოსავლოს იხდიან.... ერთი დევნილის ხარჯზე მეორე დევნილის დაკმაყოფილება არაჰუმანური და შეურაცხმყოფელია. ეს უნდა გაკეთდეს სახელმწიფოს რესურსებით და არა დევნილების. მით უმეტეს, რომ ბოლო დროს გაიზარდა პენსიები, სახელფასო ფონდი, სხვადასხვა სახის დახმარებები, ხოლო დევნილთა შემწეობა უცვლელი დარჩა. ის კი არა, ოქტომბრის არჩევნების შემდეგ დევნილი მოსახლეობა ამ თანხის გაზრდას ელოდა და დაპირებაც იყო... აქვე მინდა აღვნიშნო: კარგი იქნება, თუკი დევნილთა სამინისტრო რესტიტუციის კანონზე იმუშავებს, რომლის აქტუალობაც სცილდება ქვეყნის შიდა პრობლემებს და საერთაშორისო მნიშვნელობას იძენს. აი, რაზე უნდა ვიფიქროთ, პირველ რიგში....

***– საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერი მანანა კობახიძეც არ იწონებს მინისტრის ამ ინიციატივას. მისი თქმით, ამ საკითხის გადაწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ კანონში ცვლილებების გზით. ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ მომავალში ასეც მოხდება?***

– ჩვენ ამას შევეწინააღმდეგებით. იქნება მსჯელობა ამ საკითხთან დაკავშირებით და, ვფიქრობ, საკმაოდ სერიოზული და კატეგორიული... დევნილთა ხარჯზე ეკონომიის გაკეთება სახელმწიფოს ვერ ააშენებს. ეს არ არის გამოსავალი. გამოსავალი უნდა ვეძიოთ დონორი ქვეყნების ჩართვით სახელმწიფო სტრატეგიაში, დასაქმების პრობლემის მოგვარებით, და სხვა ეკონომიკური საკითხების გადაწყვეტით, რომელიც დევნილ მოსახლეობას ფეხზე დააყენებს. 28 ლარიანი შემწობის მოხსნა ყველაზე ბოლო ნაბიჯია...დევნილთა პრობლემების მოსაგვარებლად სამინისტროში არსებული რესურსი ჯერ არც კი გამოყენებულა... ასეთი მიდგომით ჩვენ იმედს გავუცრუებთ დევნილებს ახალი ხელისუფლების მიმართ. არ შეიძლება ასეთი საკითხების დაუფიქრებლად წამოწევა...

# მამუკა გიორგაძე: „ქართული ოცნების“ ზოგიერთი წევრი უნდა დაისაჯოს“

თამარ ნინიძე

## ინტერვიუ სახალხო პარტიის თავმჯდომარე მამუკა გიორგაძესთან

***— ზუგდიდსა და ბათუმში პრაიმერის ჩატარების დროს ნაცმოძრაობას საპროტესტო აქციებით შეხვდნენ და კვერცხები ესროლეს. თქვენ როგორ შეაფასებთ ნაციონალების კომენტარებს?***

— ეს ის შემთხვევაა, როდესაც არსებობს არასრული სიმართლე იმიტომ, რომ არ ვართ შეთანხმებული რა არის სიმართლის კატეგორია. როდესაც არ შევთანხმდებით შეფასების კრიტერიუმებზე, ყველას ექნება საშუალება თავისი სიმართლე წარმოადგინოს და შეეცადოს ამ სიმართლის პროპაგანდირებას. პირველი ნაცმოძრაობა როგორც ოპოზიცია ამ შემთხვევაში თითქოს დაიჩაგრა, ასე იტყვის ის, ის ხალხი ოცნების მომხრეები გახლავთ და ვერ დავადასტურებ, მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ ეს აქცია ოცნების მიერ ორგანიზებული იყო, ცალკე აღებული ნაცმოძრაობის მიმართ იმდენად დიდი ზიზღია საზოგადოებაში, რომ არანაირი გასაკვირი არ არის რომ ნაცმოძრაობის წევრებს ხალხი ქუჩაში ქვებით დასდევდეს. ყველამ კარგად ვიცით, რომ ეს პრაიმერი თამაშია, იმისთვის, რომ ნაცმოძრაობამ გარეგნულად აჩვენოს თითქოს შიდაპარტიული დემოკრატიის და განვითარების გზას ადგას. საბოლოო ჯამში ვიღებთ სურათს, ეს ყოველივე ხელს უწყობს ნაცმოძრაობის მთავარ ოპოზიციურ ძალად ჩამოყალიბებას, მეორე მხრივ ხელისუფლება ემოციურ ფონზე მოსახლეობას ნაცმოძრაობის წინააღმდეგ განაწყობს, მესამე, არანაირი კონკრეტული ნაბიჯები არ იდგემა რომ ნაცმოძრაობამ რეალურად აგოს პასუხი იმ დანაშაულებებზე, არც ამ წლების მანძილზე ჩაუდენია და მისთვის ერთი ქვის სროლა ბაირამობაა, ხალხი რჩება მოტყუებული. თუ ნაცმოძრაობა დამნაშავეა, მაშინ დამნაშავესთან თანამშრომლობა არის დანაშაული. მაგრამ თუ დამნაშავე არ არის, მაშინ უმკაცრესად უდნა დასაჯონ ადამიანები, რომლებიც პოლიტიკური ხედვების გამო ქვებს ისვრიან. ეს შეუსაბამობები და კრიტერიუმების დაუდგენლობა ნოყიერი ნიადაგია იმისთვის, რომ მანიპულირება განახორციელონ ხალხზე, ქართველი ხალხი და საქართველოს სახელმწიფო საბოლოო ჯამში დარჩეს გაბითურებული.

***— დავით ბაქრაძემ განაცხადა, რომ ნაციონალური მოძრაობა დამთავრდა. რას გულისხმობდა?***

— გულისხმობდა ერთ რამეს, რომ ახალი ეტაპი იწყება და ძველზე ნუ გავამახვილებთ ყურადღებასო. ნიანგის ცრემლებს ღვრიან, ბოდიშებს იხდიან, ეს ხდება იმისთვის, რომ შერჩეთ ის, რასაც აკეთებდნენ. როცა გამოდის ბაქრაძე და ამბობს, რომ მასაც ულებდნენ რაღაცეებს, მას პასუხისმგებლობის გრძნობა საერთოდ გააჩნია? ამ ამბების მერე რაც ხდებოდა, როგორ ბედავენ იმას, რომ ასეთი ტონით გვესაუბრებიან, ეს „ქართული ოცნების“ დამსახურებაა, ამას რომ ბედავენ. ჩვენ თუ ვიცით რა არის დემოკრატიული სამყაროს გამოცდილება, გერმანიის თავდაცვის მინისტრი, მომავალი კანცლერი გადადგა იმის გამო, რომ თურმე ოცი წლის წინ დისერტაცია რომ დაიცვა, იქ პლაგიატს ჰქონდა ადგილი, იაპონიის თავდაცვის მინისტრი ნასვამ მდგომარეობაში რომ გამოჩნდა პრესკონფერენციაზე, ამის გამო გადადგა. ის, რომ ხალხმა არჩევნებზე უნდა დაგვაკისროსო პასუხისმგებლობა, ეს ბლეფია. არც ამის საშუალებას აძლევენ ქართველ ხალხს ყოველი არჩევნები გაყალბებულია. პასუხისმგებლობის აღება ნიშნავს, რომ შენ მაშინვე მიიღო გადაწყვეტილება დაისაჯო თავი თუ მიგაჩნია, რომ რაღაცა შეცდომა დაუშვი. როგორ ბედავ იჯდე იმ პარლამენტში, რომელიც ისეთ გადაწყვეტილებებს იღებდა, რაც ქვეყანას უმძიმეს მდგომარეობაში აგდებდა. რა გინდა იმ პარლამენტში თუ ხვდები, რომ შენმა დეპუტატობამ დააქცია ქვეყანა. როცა არ არის ეს გარემო შექმნილი, როდესაც სრული განუკითხაობაა, როდესაც პასუხისმგებლობის საკითხი არ დგას, ეს აწყობს ოცნების წარმომადგენლებსაც, იმიტომ, რომ, სადაც ბაქრაძე აგებს პასუხს, ოცნების ბევრმა წევრმაც უნდ აგოს პასუხი. ამიტომ წლების განმავლობაში ეს ხალხი მათთან ერთად იყო, ამიტომაც ოცნებასაც არ აწყობს კონკრეტული პასუხისმგებლობის დაყენება, თუ პრეცენდენტი დაიშვება, რომ რომელიმე პოლიტიკოსმა აგოს პასუხი, მაშინ ასეთივე პასუხისმგებლობა დაეკისრება დღევანდელ ხელისუფლებასაც.



თავის დროზე არ ვაგებინეთ პასუხი იმას, ვინც დამნაშავე იყო გაგრის დაკარგვაში, მერე მთელი აფხაზეთი დავკარგეთ, ჩვენ არ ვაგებინეთ პასუხი იმას, ვინც შექმნა ე.წ. სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაცია, მერე კი მთელი ცხინვალის რეგიონი დავკარგეთ. ამ ადმინისტრაციის შექმნას დღევანდელი ოცნების ბევრი წევრი მხარს უჭერდა. ტაშს უკრავდა სანაკოევს, ქურთაში აკითხავდა და დღესაც სააკაშვილის მიერ შექმნილი ეს უკანონო სტრუქტურა დღესაც ფუნქციონირებს და ბიუჯეტიდან გაეზარდა სახსრები. სრული უპასუხისმგებლობის ვითარებაში მიმდინარეობს ჩვენი პოლიტიკური ცხოვრება. ხშირად ვაპელირებთ სამშობლოს სიყვარულზე, მე არ მეგულება ადამიანი, ვისაც სამშობლო არ უყვარდეს და კამათი ამაზე აბსურდია, მაგრამ ჩვენ არ ვიყენებთ ტერმინს — პასუხისმგებლობა სამშობლოს წინაშე. თუ მიაჩნია ხელისუფლებეს, რომ ნაცმოძრაობის რომელიმე წევრი არ არის ღირსი ატარებდეს დეპუტატის ან საპრენზიდენტო კანდიდატის სახელს, აგერ არის გამოძიება, პროკურატურა, შსს და მიიღოს ზომები და შესაბამისი ადგილი დააკავებინონ ამ ადამიანებს. გუნავა, ახალაია თუ სხვა იქნება, რაც რეალურად ჩადენილი დანაშაული აქვთ, ამ დროს უმნიშვნელო დანაშაულისთვის აკავებ, ეს იწვევს საერთაშორისო სამყაროს გაღიზიანებას. როგორ შეიძლება აღმკვეთი ღონისძიება იქნეს შეფარდებული ასეთი დანაშაულისთვის. ხელისუფლებას არ სურს მოაგვაროს ეს საკითხი, დადოს შესაბამისი მტკიცებულებები, რასაც ის აფრიალებდა არჩევნების წინ.

***— „ქართული ოცნების“ ლიდერები აცხადებენ, რომ ისინი ძალადობას ემიჯნებიან, მათ ეს საპროტესტო აქციები ჰქონდათ მხედველობაში. რას ნიშნავს რომ ძალადობას ემიჯნებიან?***

— ძალიან კარგი ტერმინი დამკვიდრდა გავემიჯნოთ ძალადობას, თეთრი ხელთათმანებით პოლიტიკის კეთება და რომ ემიჯნები ძალადობას, მოკიდე ხელი ვინც ძალადობას ჩადის და მოსთხოვე პასუხი. საქართველოში ქმედითუნარიანი პასუსხმგებლობის გრძნობის მქონე ლიდერების დეფიციტია. საკონსტიტუციო ცვლილების განხილვაზე გამოდიოდნენ და ამბობდნენ ორმაგი მოქალაქეობა ცუდია, მაგრამ ახლა ამ ეტაპზე საჭიროაო. ივანიშვილმა ასეთი ხალხი შეიყვანა პარლამენტში და ისინი ემსახურებიან მას.

***— სკანდალების მოყვარული პრეზიდენტი გვყავს, კიდევ ერთი საშინელება განაცხადა, ამერიკის ფედერალური საგამოძიებო ბიუროს ჯგუფი იჯდა ნაცმოძრაობს ოფისში, პირადად თვალს ადევნებდა 26 მაისი დარბევას და მერე დაასკვნა, რომ ყველაფერი კანონის ფარგლებში მიდიოდა. როგორია ამის თაობაზე თქვენი კომენტარი?***

— სააკაშვილი დღეს კი არ ეწევა ანტიდასავლურ პოლიტიკას და რუსეთის სამსახურს, რატომღაც ისეა გაგებული, რომ რუსეთს ემსახურებიან მარტო ისინი, ვინც აქებს მას, ვინც აგინებს რუსეთს, ისინიც რუსულ საქმეს აკეთებენ. სწორედ ამ გინების ფონზე ისეთი განცხადება, რაც ახლა სააკაშვილმა გააკეთა, მხოლოდ რუსული პოლიტიკის ინტერესებშია. მსგავსი განცხადებები ბევრი ადრე გაუკეთებია და მომავალშიც უნდა ველოდოთ ასეთ განცხადებებს მისგან. ეს მორიგი რუსული ინტერესების დამცველი განცხადებაა და სანამ სტატუსი გააჩნია სააკაშვილს, კიდევ ბევრ აბსურდულ განცხადებას გააკეთებს რუსეთის სასარგებლოდ.

***— ამერიკის საელჩოს მხრიდან ამას არანაირი რეაგირება არ მოჰყოლია.***

— როგორ შეიძლება ამას რაიმე რეაგირება მოჰყვეს. გამოვიდა და თქვაა ელჩმა თქვენი პრეზიდენტი ცოტა ვერ არის თავის ჭკუაზეო, ამას არ გააკეთებს, უარყოფა რომ დაიწყოს, ესეც უხერხული იქნება. საქართველოში ამერიკელი ექსპერტები აკვირდებიან მოვლენებს და შესაძლოა, ამა თუ იმ მოვლენის თვითმხილველებიც იყვნენ, ეს რა გასაკვირია. დღეს ანტიამერიკული და ანტიდასავლური ტალღის აგორება ნამდვილად არ შედის საქართველოს ინტერესებში.

***— მიწევს ისევ სააკაშვილის განცხადებებზე თქვენგან კომენტარის თხოვნა, მაგრამ ეს დღის სკანდალებად ითვლება და ამიტომ საინტერესოა. ახლახანს ერთ-ერთ ჟურნალისტთან ინტერვიუში განაცხადა, რომ წლების მერე ამომრჩეველს ესა თუ ის პოლიტიკოსი გარეგნულად უკვე აღარ მოსწონს და მისი შეცვლის სურვილი ჩნდებაო. ფაქტობრივად გარეგნულ პრობლემას დაუკავშირა ნაცმოძრაობის მარცხი. გამოდის, რომ სააკაშვილი თავის მომხრეებთან ერთად ვერ აცნობიერებს რა მიზეზით უთხრა უარი მას ამომრჩეველმა?***

— სააკაშვილს სურს, რომ ეს ასეც წარმოაჩინოს. გარკვეულწილად სიმართლის მარცვალი ამაში არის, ყოველდღე ერთი და იგივე ადამიანის ყურება ნამდვილად იწვევს მობეზრებას, ნახევარი სიმართლით ხდება უფრო დიდი ტყუილის გადაფარვა. სააკაშვილი ყელში კი არ ამოუვიდა ქართულ საზოგადოებას, არამედ მან გაამწარა ქართველები, ისინი ბოლო ხუთი წლის განმავლობაშის სხვა არაფერზე ფიქრობდნენ გარდა იმისა, როგორ მოეშორებინათ ის თავიდან. ეს მას უნდა რომ წარმოაჩინოს როგორც რიგითი ჩვეულებრივი ამბავი. ჩვენ დავივიწყეთ შევარდნაძის წინააღმდეგ არსებული განწყობები, ხვალ შეიძლება დავივიწყოთ სააკაშვილის წინააღმდეგ არსებული განწყობებიც. უფლებას ვაძლევთ სააკაშვილს ამ ტონალობით გველაპარაკოს. თითქოს არაფერი განსაკუთრებული არ მომხდარა, თითქოს საქართველოს არ დაუკარგავს ტერიტორიები, თითქოს არ მომხდარიყოს ამ ტერიტორიების აღიარება. თითქოს ის ტრაგედიები არ დატრიალებულიყოს, რაც დატრიალდა.

***— დიდი ხმაურია ატეხილი ინტერფრაქციული ჯგუფის მუშაობის პროცესში იმასთან დაკავშირებით, რომ „ქართული ოცნება“ ნაციონალებთან კოჰაბიტაციაში, საარჩევნო კოდექსის გაკეთილშობილებას არ ცდილობს. რას ფიქრობთ ამასთან დაკავშირებით?***

— „ქართული ოცნება“ როგორც მემკვიდრე ნაციონალებისა, აგრძელებს მათ კურსს ბევრი მიმართულებით. თავის დროზე ოპოზიციაში მყოფი სააკაშვილიც ითხოვდა საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებას, მაგრამ გახდა თუ არა ხელისუფალი, პირიქით გააუარესა ეს აგრემო. ასე არიან ის ადამიანები, რომლებიც დღეს უმრავლესობაში გახლავთ, რვიანის ფორმატში ითხოვდნენ საარჩევნო კოდექსის შეცვლას, მაგრამ დღეს ეს დაავიწყდათ და ცდილობენ საკუთარ თავზე საარჩევნო გარემოს მორგებას. ეს იმაზე მეტყველებს, რომ საქართველოში არ არის ჩამოყალიბებული პატიოსანი და ღირსეული პოლიტიკური ჯგუფები. ეს ადამიანები მხოლოდ ძალაუფლებაზე არიან ორიენტირებული და ქართველი ხალხი დროზე უნდა გამოფიხიზლდეს. დღეს ბევრი ოპოზიციური პარტია ნაციონალების ავკაცობაზე ისე ხუჭავდა თვალს, რომ დემოკრატია სულაც არ ახსოვდა. თავადაც მშვენივრად სარგებლობდა ნაციონალების შექმნილი გარემოთი. ასეთი პოლიტიკის გაგრძელება დაღუპავს ქვეყანას, ქვეყანა ვერ განვითარდება. პრინციპებზე და ღირებულებებზე უნდა იყოს დაფუძნებული ქართული პოლიტიკა და არა პიროვნებებზე.

# „60 წლის ვარ და ასეთი სიხარული ჯერ არ მიგრძნია, დაუჯერებელი იყო...“

## „ნატახტარის“ ტრადიციული გათამაშების ყველაზე იღბლიანი გამარჯვებული მზია ღვალაძე გახდა




ნატახტარის ტრადიციული გათამაშება დასრულდა. წელს, ყველაზე იღბლიანი გამარჯვებული თბილისის მკვიდრია. „სტუმრები მყავდა, საღამო იყო, რატომღაც ლუდი მოგვინდა და მაღაზიაში ჩავედი. პატარა შეფუთვის ყიდვას ვაპირებდი და გადავიფიქრე, ბოლოს არჩევანი 2,5 ლიტრიან „ნატახტარზე“ შევაჩერე. გული მიგრძნობდა ალბათ... ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, არ ვიჯერებდი...60 წლის ვარ და ასეთი სიხარული ჯერ არ მიგვრძნია, დაუჯერებელი იყო...50 ათასი ლარის მოგებას ვერასოდეს წამოვიდგენდი!“ – „ნატახტარის გათამაშების“ მთავარი პრიზის – 50 ათასი ლარის მფლობელს ქ-ნ მზია ღვალაძეს შინ ვესტუმრეთ, რომელიც ჩვენთან საუბრისას ემოციებსა და სიხარულს ვერ მალავდა.

მზია ღვალაძე თბილისში, მუხიანის დასახლებაში, ერთ მყუდრო სახლში შვილებთან და შვილიშვილებთან ერთად ცხოვრობს. მოგებაზე არასოდეს უოცნებია, როგორც თავად ამბობს, მას ეს ყველაფერი დაუჯერებლად მიაჩნდა, თუმცა „ნატახტარმა“ ეს დამოკიდებულება რადიკალურად შეუცვალა: „არასოდეს მჯეროდა, ლუდი ნაკლებად მიყვარს, თუმცა გათამაშების ეშხით „ნატახტრას“ ვყიდულობდი. ამ საღამოსაც ასე მოხდა. ასეთი ხმაური, სიხარული და აჟიოტაჟი ჩემს ოჯახში დიდი ხანია არ ყოფილა. მეუღლე 7 წლის წინგარდამეცვლა,თავს უიღბლო ადამიანად ვთვლიდი, თუმცა როგორც ჩანს ყველაფერი ღვთის ნებაა და ასეც მოხდა“

***— 50 ათასის მოგებასაც იღბლას მიაწერთ?***

— რა თქმა უნდა, იღბალი იყო, ლუდის ამოსატანად მე ჩავედი. არ მეგონა ასეთი რამე თუ რეალურად ხდებოდა, ვერ ვიჯერებდი. ატყდა კივილი და ყველა ერთად ავხმაურდით.

***— ლუდი გიყვართ?***

— ლუდი რომ გითხრათ ძალიან მიყვარს, მოგატყუებთ. თუმცა აზარტული ვარ, რეკლამებს რომ ვუყურებდი სულ მინდოდა იქნებ მეც გამიმართლოს და როცა ლუდის ყიდვას გადავწყვეტდი არჩევანს ნატახტრზე ვაკეთებდი. ამის მერე, ალბათ „ნატახტარის“ გარდა სხვა ლუდს არც გავეკარები. მან ჩემი ცხვორება უკვე გაალამაზა და გახალისა.

***— რა პროფესიის ხართ?***

— მთელი ცხოვრება ვმუშაობ. პროფესიით პედაგოგი ვარ, 143-ე საჯარო სკოლაში ინგლისური ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად ვმუშობ. ჩემი ცხოვრება რადიკალურად შეიცვლება. სულ მინდოდა ჩემს შვილებს დავხმარებოდი, თუმცა ჩემი ხელფასით ამას იმდენად ვერ ვახერხებდი, ახლა კი გამიმართლა.

***— მაინც რას შეცვლით თქვენს ცხოვრებაში?***

— ჩემი ვაჟი ბინას იშენებს და ამ თანხით გარკვეულ წვლილს მეც შევიტან, რაც ძალიან მახარებს. ნაწილს ოჯახის სხვა წევრებსაც გადავუნაწილებ, გეგმები და სურვილები ყველას გვაქვს, რაზეც უარს ვერ ვეტყვი.

# ირაკლი ღარიბაშვილის იმედად დარჩენილი ჭირისუფალი

„მედიაინფოსთან“ ჭირისუფლის ირმა ალადოშვილის დაკავშირების შემდგომ გაცხადდა, რომ ამა წლის, 19 ივლისს, მისი ძმა, 35 წლის პაატა ალადოშვილი ყვარლეში გამთენიისას ე. წ. ბურსის ხიდთან, ავტოდაჯახების შედეგად გარდაცვლილი იპოვეს. შემთხვევის ადგილიდან დამნაშავე პირი მიიმალა. გარდაცვლილის ოჯახი მიიჩნევს, რომ შეგნებულად ხდება დამნაშავე პირის არ მოძიება. აღნიშნულთან მიმართებაში კონკრეტული პასუხი სამართალდამცავთა მხრიდან ოჯახს არ მიეწოდება და არც მომხდარის შესახებ ოფიცილაური განცხადება არ გაკეთებულა. აღნიშნულ ფაქტზე შსს-ს სამხარეო ადგილობრივი დანაყოფის მესვეურთა პასუხი ბუნდოვანია და არც მათი პრესცენტრი გამოირჩევა დღევანდელი რეალობის მოთხოვნის სტანდარტით. გარდაცვლილის ოჯახი დახმარებას საქმის ობიექტურად მიუკერძოებეულად გამოძიების მიზნით შსს-ს მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს სთხოვს.

მედიაინფო

# „ამერიკელებმა ირაკლი ალასანია გვერდზე გასწიეს“

დასაწყისი მე-4 გვერდზე

ან, ციხიდან ვერ გამოვლენ. სათქმელი კი მართლა ბევრი აქვთ. 20 წლის განმავლობაში საქართველოში 20 მილიარდი შემოვიდა. ეს ფული ქვეყანას უნდა მოხმარებოდა. ნაწილი ისევ უკან წავიდა კორუფციული გარიგებით, დანარჩენი კი არასამთავრობოებმა და პოლიტიკოსების ნაწილმა გაიყვეს. ვიღაცამ შეიძლება მითხრას, ამერიკაში კორუფცია არ არისო. არ დაიჯეროთ, აბა, იკითხეთ, რამდენს იხდიან ჩვენი მოქალაქეები ამერიკაში წასასვლელ ვიზაში. ეს ყველაფერი მალე გაირკვევა. მე როცა ამერიკელებზე ვსაუბრობ, მხედველობაში 10-15 კაცი მყავს, რომლებსაც მაკეინი და ლიბერმანი უდგანან სათავეში. ეს ხალხი ყველაფერს აკეთებს საიმისოდ, რომ ბიძინა ივანიშვილი ამერიკაში არ ჩავიდეს.

***— რატომ არ აწყობთ ივანიშვილის ამერიკაში ჩასვლა?***

— მათ ეშინიათ იმ სიმართლის, რომელიც, შესაძლოა, ამერიკამ გაიგოს. დღეს ივანიშვილს ამერიკის მითითებების შესრულება უწევს. ამის გამო ის თავის ქვეყანაში კარგავს ავტორიტეტს.

# გზების მშენებლობისა და მოვლა-შენახვისთვის 68 მლნ ლარი დაიხარჯა

ნათია ხურცილავა



გუშინ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა დავით ნარმანიამ ექვსთვიანი მუშაობა შეაჯამა.

პრესკონფერენციაზე მინისტრმა თავის მოადგილესთან ერთად ჟურნალისტებს გააცნო ის შედეგები, რომლებიც უკვე აქვს სამინისტროს.

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქვეუწყებო ორგანიზაციების მიერ 2013 წლის 1 იანვრიდან 1 ივლისამდე გამოცხადებული ტენდერების რაოდენობა გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 38%-ით მეტია.

2013 წლის პირველ 6 თვეში განხორციელებული სახელმწიფო და საერთაშორისო ტენდერების შესახებ მონაცემები პრესკონფერენციაზე მინისტრმა დავით ნარმანიამ და მისმა მოადგილემ შოთა მურღულიამ წარმოადგინეს.

2013 წლის 1 იანვრიდან 1 ივლისამდე გამოცხადდა სულ 183 ელექტრონული ტენდერი, შესყიდვის საერთო სავარაუდო ღირებულებით – 830 მილიონი ლარი.

გასული წლის შესაბამის პერიოდში სულ 161 ტენდერი იქნა გამოცხადებული, შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით – 599 მილიონი ლარი. 2013 წლის პირველ 6 თვეში რაოდენობრივად – 22-ით, თანხობრივად კი 230 მლნ ლარით მეტი ღირებულების ტენდერები გამოცხადდა.

გამოცხადებული 183 ტენდერიდან 25 საერთაშორისოა, შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით 692 მილიონი ლარი, 158 ტენდერი კი სახელმწიფოა, შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით – 139 მილიონი ლარი.

ასევე, საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ 2013 წლის 6 თვეში სულ 154 ტენდერი გამოცხადდა, რომელთა ჯამური სავარაუდო ღირებულება 714 მლნ ლარია.

რაც შეეხება ნაპირსამაგრ სამუშაოებს, ამისთვის 21 ტენდერი გამოცხადდა, შესყიდვის საერთო ღირებულებით – 6 მილიონი ლარი, რაც 2012 წლის შესაბამის პერიოდში გამოცხადებული ტენდერების ღირებულებაზე 34%-ით მეტია.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ მიმდინარე წლის პირველ 6 თვეში გაწეული ხარჯები 2012 წლის ამავე პერიოდში დაფიქსირებულ მონაცემებს 10%-ით აჭარბებს.

სამინისტროს ანგარიშის მიხედვით, გაწეული ხარჯების საკასო შესრულება 223 მილიონ ლარს შეადგენს, რაც გასული წლის შესაბამის პერიოდში ამ მიზნით გაწეული ხარჯების საკასო შესრულებას 21 მლნ ლარით აღემატება.

– საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებების დაფინანსების მიზნით გაწეული ხარჯების საკასო შესრულებამ 2013 წლის პირველ 6 თვეში 155 მლნ ლარი შეადგინა. დაფინანსებულია 44 მლნ ლარით, ანუ 40%-ით მეტი ღირებულების პროექტები 2012 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გზების მშენებლობისა და მოვლა-შენახვისთვის მიმდინარე წლის 6 თვეში გაწეული ხარჯების საკასო შესრულება 68 მლნ ლარს შეადგენს, რაც 22 მლნ ლარით ანუ 47%-ით აღემატება ამავე მიზნით 2012 წლის 6 თვეში საკასო ხარჯების მაჩვენებელს.

ჩქაროსნული ავტომაგისტრალის მშენებლობის პროექტის ფარგლებში საკასო ხარჯმა 84 მლნ ლარი შეადგინა, რაც 37%-ით აღემატება გასული წლის შესაბამის პერიოდში ამ მიზნით დაფინანსებული სამუშაოების ღირებულებას.

რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისა და წყალმომარაგების გაუმჯობესებისთვის მთლიანობაში 50 მლნ ლარზე მეტია დახარჯული, – ნათქვამია ანგარიშში, რომელიც ჟურნალისტებს დაურიგდათ.

როგორც პრესკონფერენციაზე ნარმანიამ განმარტა, სამუშაოები ჩქაროსნული ავტომაგისტრალის რუისი-აგარის, ქობულეთის შემოვლითი გზისა და ზესტაფონი-ქუთაისი-სამტრედიის მონაკვეთებზე ერთდროულად მიმდინარეობს.

სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალის დაფინანსებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილება მთავრობის ხვალინდელ სხდომაზე იქნება მიღებული.

აღნიშნული განცხადება პრესკონფერენციაზე რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა გააკეთა.

ნარმანიას განმარტებით, რამდენიმე დღის წინ ზუგდიდში, ჩხოროწყუში, წალენჯიხაში, ოზურგეთის შავი ზღვისპირა ზოლსა და ფშავში მომხდარი სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალის ოდენობა უკვე დათვლილია.

– ჩვენ სამუშაოებს აპრობირებული პრაქტიკის მიხედვით ვასრულებთ. ჩვენი სამინისტროს თანამშრომლები მუნიციპალიტეტებში მიევლინებიან, რომ მათ ადგილზე დაეხმარონ. ხდება ზარალის შესწავლა. ზიანის აღმოფხვრისთვის ადგილობრივი რესურსები გამოიყენება, ხოლო რაზეც თანხა არ ეყოფათ, მუნიციპალიტეტებს ფინანსთა სამინისტროსთან ერთად რეგიონებში განსახორციელებელი ფონდიდან გამოვუყოფთ მათ დაფინანსებას. ყველა მუნიციპალიტეტმა დაითვალა ზიანი, გადმოგზავნილია ჩვენთან და პარასკევის მთავრობის სხდომაზე იქნება მიღებული გადაწყვეტილება დაფინანსებასთან დაკავშირებით, – განაცხადა დავით ნარმანიამ.

# „გადავარჩინოთ ქართველი ექიმები!“

## მედმუშაკთა პროფკავშირი სადაზღვევო კომპანიების საქმიანობის შესწავლას ითხოვს

მერი ნამორაძე

მედიცინის მუშაკთა პროფკავშირი უკვე მერამდენედ აპროტესტებს სადაზღვევო კომპანიების მიერ აღებული ვალდებულებების შეუსრულებლობას სამედიცინო დაწესებულებების მიმართ. გუშინ საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების საპრესკონფერენციო დარბაზში მედიკოსთა პროფკავშირის წარმომადგენლები შეიკრიბნენ და საზოგადოებას სამედიცინო სადაზღვევო სფეროში და საერთოდ ქართულ მედიცინაში შექმნილი უმძიმესი მდგომარეობა გააცნეს. როგორც მედიცინის, ფარმაციისა და სოციალური დაცვის მუშაკთა პროფესიული კავშირის პრეზიდენტმა ჯონი ჯანაშიამ აღნიშნა, უკვე რამდენიმე თვეა, სადაზღვევო კომპანიების აბსოლუტური უმრავლესობა ველარ ასრულებს აღებულ ვალდებულებას და სამედიცინო კლინიკებს თანხებს ვეღარ ურიცხავს. ამან, შესაძლებელია, ქართული ჯანდაცვის სისტემა კოლაფსამდე მიიყვანოს:

– მოგეხსენებათ, ამა წლის თებერვლიდან ამოქმედდა მოსახლეობის საყოველთაო დაზღვევის პროგრამის პირველი ეტაპი, რომელიც მოიცავს გადაუდებელ სამედიცინო დახმარებას. 1 ივლისიდან კი დაიწყო გეგმიური სტაციონარული მომსახურება, ორსულთა პატრონაჟი, უფასო მშობიარობა, ონკოლოგიურ ავადმყოფთა დახმარება. ყოველივე ამას წინ უსწრებდა მთავრობის № 165 დადგენილება, რომლის თანახმად, ყველა პენსიონერი, ინვალიდი და ბავშვი იღებდა სამედიცინო დახმარებას 10%-იანი თანაგადახდით, გარდა ამისა, სტუდენტები იღებდნენ სამედიცინო მომსახურებას 20%-იანი თანაგადახდით. ყოველივე ეს გახლავთ უდიდესი წინგადადგმული ნაბიჯი საქართველოს მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების მიმართულებით, რადგანაც ამით სამკურნალო დაწესებულებების კარი გაიღო ქვეყნის მოსახლეობის იმ უდიდესი ნაწილისათვის, რომელთაც არანაირი სამედიცინო დაზღვევა არ ჰქონიათ. მკვეთრად გაიზარდა ჯანმრთელობის დაცვის ხელმისაწვდომობა, რითაც დღევანდელმა ხელისუფლებამ შეასრულა დანაპირები და ოცნება აუსრულა ქვეყნის მოსახლეობას. თუმცა, მედალს აქვს მეორე მხარე. ამ პროცესში კვლავაც ჩართული კერძო სადაზღვევო კომპანიები ვერ ასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას, რის გამოც ქვეყნის სამედიცინო დაწესებულებები არიან უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში. აქედან გამომდინარე, უდიდეს მატერიალურ სიდუხჭირეს განიცდიან საქართველოს მედიცინის მუშაკები. უდიდეს პრობლემად რჩება კერძო სადაზღვევო კომპანიების მიერ სამკურნალო დაწესებულებებისადმი სამედიცინო მომსახურებისათვის გადასახდელი თანხების ანაზღაურება. თქვენ ვერ დაგვისახელებთ ვერც ერთ, ვიმეორებ, პრაქტიკულად ვერც ერთ სამედიცინო ობიექტს, რომლის მიმართ კერძო სადაზღვევო კომპანიებს არ გააჩნიათ ფინანსური დავალიანება, – განაცხადა ჯანაშიამ.

რა თქმა უნდა, ამ ვითარების შედეგია მედპერსონალისადმი თვეობით გაუცემელი ხელფასები, სამკურნალო დაწესებულებების დავალიანებები აფთიაქებისადმი, საბიუჯეტო ორგანიზაციებისადმი დაგროვილი კომუნალური გადასახადი. ჯანაშიას თქმით, ეს წარმოშობს ამა თუ იმ კლინიკის გაკოტრებისა და დახურვის საშიშროებას. სადაზღვევო კომპანიების ჩართულობამ ჯანდაცვის ორგანიზაციაში, მათ მიერ კლინიკების აშენებამ, შემდეგ ფლობამ, მთელი რიგი პროგრამების მონოპოლიზაციამ გამოიწვია ის, რომ კერძო სადაზღვევო კომპანიების უმეტესი ნაწილი ქართული მედიცინის ბატონ-პატრონად თვლის თავს:

– მედიცინის მუშაკთა ხარჯზე არასოდეს უგვიანდებათ ხელფასები, რომელთა რაოდენობა ხშირად რამდენიმე ათასი ლარია (მაშინ როცა, ხშირ შემთხვევაში, ექიმთა ხელფასი საარსებო მინიმუმზე გაცილებით დაბალია), ფლობენ უმაღლესი კატეგორიის ფეშენებელურ ოფისებს, გადაადგილდებიან ბოლო კლასის ჯიპებით, ამავე დროს, შეუძლიათ, ბატონკაცურად აუკრძალონ მედიცინის მუშაკებს ის, რაც მათ კონსტიტუციის ძალით აქვთ მინიჭებული – ანაზღაურებადი შვებულებები, არანორმირებული სამუშაო საათების გადახდა, პროფკავშირული ორგანიზაციების არსებობა მათ მიერ თათდადებულ დაწესებულებებში, – აღნიშნა ჯანაშიამ.

მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის პრეზიდენტი არანაკლებ მნიშვნელოვნად მიიჩნევს იმ ფაქტს, რომ, 165 დადგენილებიდან გამომდინარე, რაც ძალიან აწყობთ სადაზღვევო კომპანიებს, პაციენტს ეზღუდება თავისუფალი არჩევანის შესაძლებლობა, თავად შეარჩიოს კლინიკა და მკურნალი ექიმი, რაც თავისთავად გამორიცხავს ჯანსაღი კონკურენციის შესაძლებლობასა და მედიცინის პროგრესს ქვეყანაში. მათ მიერ შესრულებული სამუშაოს ანაზღაურებაში შეტანილი ე.წ. კორექციის, რანჟირებისა და სხვადასხვა მეთოდით საქართველოს მედიცინის მუშაკები მათხოვრებად და ყურმოჭრილ მონებად იქცნენ.

ჯანაშიამ რამდენიმე კლინიკა და სამკურნალო ორგანიზაცია დაასახელა, რომელთა მიმართ სადაზღვევო კომპანიების დავალიანება ასე გამოიყურება: ქ.თბილისის ცენტრალური საავადმყოფო – 400 000 ლარი, კლინიკა ,,გიდმედი“ – 90 000, ტრავმატოლოგიური კლინიკა – 1 400 000, სეფსისის ცენტრი – 300 000, საპატრიარქოს კლინიკა – 620.000, ზუგდიდის ლტოლვილთა პოლიკლინიკა – 62.000, ცენტრალური რესპუბლიკური საავადმყოფო – 1 080 000, ბოხუას სახელობის ანგიოლოგიური ცენტრი – 300 000, პედიატრიის ინსტიტუტი – 160 000, ჩიჩუების ოფთალმოლოგიური კლინიკა ,,მზერა“ – 67 000, ჯავრიშვილის კლინიკა ,,ოფთალმიჯი“– 130 000, ქუთაისის საეკლესიო კლინიკა – 462 000, ღუდუშაურის სახ. საავადმყოფო – 2 000 000 და ასე შემდეგ.

გუშინ მედმუშაკთა პროფკავშირმა კიდევ ერთხელ მიმართა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, საქართველოს მთავრობასა და ხელისუფლებას, ასევე შესაბამის ფინანსურ და სამართალდამცავ ორგანოებს, შეისწავლონ სადაზღვევო კომპანიების საქმიანობა.

– სანამ ბოლომდე არ გაკოტრებულან საქართველოს სამკურნალო დაწესებულებები, სანამ საქართველოს ექიმებს შერჩათ ალტრუისტული უნარი, თვეობით აუღებელი გასამრჯელოს ფონზე უფასოდ მოემსახურონ პაციენტებს, სანამ ბოლომდე არ დასამარდა საქართველოს ჯანდაცვის სისტემა, მათ ხელთ არსებული ყველანაირი ბერკეტით აიძულონ კერძო სადაზღვევო კომპანიები, დროულად დაფარონ მათი დავალიანებები, შეზღუდონ მათი მანკიერი საქმიანობა და აიძულონ, აკეთონ კონკრეტულად ის, რაც მათი საქმიანობის სფეროს არ სცილდება და არ ეწინააღმდეგება ანტიმონოპოლიურ მივიწყებულ კანონს, ასევე შესაბამის ფინანსურ და სამართალდამცავ ორგანოებს, შეისწავლონ სადაზღვევო კომპანიების საქმიანობა. გვერწმუნეთ, ჩვენი ეს რადიკალური განცხადება მიმართულია ქართველ მედიკოსთა უმძიმესი მდგომარეობის გამოსწორებისკენ. გავიმეორებ ჩვენს დევიზს: ,,გადავარჩინოთ ქართველი ექიმები, რომ გადარჩეს საქართველო!“ – განაცხადა ჯანაშიამ.

# გიორგი სანაიას მკვლელობიდან 12 წელი გავიდა

დღეს სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი-2“-ის ჟურნალისტ გიორგი სანაიას მკვლელობიდან 12 წელი სრულდება. იგი 2001 წლის 26 ივლისს თბილისში, საკუთარ ბინაში გარდაცვლილი იპოვეს.

ამ საქმეზე გამოძიება 2 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა. 2003 წლის 9 ივლისს სასამართლომ მკვლელობაში დამნაშავედ შინაგან საქმეთა სამინისტროს ყოფილი თანამშრომელი, 32 წლის გრიგოლ ხურცილავა სცნო და მას 13 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. მკვლელობის ოფიციალურ მიზეზად კი პირადი მოტივი დასახელდა.



2004 წლის დეკემბერში საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატამ არ დააკმაყოფილა სანაიას მეუღლის, ხათუნა ჩხაიძის მოთხოვნა, რომელიც მეუღლის მკვლელობის საქმის ხელახლა გამოძიებას მოითხოვდა. ხათუნა ჩხაიძეს მიაჩნდა, რომ გამოძიება პროცესუალური ნორმების დარღვევით წარიმართა. სასამართლომ ასევე არ დააკმაყოფილა გრიგოლ ხურცილავას ადვოკატ დავით დადიანის მოთხოვნაც დაცვის ქვეშ მყოფისთვის განაჩენის შემსუბუქებაზე.

დავით დადიანის მტკიცებით, გრიგოლ ხურცილავამ დანაშაული აფექტის მდგომარეობაში ყოფნისას ჩაიდინა.

გიორგი სანაიას მკვლელობას ქვეყანაში მრავალათასიანი საპროტესტო აქციები მოჰყვა. საზოგადოების დიდი ნაწილი მომხდარს მის პროფესიულ საქმიანობას უკავშირებდა და მიაჩნდა, რომ მას საფუძვლად პოლიტიკური მოტივი ედო.

ერთ-ერთი ვერსიით, სანაიას მკვლელობა გარკვეული პოლიტიკური ჯგუფების ინტერესებში შედიოდა, რადგან ამ საბაბით შესაძლებელი გახდებოდა უფლებაშელახული და მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი საზოგადოების ქუჩაში გამოყვანა.

სხვა ვერსიის თანახმად, ჟურნალისტის მკვლელობა ქვეყნის შინაგან საქმეთა სამინისტროს დისკრედიტაციას ისახავდა მიზნად, რომლის საბოლოო შედეგი ასევე სახალხო მღელვარება უნდა გამხდარიყო. კერძოდ, გარკვეული ჯგუფი მომხდარს იმთავითვე პანკისის ხეობაში არსებულ მძიმე კრიმინალურ ვითარებას და იმ ვიდეოკასეტას უკავშირებდა, რომელზეც, გავრცელებული ინფორმაციით, შინაგან საქმეთა და უშიშროების სამინისტროების მაღალჩინოსნები ნარკობარონებთან ერთად იყვნენ აღბეჭდილნი.

საზოგადოების მცირე ნაწილი იმ დროს სერიოზულად განიხილავდა ჟურნალისტის გაქურდვის მიზნით მოკვლის ვერსიასაც. მკვლელობაში ზოგმა რუსული სპეცსამსახურების კვალი და გეგმა ამოიცნო.

რამდენიმე თვის წინათ გიორგი სანაიას ოჯახმა ჟურნალისტის მკვლელობის ხელახალი გამოძიება მოითხოვა. გიორგი სანაიას ძმის, ასევე ჟურნალისტის, ვახო სანაიას განცხადებით, საქმის ხელახალი გამოძიების მოთხოვნით ოჯახი პროკურატურას მიმართავდა.

„ყველაფერი წარიმართა ფალსიფიცირებულად, ამიტომ საჭიროა ამ საქმის ხელახალი გამოძიება, ჩვენ ამისთვის მივმართავთ პროკურატურას, ოჯახი ყველანაირად დავეხმარებით, დადგეს ობიექტური ჭეშმარიტება, დადგინდეს სიმართლე, თუ ვინ, რატომ, რა მიზნით შეუკვეთა ეს პოლიტიკური მკვლელობა. ვინ იყვნენ თანამონაწილეები, დამკვეთები, დამხმარეები და ასე შემდეგ“, –- აცხადებდა ვახო სანაია.

გიორგი სანაია 1975 წელს სამეგრელოში დაიბადა. შემდეგ საცხოვრებლად თბილისში გადავიდა. დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტი. სტუდენტობის პერიოდშივე მუშაობდა სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთში, მოგვიანებით, სიცოცხლის ბოლომდე –- ტელეკომპანია „რუსთავის-2“-ში. აქ გიორგი სანაიას იმ დროისათვის პოპულარული თოქ-შოუ „ღამის კურიერი“ მიჰყავდა.

გიორგი სანაია დღემდე ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ ქართველ ტელეწამყვანად და ერთ-ერთ საუკეთესო ჟურნალისტად მიიჩნევა. დაკრძალულია თბილისში, საბურთალოს პანთეონში.

**მედიანიუსი**

# ბიძინა ივანიშვილი: „ჩემთვის სასიამოვნო იქნებოდა, თუ კონდოლიზა რაისი მრჩევლობას იტვირთებდა“

„ჩემთვის სასიამოვნო იქნებოდა, თუ ისეთი პოლიტიკოსი, როგორიც კონდოლიზა რაისია, ჩემს მრჩევლობას იტვირთებდა“, – . ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა.

იგი პრესაში გავრცელებულ ინფორმაციას გამოეხმაურა, რომლის თანახმადაც, კონდოლიზა რაისი საქართველოს პრემიერის მრჩევლად ინიშნება. ეს ინფორმაცია მას შემდეგ გავრცელდა, რაც საპარლამენტო უმრავლესობის დეპუტატები თედო ჯაფარიძე და თინა ხიდაშელი აშშ-ში კონდოლიზა რაისს შეხვდნენ.

ივანიშვილის თქმით, ინფორმაცია, თითქოს კონდოლიზა რაისი მის მრჩევლად ინიშნება, ახლახან შეიტყო.

„ჩემთვის სასიამოვნო იქნებოდა, თუ ისეთი პოლიტიკოსი, როგორიც კონდოლიზა რაისია, მრჩევლობას იტვირთებდა. მე მივესალმებოდი და მადლობასაც გადავუხდიდი“, –- განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა და დასძინა, რომ როგორც მას უთხრეს, ამ ინფორმაციასთან დაკავშირებით „არის ცდომილება“.

**მედიანიუსი**

# უნდა აიკრძალოს თუ არა უცხოელებისთვის მიწის მიყიდვა

გულიკო ბალაძე

**საქართველოში მიწების უცხოელებზე გასხვისების შესახებ კანონის ნორმა შეიძლება კვლავ ამოქმედდეს, რადგან არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა“ ქართული მიწების უცხოელებზე მიყიდვის აკრძალვას ეწინააღმდეგება და საკონსტიტუციო სასამართლოს მეშვეობით ცდილობს, ეს აკრძალვა გააუქმოს.**

**„უფლებადამცველთა გაერთიანების“ თავმჯდომარე ნიკოლოზ მჟავანაძემ, „ახალგაზრდა ადვოკატების“ ხელმძღვანელმა არჩილ კაიკაციშვილმა და „ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაციის“ პრეზიდენტმა ნოდარ ჭიჭინაძემ „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ მიერ მიწის გასხვისების აკრძალვის თაობაზე საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელის შეტანის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით პრესკონფერენცია გამართეს.**

რამდენიმე დღის წინ „საერთაშორისო გამჭვირვალობამ დაფიქსირა პოზიცია, რომ ისინი ეწინააღმდეგებიან ხელისუფლების გადაწყვეტილებას 2014 წლის 31 დეკემბრამდე უცხოელებზე მიწის მიყიდვის აკრძალვას.

„საერთაშორისო გამჭვირვალობას“ აღნიშნულთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლოში შეაქვს სარჩელი, ვინაიდან მიღებული კანონი, მათი აზრით, არაკონსტიტუციურია და უნდა გაგრძელდეს უცხოელებზე მიწების გასხვისება.

„საერთაშორისო გამჭვირვალობის“ პოზიცია მიუღებელია „უფლებადამცველთა გაერთიანებისთვის“ „ახალგაზრდა ადვოკატებისათვისა“ და „ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაციისათვის“, ვინაიდან, მათი განცხადებით, ფაქტია, რომ ქვეყანაში მიწის შესახებ კანონმდებლობა დასარეგულირებელია.

— სააკაშვილის მმართველობის პერიოდში ათასობით ჰექტარი მიწა გასხვისდა უცხოელებზე. რიგ შემთხვევაში, მიწების გასხვისება კანონდარღვევით განხორციელდა. ხელისუფლებას არ უთქვამს, რომ ის საერთოდ აკრძალავს მიწების უცხოელებზე გაყიდვას. უბრალოდ, საუბარია იმაზე, რომ გამკაცრდეს სხვა ქვეყნის მოქალაქეებზე მიწების გადაცემა, რაც ბევრ ქვეყანაში განხორციელდა, — აცხადებს ნიკოლოზ მჟავანაძე.

ნიკოლოზ მჟავანაძის განცხადებით, მსგავსი რეგულაციები მოქმედებს შვეიცარიაში, იტალიაში, იაპონიაში, ნორვეგიაში, გერმანიაში, სადაც უცხოეთის მოქალაქეს მიწის საკუთრებაში მიღებისთვის საკმაოდ რთული პროცედურების გავლა სჭირდება.

— არაა გამორიცხული, „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, კვლავაც დაიწყოს მიწების უცხოელებზე გასხვისება, რაც ჩვენი ქვეყნისთვის კარგ შედეგებს ნამდვილად არ მოიტანს. ყოველივე ამას არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები კატეგორიულად ვეწინააღმდეგებით და ვეთანხმებით პარლამენტის 28 ივნისს „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს კანონში მიღებულ ცვლილებებს და ვთვლით, რომ მიწების გასხვისება უნდა შეჩერდეს შესაბამისი კანონმდებლობის დახვეწამდე, — აცხადებენ არასამთავრობო ორგანიზაციები.

— ამრიგად, დასავლეთი ევროპის უმეტესი ქვეყნები მიწის ბაზრის მკაცრ კონტროლს ახორციელებენ. არის ქვეყნები მიწის ბაზრის ლიბერალური რეჟიმით, მიწის უფრო გაადვილებული ყიდვა-გაყიდვითა და საიჯარო ურთიერთობებით. ამ ქვეყნებშიც არის შეზღუდვები სასოფლო-სამეურნეო მიწების სხვა დანიშნულებით გამოყოფის, დაბეგვრის, საკუთრებაში გადაცემის მიმართულებით. მიწის ბაზრისადმი უფრო ლიბერალური დამოკიდებულება ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო რესურსებით, ეროვნული და ისტორიული ტრადიციებით არის განსაზღვრული, — ასეთია „უფლებადამცველთა გაერთიანების“ თავმჯდომარე ნიკოლოზ მჟავანაძის პოზიცია.

ვფიქრობთ, ნიკოლოზ მჟავანაძისა და ამ არასამთავრობოების პოზიციას საქართველოს მოქალაქეთა უმრავლესობა იზიარებს.

— ბატონო ნიკა, ეს საკითხი ქართველი ერისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობისაა, რადგან საქართველო მცირემიწიანი ქვეყანაა და თან მისი ტერიტორიები რუსეთს აქვს ოკუპირებული. რატომ უნდა იყოს რომელიმე არასამთავრობო ორგანიზაცია მიწის უცხოელებზე გაყიდვის აკრძალვის წინააღმდეგი? მოგეხსენებათ, წინა საუკუნეში კომუნისტების მიერ უცხოელებზე მიწის დიდი ოდენობა გასხვისდა, რამაც ჩვენს ქვეყანას ძალიან დიდი პრობლემები შეუქმნა.

— ჩემთვისაც გაუგებარია „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ პოზიცია, თანაც, სახელმწიფოს არ უთქვამს, ჩვენ მიწებს არ გავყიდით და საბოლოოდ აიკრძალება უცხოელებისთვის მიწების მიყიდვაო. აქ საუბარია მიწის გაყიდვის საკითხის კანონ-



მდებლობით დარეგულირებასა და კანონმდებლობის დახვეწაზე, თან უნდა იყოს ძალიან მკაცრი. უცხოელისთვის მიწის მიყიდვა მთავრობის დონეზე უნდა გადაწყდეს. ის ადამიანი საქართველოში კანონიერად წლების განმავლობაში უნდა ცხოვრობდეს და უნდა ჰქონდეს ფერმერად მუშაობის გამოცდილება. ასეთი კრიტერიუმებია უცხოეთის ქვეყნებში. არსად არ ხდება ისე, უცხოელი რომ ჩავიდეს და მაშინვე მიწა შეიძინოს. ამ წუთშიც ჩემთან მარტყოფიდან ხალხი მოვიდა, ჩვენ საძოვრები არ გვაქვს და სოფლის მიწები გასხვისდაო. არის საფრთხე, საკონსტიტუციო სასამართლომ „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ სარჩელი დააკმაყოფილოს. თქვენ კარგად იცით, რომ სასამართლოებში იგივე მოსამართლეები არიან. მათი გადაწყვეტილებები ობიექტურობასთან ცოტა მწყრალად არიან. არ არის გამორიცხული, „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, რეალურად, კვლავ დაიწყოს უცხოელებზე მიწების გაყიდვა. რეალურად, პარლამენტმა ერთადერთი ნორმალური გადაწყვეტილება მიიღო, რომელიც ხალხის ნებას ასახავს მიწების უცხოელებზე გასხვისების შეჩერების შესახებ. კანონშემოქმედებითი საქმიანობით ჩვენი პარლამენტი არ გამოირჩევა და ამიტომაც თქვა ბიძინამ, 2-3 კაცი თუ არის იქ, რაღაცას რომ აკეთებსო. ამიტომაც ვითხოვთ ყველანი, ჩატარდეს ვადამდელი არჩევნები. ამიტომ „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ მოთხოვნა, რომ ამ საკითხზე საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელის შეტანა, გაუქმდეს აკრძალვა, უცხოელების უფლებებს ლახავსო, მიუღებელია. ჩვენ ამას ვეწინააღმდეგებით. ჩვენ ახლა ახალ ველოსიპედს ვერ გამოვიგონებთ, უნდა გამოვიყენოთ სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილება. თურმე უცხოელებზე მიწა თუ არ გაიყიდება, ამით ქართული ეკონომიკა ჩამოიშლება, რაც აბსურდია. „საქართველოს ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაციის პრეზიდენტ ნოდარ ჭიჭინაძეს ეს საკითხი თავიდან ბოლომდე შესწავლილი აქვს ეკონომიკური კუთხით. არასამთავრობო ორგანიზაციები ვფიქრობთ, რომ აკრძალვა 2014 წლის ბოლომდე უნდა შენარჩუნდეს. შემდგომში თუ გასხვისდება მიწები, ძალიან მკაცრად უნდა იყოს დარეგულირებული და მთავრობის დონეზე გადაწყვეტილი.

— მოგეხსენებათ, რიგ არასამთავრობოებს სათავო ოფისები სხვა ქვეყნებში აქვთ ან მათი დაფინანსება ხდება უცხო ქვეყნებიდან. ამ შეზღუდვის შემოღება ხომ არ იწვევს ჩვენი პარტნიორი ქვეყნებისა და ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციების რაიმე შენიშვნებს?

— არავის გამოუთქვამს ამის გამო შენიშვნა. ერთადერთი, „საერთაშორისო გამჭვირვალობამ“ გამოთქვა ამაზე უარყოფითი აზრი. ეს არის ჩემთვის გასაკვირი. რეალურად, პატრიარქის მოწოდებაც იყო და ხალხის მოწოდებაც, რომ მიწების ასეთი სახით გასხვისება არ არის დასაშვები. ეს იყო მთელი საზოგადოების მოწოდება. ამიტომ არ მესმის, რატომ უნდა წავიდეს ორგანიზაცია ხალხის, საზოგადოებისა და საპატრიარქოს წინააღმდეგ. ეს არის ჩემთვის გაუგებარი და შოკისმომგვრელი. „საერთაშორისო გამჭვირვალობას“ ძალიან კარგი კვლევები აქვს, მათ მიმართ სიმპათიით ვარ გამსჭვალული, მაგრამ ამ საკითხში ნამდვილად ვერ დავეთანხმები. როდესაც მას პრესკონფერენცია ჰქონდა, საზოგადოებამ ძალიან ნეგატიური დამოკიდებულება გამოხატა. საქმე იქამდეც მივიდა, ამბობდნენ, საერთოდ, არასამთავრობოები აიკრძალოსო. ამიტომ ჩვენ იძულებული ვიყავით, ჩვენი პოზიცია დაგვეფიქსირებინა. ხალხმა უნდა იცოდეს, რომ არასამთავრობო სექტორი არ არის ერთიანი.

# რა ზიანი მიაყენა შპს „კომფორტს“ რუსეთმა

მერი ნამორაძე

საქართველოს მთავრობამ 2008 წლის სექტემბერში რუსეთის ფედერაციის სამხედრო აგრესიის შედეგად საქართველოს სამოქალაქო სექტორისათვის მიყენებული ზარალის შემსწავლელი და დამდგენი კომისია შექმნა. თითქოს საშური და კარგი საქმე უნდა გაკეთებულიყო ამით, მაგრამ კომისიამ 2010 წლის აპრილში ისე შეწყვიტა მუშაობა, მისი საქმიანობის შედეგები საზოგადოებისთვის დღემდე უცნობია. შესაბამისად, პირში ჩალაგამოვლებულნი დარჩნენ ის ადამიანები, რომლებიც სასოებით ელოდნენ სახელმწიფოსგან დახმარებას. 2008 წლის მოვლენების შედეგად დაზარალებული სამოქალაქო საზოგადოების ინტერესების დაცვა ისევ სახალხო დამცველმა ითავა და უჩა ნანუაშვილმა საქართველოს მთავრობას წინადადებით მიმართა, რათა შეისწავლოს 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის მიყენებული ზარალის ყველა კონკრეტული ფაქტი და კანონშესაბამისი გადაწყვეტილება მიიღოს.

ნანუაშვილმა შპს „კომფორტის“ მაგალითი აღუწერა ხელისუფლებას, რომელიც ამჟამად ოკუპირებულ ტერიტორიებზე 2008 წელს გზების მშენებლობას აწარმოებდა.

როგორც ომბუდსმენის აპარატის მიერ გავრცელებულ განცხადებაშია აღნიშნული, სახალხო დამცველს განცხადებით, შპს „კომფორტის“ დირექტორმა აკაკი ბურკიაშვილმა მიმართა. განმცხადებელი 2008 წლის აგვისტოს თვეში, რუსეთ-საქართველოს ომის შედეგად მისი კომპანიის მიმართ მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურებაზე სახელმწიფოს პასუხისმგებლობას ითხოვს.

„საქმის შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ შპს „კომფორტი“ 2008 წლის აგვისტოში, საომარი მოქმედებების დაწყებამდე, ამჟამად ოკუპირებულ ტერიტორიებზე გზების მშენებლობას აწარმოებდა. საომარი მოქმედებების შედეგად კომპანიის როგორც საკუთრებაში არსებული ტექნიკის დიდი ნაწილი, აგრეთვე სალიზინგო ხელშეკრულებით მათ მფლობელობაში არსებული ტექნიკა-მოწყობილობები და სათადარიგო ნაწილები სრულად ოკუპირებულ ტერიტორიაზე დარჩა, რის შედეგად შპს „კომფორტს“ დიდი ოდენობით მატერიალური ზიანი მიადგა. საწარმომ აღნიშნული ზარალის გამო ვეღარ შეძლო, სათანადოდ განეხორციელებინა სამეწარმეო საქმიანობა, რამაც კომპანია გაკოტრების წინაშე დააყენა.

საქართველოს მთავრობამ 2008 წლის სექტემბერში შექმნა რუსეთის ფედერაციის სამხედრო აგრესიის შედეგად საქართველოს სამოქალაქო სექტორისათვის მიყენებული ზარალის შემსწავლელი და დამდგენი კომისია, რომელმაც 2010 წლის აპრილში ისე შეწყვიტა მუშაობა, რომ მისი საქმიანობის შედეგები საზოგადოებისთვის დღემდე უცნობია.

საქართველოს კონსტიტუციით, მოქალაქეთა მფარველობა და დაცვა სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებაა. საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად, ყველა ის პირი, რომელიც უშუალოდ საომარ მოქმედებებში არ მონაწილეობს, სარგებლობს საერთაშორისო-სამართლებრივი დაცვის უფლებით. ამასთან, ჟენევის 1949 წლის კონვენცია „ომის დროს სამოქალაქო მოსახლეობის დაცვის შესახებ“ ადგენს, რომ ნებისმიერი პიროვნება, რომელსაც კონფლიქტი შეეხო, უფლებამოსილია, სახელმწიფოსგან მოითხოვოს მისი ძირითადი უფლებებისა და გარანტიების დაცვა. შესაბამისად, საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებიდან გამომდინარე, სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ 2008 წელს აგვისტოში საომარი მოქმედებების შედეგად შპს „კომფორტის“ მიერ განცდილ ზარალთან დაკავშირებით სახელმწიფოს, შესაძლებლობის ფარგლებში, კონკრეტული ღონისძიებები უნდა განეხორციელებინა“, — ნათქვამია ომბუდსმენის განცხადებაში.

# რას მოუტანენ სკოლებს ახალი დირექტორები

როლანდ ხოჯანაშვილი

ახალი ცოცხისა არ იყოს, ახალი მინისტრები საგანმანათლებო სფეროში ნოვაციებით მოდიან, მაგრამ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დაწყების პირველსავე დღეებში იწყება მათი განქიქება. მარგველაშვილის კეთილი ნების გამოვლენის გამო (წასულიყო საპრეზიდენტო წინასაარჩევნო პერიოდის დასაწყისიდანვე თანამდებობიდან) თამარ სანიკიძე დაინიშნა განათლებისა და მეცნიერების მინისტრად. არ მახსენდება განათლების სამინისტროს პირველი პირი, რომელიც არ იყოს რაღაც(ებ)ით გაქილიკებული. ლომასიას ბავშვის დაწერას უწუნებდნენ, შაშკინს—დირექტორების სისხლის დალევით დამუქრებას, მიმინოშვილს მოკლევადიან მინისტრობას, მარგველაშვილს—სახელმძღვანელოების გამო აუმხედრდნენ და კიდევ, მისი ნაქსოვის ხარისხზეც მსჯელობდნენ (მარგველაშვილის ცნობილი ფოტო წინდის ქსოვის მომენტში ბევრს უნახავს), სანიკიძე „აფსოლიტურად“ და „მიკერძოვებულად“ დაიწუნეს. ამ ეტაპზე ყველა ნამინისტრალის გახსენება არც ღირს ალბათ, თორემ ყველას აქვს თავისი „გრეხი“, რომლის გამო ან ვბრაზობთ, ან ვიღიმებით.

70 ათასზე მეტი პედაგოგი, რომლებიც ყოველთვის ითვლებოდნენ არსებული ხელისუფალთა მხარდამჭერებად, არც შემოდგომაზე დანიშნულ საპრეზიდენტო არჩევნებზე იქნება არამსუყე ელექტორატული ლუკმა.ტრადიციულად, პედაგოგებს კი წინამძღოლი სჭირდება, რომ მარშირებით მივიდნენ საარჩევნო უბანზე და ხმა მისცენ იმას, ვისაც ბრძანებს დირექტორი. დირექტორები კი ყოველთვის იმას ბრძანებდა, რასაც რესურსცენტრები ჩასძახებდნენ. დაახლოებით ერთი თვის წინ შემთხვევით გადავაწყდი ერთი სოფლის დირექტორს, რომელიც ახლა ძალიან „დასპაკოინებულია“, თორემ 1 ოქტომბრამდე იელოუსტონის გეიზერივით თუხთუხებდა. თუ უბრძანებს ვინმე, ისევ დააბრახუნებს ქალისთვის უჩვეულო მუჭებით (კომპლექსი: მე მოვკლავ დედას, დავახრჩობ მამას, თუკი პარტია მიბრძანებს ამას). ისე, მასწავლებლების საერთო განწყობა ამჟამად მუშტების დაბრახუნებას არ დაიჭირვებს, რადგან ყველაზე პრივილიგირებული პედაგოგები აღმოჩნდნენ. ხელფასის ზრდის გარდა სახელმძღვანელოებზე ხელმისაწვდომობა მათთვის პროფესიული კომფორტია.

საჭიროა თუ არა სკოლებში ახალი დირექტორები? ბუნებრივია, რომ სკოლებს სჭირდება ახალი დირექტორები და არა პოლიტიკური თვალსაზრისით. საგანმანათლებო სისტემა მუდმივად პროგრესირებადია და მას ფეხი უნდა აუწყოს პირველ რიგში დირექტორმა. სამწუხაროდ, დირექტორების საკითხი ხან ლოტოტრონს მიაბარეს, ხან—საეჭვო ტესტებს და გასაუბრებას. იდეალურ მეთოდს, რომელის სკოლის დირექტორს გამოავლენს, საქართველოში ვერ მიაგნებენ, თუმცა დასავლური გამოცდილების გათვალისწინებას დამატებული ქართული სპეციფიკა ამოიყვანს სკოლას იმ ჩიხიდან, რომელშიც კარგა ხანია შევიდა ჩვენთვის ყველაზე სტრატეგიული დარგი.

სასერტიფიკაციო გამოცდის წარმატებულად ჩაბარება არ გულისხმობს დირექტორის სრულყოფილებას, თუმცა 60% -იანი ქულების მქონე დირექტორობის მსურველიც უკვე ნიშნავს პოტენციურ კანდიდატს.მინიმალური ზღვარის გადალახვის შემდეგ გასაუბრების ეტაპსაც თუ გადალახავს პირი( როგორცგანათლებისადამეცნიერებისმინისტრი, თამარსანიკიძეამბობს, გასაუბრებისეტაპსკანდიდატებისამინისტროშიშექმნილკომისიასთანგაივლიან,რომლისშემადგენლობაშიცპროფკავშირისწარმომადგენელიციქნება), მაშინ მის დირექტორად დანიშვნას მხოლოდ ერთი ბარიერი ეღობება წინ: სამეურვეო საბჭო.

სამივე ფაქტორი ბადებს კითხვებს. სავარაუდოდ, ონლაინრეჟიმში დარეგისტრირებულ კანდიდატებს ის მასალები წინასწარ ექნებათ „დასასწავლი“, რომელსაც სამინისტრო სახელმძღვანელოდ გამოაქვეყნებს და რამდენად იქნება ორიენტირებული საატესტაციო მასალა სკოლაზე?! იმედია, „ნინი ჟირაფია“ არ ექნებათ ჩასაბარებელი მომავალ დირექტორებს. გასაუბრების პერიოდში კი რამდენად იქნება კომპეტენტური კომისია?! დიდი სკოლებისთვის ფარული ბრძოლა დიდი ხანია, დაიწყო და ყველა ცდილობს ფეხის კარგად მოკიდებას. აქაც დავიტოვოთ იმედი და პროტექციონიზმს ეგებ არ ჰქონდეს ადგილი. მესამე ფაქტორი, რომელიც სამეურვეო საბჭოს გულისხმობს, ეს ზედმიწევნით საგულისხმოა. თუ გავიხსენებთ მიმდინარე ზაფხულზე „ძალად არჩეულ“ სამეურვეო საბჭოებს(სამეურვეო საბჭოს წევრობა თითქმის არავის სურდა), უკვე უნდა დავსვათ კითხვა: ეყოფა კომპეტენცია იმ 7 ან მეტკაციან სამეურვეო საბჭოებს, რომ კარგი დირექტორი შეარჩიონ?! ცალკე საკითხია, კომპეტენციის გარდა, სინდისის კარნახით თუ იმუშავებენ საბჭოს წევრები? თბილისის ერთი ცნობილი სკოლის მასწავლებელი წამეტრაბახა(დაავიწყდა, რომ ჩემთან „წამოცდენაც“ არ შეიძლება, მით უფრო—ტარაბახი), რომ სამეურვეო საბჭო სულ ჩვენია, ძველს გავაგდებთ და მე დირმოადგილეობა არ ამცდებაო. ხელისუფლების სიყვარულის გარდა ალბათ აქ სხვა არაფერი ჩანს, რადგან ერთი პერიოდი დირექტორიც ვიყავი, მოადგილეც და პასუხისმგებლობებმა კინაღამ გადამიტანამეთქი, მაგრამ კაცია და გუნება!

პირველ ეტაპზე 600-მდე სერტიფიცირებული დირექტორი მაინც იქნება საჭირო, მომავალი წლიდან კიდევ უფრო მკაფიოდ გამოიკვეთება საჭიროება, თუმცა სერტიფიცირების პირველი ეტაპი გვიჩვენებს, რამდენად განსხვავებული იქნება თვისობრივად ახალი კონკურსი ძველად ჩატარებულისაგან.

სერტიფიცირების მიზანი, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც მართლდება იმით, რომ სკოლებში აიწიოს კვალიფიკაციამ და სწავლა-სწავლების ხარისხმა.

აქვე გაფრთხილება: იმ კანდიდატებს, რომელთაც სკოლის დირექტორობა იმისთვისაც უნდათ, რომ არასასურველი კადრებისგან „გაწმინდოს“ სკოლა, ამის უფლებას ადვილად უკვე „შრომის კოდექსი“ არ იძლევა...

# უნიკალური აღმოჩენა „დედოფლის გორაზე“

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ხვის შუა საუკუნეებამდე ვითარდებოდა, ამიტომ ძეგლზე აღმოჩენილი არტეფაქტები სხვადასხვა პერიოდისაა. ჯერ ვერ ვისაუბრებ დასახლების მნიშნელობაზე, რადგან ობიექტის ძალიან მცირე ნაწილია შესწავლილი. არქეოლოგებმა მხოლოდ ზედა ფენები, გვიანდელი ხანის ნამოსახლარი, შეისწავლეს. არ არის გამორიცხული საკურთხევლის ნაშთების აღმოჩენა, თუმცა ეს შეიძლება იმასაც მიანიშნებდეს, რომ ეს საკურთხეველი სახლში იყო მოწყობილი. ქვევით გათხრები ჯერ არ ჩასულა. ჯერ გაკეთებულია სტრატიგრაფიული ჭრილით ფენების დადგენა და ეს რომ გაითხრება კიდევ რა გველოდება კაცმა არ იცის.

არქეოლოგები „დედოფლის გორაზე“ კიდევ მრავალ აღმოჩენას ელიან.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის სამეცნიერო კაფეში წარმოდგენილი იყო ავსტრალიის მელბურნის უნივერსიტეტის დოქტორანტისა და საქართველო-ავსტრალიის არქეოლოგიური კვლევების ფარგლებში მიმდინარე გათხრების მონაწილის ალექსანდრა მიშალევიჩის ლექცია თემაზე „კავკასიის იბერიის სამთავროს სასაფლაო: უახლესი კვლევები“.

მისი თქმით, სამთავროს სასაფლაო უნიკალურია კავკასიაში თავისი ზომით და გამოყენების ხანგრძლივობით. იგი მდებარეობს ძველ მცხეთაში და გამოიყენებოდა დასაფლავების მიზნით გვიანი ბრინჯაოს და რკინის ხანაში, ასევე რომაულ და გვიან ანტიკურ პერიოდებში. პრეზენტაციაზე წარმოდგენილი იყო მონაცემები, რომელიც მოპოვებული იქნა საბჭოთა და პოსტ-საბჭოთა პერიოდებში. პროექტი ნათელს ჰფენს გვიანი ანტიკური დროის სასაფლაოს შესახებ არსებულ მონაცემთა ერთ-ერთ უდიდეს კოლექციას, რომელიც ინახება საქართველოს ეროვნული მუზეუმის მატერიალური კულტურის არქივებში.

– სამთავრო თავისი ექსტენსიური და ამავდროულად მოკრძალებული სამარხებით იძლევა რეგიონის მოსახლეობის და ადათ-წესების ზუსტი სურათის აღდგენის შესაძლებლობას. ცხადი ხდება, რომ ამ ადგილის ფართომასშტაბიანი შესწავლა დაგვეხმარება იბერიის განვითარებისა და კულტურული თავისებურებების უკეთესად გააზრებაში, – მიაჩნია ლექციის ავტორს.

პრეზენტაციის სპონსორობა სამხრეთ კავკასიის ამერიკული კვლევის ინსტიტუტმა და საქართველოს ეროვნული მუზეუმის სამეცნიერო კაფემ ითავეს. პრეზენტაციაზე დასწრება კი თავისუფალი იყო.

ეროვნული მუზეუმის სამეცნიერო კაფეში ჩრდილოეთ ტეხასის უნივერსიტეტის პროფესორმა რიდ ფერინგმა წარმოადგინა პრეზენტაცია თემაზე „ევრაზიის უძველესი ადამიანი დმანისიდან“.

– დმანისის ადგილსაპოვებელი დღეს საქვეყნოდაა ცნობილი. აქევრაზიის პირველმოსახლეების შესახებ ღირსშესანიშნავი მონაცემებია მოპოვებული. დმანისის 7 მეტრამდე სიმძლავრის ვულკანური ფერფლის შემცველი ფენები, რომელიც 1.85-1.76 მილიონი წლითაა დათარიღებული, შეიცავს ცხოველთა ათასობით განამარხებულ ნაშთს, ქვის იარაღებსა და აქ მცხოვრები ჰომო ერექტუსის პოპულაციის შესანიშნავად შემონახულ ძვლებს. ეს ლექცია იმ ხანგრძლივი კვლევის მოკლე მიმოხილვაა, რომელსაც ქართული მხარის ხელმძღვანელობით მეცნიერთა საერთაშორისო გუნდი ატარებს. დეტალური ინფორმაცია წარსული გარემოს შესახებ წარმოდგენას გვიქმნის ოკუპაციის ტიპსა და ჰომო ერექტუსის საქმიანობაზე. ქვის იარაღების მატიანე იცვლება დროში ოკუპაციის ინტენსივობის მიხედვით, ხოლო ცხოველთა ძვლების უამრავი ნაშთი მიუთითებს ჰომო ერექტუსის წარმატებულ კონკურენციაზე დიდი ზომის მტაცებლებთან, მათ შორის, ხმალკბილა ვეფხვებთან, იაგუარებსა და აფთრებთან, – აღნიშნა კაფეში ჩრდილოეთ ტეხასის უნივერსიტეტის პროფესორმა.



პრეზენტაციაზე დასწრება ნებისმიერი მსურველისთვის თავისუფალი იყო.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის სამეცნიერო კაფეში შედგა მორიგი პრეზენტაცია, რომელიც მიეძღვნა ლაგოდეხში, სოფელ ჭაბუკიანთან, არსებული ყორღანის გათხრისას გაკეთებულ აღმოჩენებს.

– აღმოჩენილი არტეფაქტები და ნივთები ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა ჩვენს ტერიტორიაზე მცხოვრები უძველესი ადამიანების სოციალური და ეკონომიური ურთიერთობების, მათი რელიგიის და კულტურის შესახებ, – განაცხადა საქართველოს ეროვნული მუზეუმის ოთარ ლორთქიფანიძის სახელობის არქეოლოგიის ცენტრის უფროსმა ზურაბ მახარაძემ, რომელიც პრეზენტაციას პირადად უძღვებოდა.

მისი განმარტებით, შარშან ოქტომბრის დასაწყისში, ლაგოდეხში წარმოებული გათხრები მნიშვნელოვანი და საინტერესო აღმოჩენით დასრულდა. სოფელ ჭაბუკიანთან, ალაზნის ჭალებში გრანდიოზული, მდიდარი არქეოლოგიური მასალის, მათ შორის ოქროს ნივთების შემცველი ყორღანი გაითხარა, რომელიც ადრე ბრინჯაოს ხანას – ძველი წელთაღრიცხვის III ათასწლეულს განეკუთვნება.

– ექსპედიციის დროს გაითხარა დიდი ზომის 2 ყორღანი, მაგრამ განსაკუთრებული მნიშვნელობის ანანაურის № 3 ყორღანი გამოდგა, რომელიც გრანდიოზულია თავისი ზომებით – 100 მეტრი დიამეტრითა და 12 მეტრი სიმაღლით. ასეთი დიდი ყორღანი ოცდაათ წელზე მეტია არ გათხრილა საქართველოში. ყორღანის ყრილი თიხისაა. ზედა მხარეს მას ქვის ჯავშანი იცავდა, რომლის ქვეშაც ხით გადახურული, საკმაოდ მოზრდილი კამერა იყო. ეს დასაკრძალავი დარბაზი გახლდათ და შესაბამისად, მისი მთავარი ატრიბუტიც ორი ოთხთვალა დასაკრძალავი ეტლი იყო. როგორც წესი, მსგავს სამარხებში ერთი ეტლი იდგა ხოლმე, რომელიც გარდაცვლილ ბელადს ეკუთვნოდა. ჯერჯერობით დაუდგენელია, ანანაურის ყორღანში რატომ იყო ორი დასაკრძალავი ეტლი. იქვე, კერამიკის და ოქროს ნივთებთან ერთად, აღმოჩნდა ტყავის, ჭილოფის, ქსოვილისაგან დამზადებული ნივთებიც. მსგავსი მასალა, დროს ვერ უძლებს, თუმცა, დარბაზში ისეთი მიკროკლიმატი შეიქმნა, რომ არა მარტო ნაზი ქსოვილები შემოგვრჩა, არამედ სხვადასხვაგვარი ხილიც კი, მაგალითად: თხილი, წაბლი და ტყის სხვადასხვა ჯიშის კენკრა, რომლებიც კალათებით აქა-იქ იყო ჩადგმული, – განაცხადა პრეზენტაციის ხელმძღვანელმა.

მისივე განცხადებით, თითოეულ ნიმუშს ლაბორატორიაში შეისწავლიან:

– დეტალებიც მხოლოდ კვლევის დასრულების შემდეგ გამოიკვეთება, რაც უთუოდ მნიშვნელოვანი დეტალებით გაამდიდრებს ჩვენს ცოდნას ადრე ბრინჯაოს ხანის შესახებ. აღნიშნული ყორღანი ადრე ბრინჯაოს ხანის ბედენის კულტურას განეკუთვნება.

ეროვნულ მუზეუმში დაგეგმილ პრეზენტაციაზე დასწრება ამჯერადაც თავისუფალი იყო.

ლექცია საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორიაში ჩაატარა კალიფორნიის უნივერსიტეტის პროფესორმა მერილინ კელი-ბუჩელატმა.

– მერლინ კელი-ბუჩელატი არის კოტსენის არქეოლოგიის ინსტიტუტის, კალიფორნიის უნივერსიტეტის (ლოს ანჯელესი, ამერიკის შეერთებული შტატები) პროფესორი. იგი მუშაობს წინა აზიის არქეოლოგიაში. მისი კვლევის ინტერესია სირია-მესოპოტამია და მისი ურთიერთობა აღმოსავლეთ ანატოლიისა და კავკასიის რეგიონებთან. იგი მუშაობდა ჩრდილო-აღმოსავლეთ სირიაში ძეგლზე, ტელ მოზანი-ურქეში, – ამბობს ეროვნული მუზეუმის წარმომადგენელი ანა ვერულაშვილი.

მუზეუმის აუდიტორიაში პროფესორმა ივანე მენთეშაშვილმა დაინტერესებული საზოგადოებისთვის ჩაატარა ლექცია თემაზე „მარგარეტ ტეტჩერი – ფოლკლენდის კუნძულის ომი. ისტორიის გაკვეთილები“

როგორც ეროვნული მუზეუმის წარმომადგენელმა ანა ვერულაშვილმა „ახალ თაობას“ განუცხადა, დამთვალიერებელთა განსაკუთრებული ინტერესისა და თხოვნის გათვალისწინებით საქართველოს ეროვნული მუზეუმის დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნულ გალერეაში ნიკო ფიროსმანის განახლებული ექსპოზიციაა წარმოდგენილი:

– ექსპოზიცია „ფიროსმანი 150“ წარმოდგენილია საქართველოს ეროვნული მუზეუმის შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის ფონდებში დაცული ნიკო ფიროსმანაშვილის 103 ნამუშევარი. გამოფენა, ფიროსმანთან ერთად, დავით კაკაბაძისა და ლადო გუდიაშვილის ნამუშევრებსაც მასპინძლობს. განახლებულ ექსპოზიციაზე დამთვალიერებელს საშუალება ეძლევა იხილოს იაკობ ნიკოლაძის ექვსი ქანდაკება. აგრეთვე, წარმოდგენილი იქნება საქართველოს ეროვნულ არქივსა და იაკობ ნიკოლაძის სახლ-მუზეუმში დაცული ხელოვანის ცხოვრების და შემოქმედების ამსახველი ფოტოები. პირველად, ნიკო ფიროსმანის ნამუშევრებს ფართო საზოგადოება, 1913 წელს მოსკოვში გამართულ ავანგარდისტების გამოფენაზე გაეცნო. დღეს ფიროსმანი საქვეყნოდ ცნობილი მხატვარია. გასული საუკუნის დასაწყისიდან, ფიროსმანის შემოქმედება არაერთხელ იყო წარმოდგენილი ევროპისა და აზიის ქვეყნებში, მათ შორის უკრაინის, პოლონეთის, რუსეთის, უნგრეთის, ლიტვის, ბელორუსიის, საფრანგეთის, გერმანიის, იტალიის, იაპონიის, ჰოლანდიის, ინგლისის, ესპანეთის, თურქეთისა და სხვა ქვეყნების დედაქალაქების საგამოფენო სივრცეებში. აღსანიშნავია, რომ ნიკო ფიროსმანის შემოქმედების ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის გათვალისწინებით, იუნესკოს გენერალური კონფერენციის 36-ე სესიაზე მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, ნიკო ფიროსმანის დაბადებიდან 150 წლის იუბილე შეტანილია იმ ღონისძიებათა ნუსხაში, რომლის აღნიშვნაშიც 2012-13 წლებში იუნესკო მიიღებს მონაწილეობას.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის თბილისის ისტორიის მუზეუმმა, ტელეკომპანია „იმედთან“ და გადაცემა „იმედის გმირებთან“ ერთად წარმოადგინა არქიტექტორ ცირა ელისაშვილის ფოტოგამოფენას სახელწოდებით „ჭრელი თბილისი“.

– აღნიშნული გამოფენა წარმოადგენს საჩუქარს, რომელიც საქართველოს ეროვნულმა მუზეუმმა ერთ-ერთი „იმედის გმირისათვის“ დააწესა. ცირა ელისაშვილი გადაცემის ერთ-ერთი გმირია, რომელიც ზრუნავს ძველი თბილისის იერსახის და შენობების პირვანდელი ატრიბუტიკის დაბრუნება-შენარჩუნებაზე. ამ გამოფენაზე წარმოდგენილია თბილისის ისტორიული უბნებში სხვადასხვა პერიოდში გადაღებული 40-მდე ფოტო, რომლებზეც აღბეჭდილია ბევრი ისეთი სახლი, რომლის სხვადასხვა დეტალებს – აივნებს, კარს, ჭიშკარს დღეს ვეღარ ვიპოვით. დამთვალიერებელი გაეცნობა ძველ ისტორიულ თბილისს, ჭრელს, ფერადოვანს, ეზოებში გაფენილი სარეცხით, თავისი კულტურით, ეთნიკურობითა და სხვადასხვა არქიტექტურული სტილით. ეს არის ქალაქის ის სახე, რომელიც დროსთან ერთად ნელ-ნელა ქრება და მხოლოდ ფოტოებზე რჩება. გამოფენის დასრულების შემდეგ გაიყიდება ცირა ელისაშვილის მიერ შესრულებული ფოტოები. გაყიდვისას შემოსული თანხა გადაეცემა შპს „ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრის ბავშვთა განყოფილებას“ და მათ პაციენტებს. გამოფენის ორგანიზატორობა „პროკრედიტ ბანკმა“, „მეღვინეობა ხარებამ“ და რესტორანმა „კაბადოკია“ ითავეს, – განმარტავს ეროვნული მუზეუმის წარმომადგენელი.


**ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები**

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

**იცხოვრეთ მომავალისთვის.**
**უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.**




**საბანკო რეკვიზიტები:**
ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: LBRTGE22
ანგ. N GE28LB 0122 1802 48686 000



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)


## განცხადებები


● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571720311– ქ-ნი მარიამი.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასალებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.

● გახდომა 5-20 კგ-მდე დიეტის გარეშე, გასუქება 2-5 კგ თვეში, 3-ჯერადი კვებით, უვნებლად, მადის დარეგულირებით, შედეგის 100%-ით მუდმივად შენარჩუნებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ქ-ნი ქეთევანი 599-90-54-78; 234-02-38.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახრებზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშეულობის, ენურეზის (განტიკურეზი) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.

● დაქვეითებული სმენის, ნევრიტის, პროსტატიტის, ხშირი შარდვის, წითელი ქარის, სხვა დაავადებების განკურნება ასაკის მიუხედავად, ბიოენერგოინფორმაციული მასაჟის უნიკალური მეთოდით, არასკეპტიკოსებისათვის. მიღება შეზღუდულია ჩაწერით. ტრადიციული სამედიცინო საქმიანობის მართვის ცენტრთან არსებული საზოგადოების წევრი, სერთიფიცირებული დამსახურებული სახალხო მკურნალი ლევან სეხნიაშვილი. ტელ: 599-97-85-46.

● ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა საბან-ლეიბების განახლების მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი. განახლებული ლოგინი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ტელ: 235-15-96.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ძვალსახსართა პრობლემის მკურნალობა–ოსტეოპოროზი, ართრიტები, კოქსართროზი, დაზიანებული ხრტილის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-15-63-33 ექიმი ქ-ნი ნინო.

# ბათუმის ტურნირის წინ

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს სააქტო დარბაზში ბათუმი 3-3-ზე კალათბურთში საერთაშორისო ტურნირთან დაკავშირებით პრესკონფერენცია გაიმართა. აღნიშნულ ღონისძიებას, რომელიც ფიბა-ს ეგიდით საქართველოში უკვე მეორედ იმართება, 26 ივლისს ბათუმი უმასპინძლებს.

პირველად ანალოგიური სტატუსის ტურნირი 6-7 ივლისს თბილისის სპორტის სასახლესთან ჩატარდა. ტურნირის ორგანიზატორები არიან: საქართველოს კალათბურთის ფედერაცია, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო და აჭარის კალათბურთის ფედერაცია.

ბათუმის ტურნირი აზარტული თამაშების კომპანია „ევროპა-ბეთის“ ფესტივალის ფარგლებში ტარდება. კალათბურთთან ერთად აჭარის დედაქალაქი ნარდისა და პოკერის საერთაშორისო ტურნირებს უმასპინძლებს.

ტურნირში მონაწილე გუნდების რეგისტრაცია 23 ივლისს დასრულდა და მასში მონაწილეობას 34 გუნდი მიიღებს. ტურნირი ოლიმპიური სისტემით ჩატარდება. გამარჯვებული გუნდი ესტონეთის დედაქალაქ ტალინში 11 აგვისტოს გასამართ ფიბა-ს ევროტურის ლიცენზირებულ ტურნირის საგზურებს მიიღებს.

ჟურნალისტებისთვის წინასატურნირო პრესკონფერენციაზე სპორტის დეპარტამენტის უფროსმა ირაკლი დოლაბერიძემ, სუპერლიგის აღმასრულებელმა დირექტორი გიორგი ზაბახიძემ და „ევროპაბეთის“ წარმომადგენელმა კოტე მჭედლიძემ ისაუბრეს.

გიორგი ზაბახიძე (სუპერლიგის აღმასრულებელი დირექტორი):

— პირველ რიგში, მინდა მადლობა გადავუხადო სპორტის სამინისტროს, რომელიც ტურნირის ორგანიზებაში ძალიან გვეხმარება. მადლობა კომპანია ევროპა-ბეთს, რომლის ფესტივალის ფარგლებშიც ტარდება აღნიშნული ტურნირი. ეს უკვე რიგით მეორე საერთაშორისო ტურნირია I შ ეგიდით. ღონისძიებაზე ველოდებით ფიბას კომისარს, რომელიც 3X3-ზე კალათბურთს დააკვირდება. სამომავლოდ კი დაგეგმილია ფიბას „ვორლდტურში“ საქართველოს ჩართვა. მოგეხსენებათ, რომ ტურნირში პროფესიონალი მოქმედი კალათბურთელები არ დაიშვებიან და მისი მიზანი რაც შეიძლება მეტი მოყვარულის ჩართვაა.

**ირაკლი დოლაბერიძე (სპორტის დეპარტამენტის უფროსი):**

— სასიხარულოა, რომ 3-3 კალათბურთის საერთაშორისო ტურნირზე სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსთან ერთად ორგანიზატორი აჭარის კალათბურთის ფედერაციაა. აგრეთვე მისასალმებელია, რომ სპორტის ამ სახეობის მიმართ დიდ ინტერესს იჩენენ კერძო კომპანიები. იმედია, ეს ტრადიცია მომავალშიც გაგრძელდება. წარმატებას ვუსურვებ ტურნირის ყველა მონაწილეს.

**კონსტანტინე მჭედლიძე (ევროპაბეთის წარმომადგენელი):**

— მოხარულნი ვართ, რომ მოგვეცა საშუალება, აღნიშნული ტურნირის ჩატარებაში ჩვენი წვლილი შეგვეტანა. კომპანია ევროპა-ბეთი ყოველთვის აქტიურად იქნება ჩართული სპორტის სხვადასხვა სახეობაში. გამარჯვებული გუნდი 11 აგვისტოს ტალინში ფიბას საერთაშორისო ტურნირზე გაემგზავრება, მეორე ადგილზე გასული გუნდი ლოპოტაზე 2-დღიან საგზურს მიიღებს, ტურნირის საუკეთესო კალათბურთელი პლანშეტური კომპიუტერით დაჯილდოვდება, ხოლო ჩატენვებისა და სამქულიანების კონკურსის გამარჯვებულები საჩუქრად ფოტოაპარატებს მიიღებენ.

# ქართული კლუბების ამბები

ფარერის კუნძულებიდან დაბრუნებულმა დინამოელებმა დიღმის საწვრთნელ ბაზაზე დილის ვარჯიში გამართეს. დუშან უჰრინის შეგირდებთან ერთად ივარჯიშა 29 წლის რუმინელმა ნახევარმცველმა დორინ გოგამ, რომელმაც ბოლო სეზონი „ჰაპოელ რამათ განში“ გაატარა.

აღსანიშნავია, რომ დორინ გოგა 2008-2012 წლებში „პოლიტექნიკა ტიმიშოარაში“ თამაშობდა, იმ პერიოდში კი რუმინული კლუბის მთავარი მწვრთნელის პოსტზე ჩვენი კლუბის თავკაცი — დუშან უჰრინი იმყოფებოდა.

„დინამო“ ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპის პირველი მატჩისთვის ემზადება, რომელსაც 30 ივლისს, „დინამო არენაზე“ რუმინული „სტიაუას“ წინააღმდეგ გამართავს. მეტოქე საკმაოდ ძლიერია, რომელსაც ევროთასებზე თამაშის დიდი გამოცდილება აქვს. „დინამოს“ წინ დიდი გამოცდა ელის. დუშან უჰრინის გუნდი კი გაძლიერებას საჭიროებს, რადგან ორი ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელი — ირაკლი ძარია და პეტერ გრაიციარი ტრავმირებულნი არიან.

როგორც შევიტყვეთ, თბილისური გუნდი უკრაინული „კარპატის“ საყრდენი ნახევარმცველის ბუბა დაუშვილის დამატებას აპირებს. მოგეხსენებათ, დაუშვილი „დინამო 2“-სა და „ზესტაფონში“ ასპარეზობდა, უთამაშია საქართველოს სხვადასხვა ასაკობრივ ნაკრებში, ეროვნულ გუნდში კი 19 მატჩი აქვს ჩატარებული.

გავრცელდა ინფორმაცია, რომ „დინამოში“ ომარ მიგინეიშვილიც ითამაშებს. საქართველოს ნაკრებისა და ქუთაისის „ტორპედოს“ მეკარის თბილისში გადასვლა გადაწყვეტილი ამბავია.

გასულ სეზონში ქუთაისის „ტორპედოს“ საუკეთესო ბომბარდირი ნიკა საბანაძე ტრავმის გამო გაცდენილი ორ თვენახევრის შემდეგ მოედანს უბრუნდება. 22 წლის თავდამსხმელმა ქუთაისელთა პირველი უცხოური შეკრება გამოტოვა, თურქულ შეკრებას კი აღარ დააკლდება. იგი ჯერჯერობით ინდივიდუალურად ემზადება, მალე კი გუნდთან ერთადაც დაიწყებს ვარჯიშს.

**ნიკა საბანაძე:**

— თითქმის ბოლომდე მორჩენილი ვარ, უბრალოდ, ბუნებრივია, ცოტა შიშები ჯერ კიდე მაქვს და მალე ისიც გამიქრება. ამჟამად ფიზმომზადების მწვრთნელ ალბერტო ბეროკალთან ერთად ინდივიდუალურად ვვარჯიშობ და, ალბათ, 1 კვირაში უკვე სრული დატვირთვის მიღებასაც შევძლებ. სავარაუდოდ, თურქეთში გასამართ მეორე ან მესამე საკონტროლო მატჩშიც ვითამაშებ. მინდა, რომ ჩემპიონატის დაწყებამდე ერთ თამაშში მონაწილეობით მაინც აღვიდგინო ფორმა. გულნატკენი ვარ, რომ წინა სეზონში გუნდს იმ დროს გამოვაკლდი, როცა ყველაზე მეტად ვჭირდებოდი. ასევე, ევროპის ლიგაზეც ვერ დავეხმარე, მაგრამ, მოხარული ვარ, რომ უკვე დავბრუნდი და ჩემპიონატის სტარტისთვის ბოლომდე მზად ვიქნები. ვფიქრობ, ძალიან გაგვიჭირდება დამდეგ სეზონში, რადგან ბევრი ახალი ფეხბურთელი გვყავს, მაგრამ, იმედია, რაც შეიძლება მალე მოვახერხებთ ერთმანეთთან შეთამაშებას. ყველანაირად ვეცდები, იმ ხალხს, ვისაც ჩემი იმედი აქვს, დავუმტკიცო, რომ ტყუილად არ აქვთ ეს იმედი.

საფეხბურთო კლუბ „ზესტაფონში“ მატებაა — მარგველთა რიგებს ორი გამოცდილი ფეხბურთელი შეუერთდა. 31 წლის მცველი ილია კანდელაკი და 32 წლის ფორვარდი გიორგი ადამია თავის ახალი კლუბის ღირსებას მომდევნო ერთი წლის მანძილზე დაიცავენ. ინფორმაციას კლუბის ვებგვერდი ავრცელებს.

ილია კანდელაკი საფეხბურთო კლუბ „ზესტაფონთან“ შრომითი ხელშეკრულების გაფორმებამდე ასპარეზობდა: თბილისის „დინამოში“ (2000-05), ოდესის „ჩერნომორეცში“ (2005-07), იენის „კარლ ცაისში“ (2007-08), გრაცის „შტურმში“ (2008-10) და ბაქოს“ინტერში“ (2010-13).

ილია კანდელაკს საქართველოს ეროვნულ ნაკრებში 14 მატჩი აქვს ჩატარებული. ზესტაფონელთა ახალწვეული საქართველოს ეროვნული თასის 2004 წლის გათამაშების გამარჯვებული და ქვეყნის 2005 წლის ჩემპიონი გახლავთ.

გიორგი ადამია საფეხბურთო კლუბ „ზესტაფონთან“ კონტრაქტის გაფორმებამდე ასპარეზობდა შემდეგ კლუბებში: თბილისის „თსუ“ (1998-2001), თბილისის „ვიტ-ჯორჯია“ (2001-04), ბაქოს „ნეფტჩი“ (2004-08), საფეხბურთო კლუბ „ბაქი“ (2008-2010), აგდამის „ყარაბახი „ (2010-12) და ბაქოს „ინტერი“ (2012-13).

გიორგი ადამია არის საქართველოს 2004 წლის ჩემპიონი, აზერბაიჯანის 2005 წლის ჩემპიონი, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის თასის 2006 წლის გათამაშების გამარჯვებული და საუკეთესო ბომბარდირი. გარდა ამისა, 2011 წელს გიორგი ადამიას აზერბაიჯანის ჩემპიონატის საუკეთესო მეგოლის ტიტულიც აქვს მოპოვებული.

## შედეგები

**ფეხბურთი**

**კონკაკაფის ოქროს თასი**

პანამა-მექსიკა ........ 2:1
აშშ-ჰონდურასი ........ 3:1

**უეფას ჩემპიონთა ლიგა**

ლუდოგორეცი-სლოვანი ........ 3:0
მარიბორი-ბირკირკარა ........ 2:0
ლეგია-ტნს ........ 1:0

ლეგიას გოლი ვლადიმერ დვალიშვილმა გაიტანა

პარტიზანი-შირაქი 0:0

**შვედეთი. ალსვენსკა**

ჰალშტადი-ჰელსინბორგი ........ 0:1

**ბრაზილია. სერია ა**

სან პაულუ-ინტერნაციონალი ........ 0:1

# ჟერარდ სარაგოსა მულეტი: „ქუთაისი ის ქალაქია, სადაც ფეხბურთის სული იგრძნობა“

ქუთაისის „ტორპედოს“ 31 წლის მთავარი მწვრთნელი ჟერარდ სარაგოსა მულეტი 1982 წელს კატალონიაში, ბარსელონასთან ახლოს, ქალაქ ტარაგონაში დაიბადა. ჰყავს მეუღლე, რომელთან ერთადაც ქუთაისში ცხოვრობს. მისი მეორე ნახევარი კატალონიის მასშტაბით სპორტული კომპანია „ნაიკის“ ღონისძიებათა ორგანიზატორია. მამა, რომელიც ქუთაისში უკვე ნამყოფია, კატალონიის საბანკო ოფისის ერთ-ერთი დირექტორია, დედა კი — დიასახლისი. ჰყავს 4 წლით უფროსი და.

გთავაზობთ ინტერვიუს ჟერარდ სარაგოსასთან, რომელიც ქუთაისური საფეხბურთო კლუბის ვებგვერდმა გამოაქვეყნა.

***— გთხოვთ გაიხსენოთ, როგორ მოხვედით ფეხბურთში დღემდე?***

— ფეხბურთის თამაში ჩემი მშობლიური მხარის გუნდ „ტარაგონაში“ დავიწყე, სადაც მანამდე ვასპარეზობდი, ვიდრე 18 წლის ასაკში მუხლის მძიმე ტრავმას მივიღებდი. ამის შემდეგ სამწვრთნელო საქმის შესწავლა დავიწყე და 21 წლის ვიყავი, როცა ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციისგან უეფას პრო ლიცენზია მივიღე. თავიდან კატალონიის 14 და 16-წლამდელთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი ვიყავი და ორჯერ მოვიგე ამ გუნდებთან ერთად ესპანეთის ჩემპიონატი. ამის შემდეგ 4 წელი ვმუშაობდი აფრიკაში, ყატარის მსოფლიო დონის „ასპირეს“ აკადემიაში, რომელიც, მოგეხსენებათ, 2022 წელს გასამართი მსოფლიო ჩემპიონატისთვის მრავალი ქვეყნიდან მარაგდება ტალანტებით. იქ ესპანელი მწვრთნელები მიიწვიეს, მათ შორის მეც და 3 წლის განმავლობაში 11 ქვეყნიდან მომყავდა ფეხბურთელები ამ აკადემიის 16 და 17-წლამდე ასაკობრივი გუნდებისთვის, რომელთა მთავარი მწვრთნელი ვიყავი. 2 წლის მანძილზე „ესპანიოლში“ გავაგრძელე მოღვაწეობა, სადაც 16-წლამდე ფეხ-



ბურთელთა გუნდს ვწვრთნიდი. ჩემი ხელმძღვანელობის დროს გუნდის 4 ფეხბურთელი ესპანეთის 16-წლამდე ნაკრებშიც თამაშობდა. „ტორპედომდე“ კი ბოლოს თბილისის „ლოკომოტივი“ მებარა და ჩემი მწვრთნელობით გუნდმა 16 თამაშიდან 13 მოიგო და 3 ფრედ დაასრულა.

***— საქართველოში რა მიზნით ჩამოხვედით?***

— სხვადასხვა კონტინენტის ქვეყნებში ვმუშაობდი და ვთვლი, რომ ფეხბურთი ყველა ქვეყანაში იდენტურია. როცა დამიმთავრდა კონტრაქტი „ესპანიოლთან“, ჩემი მეგობრის ფიზმომზადების მწვრთნელ ალბერტო ბეროკალის მოწვევით აქ დასასვენებლად ჩამოვედი, თუმცა საქმე სერიოზულად აეწყო. მე შევხვდი „ლოკომოტივის“ პრეზიდენტს ლექსო თოფურიას, რომელმაც გამაცნო თავისი პროექტი, დავინტერესდი ამ პროექტით, თანაც ბევრი ტალანტი ვნახე, რომლებიც ვიცი, რომ დიდ წარმატებებს მიაღწევენ. ამიტომ მინდა, ჩემგანაც რაღაც ისწავლონ და მეც მათი ნაწილი გავხდე.

***— ქუთაისზე და ქუთაისელებზე რას იტყვით?***

— პირველი, რაც თვალში მომხვდა, აქ ძალიან მეგობრული ხალხი ცხოვრობს. აღფრთოვანებული ვარ „ტორპედოს“ სტადიონითა და სავარჯიშო ბაზით. ქუთაისი ის ქალაქია, სადაც ფეხბურთის სული იგრძნობა და ეს მართლაც საუკეთესო ემოციებს იწვევს ჩემში.

***— თუ გაქვთ გუნდის განვითარების გეგმა, რომლითაც იხელმძღვანელებთ?***

— რა თქმა უნდა, მაქვს, მაგრამ ეს არ არის მოკლე გეგმა. მე გუნდთან 3-წლიან კონტრაქტს მოვაწერე ხელი. ჩვენი გუნდი ძალიან ახალგაზრდულია, აქედან 8 ფეხბურთელი ლიტვაში 19-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატზე თამაშობს. მომავალი 19-წლამდე ნაკრების კანდიდატი (1995 წელს დაბადებულები), 6-7 ფეხბურთელი გვყავს. ასევე, გუნდში არიან 21-წლამდე ნაკრების ფეხბურთელებიც და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ეროვნული ნაკრებისაც. ჩვენ დიდი შრომა უნდა გავწიოთ, უნდა ვიმუშაოთ, დღიდან დღემდე, კვირიდან კვირამდე, თვიდან თვემდე, რომ ეს გუნდი დაიხვეწოს და მე დარწმუნებული ვარ, რომ იმ კონტინგენტით, რომელიც დღეს „ტორპედოს“ ჰყავს, წინ დიდი წარმატებები გველის.

***— რამდენიმე წელი ესპანეთში, „ესპანიოლის“ აკადემიაში მუშაობდით. ყველას მოეხსენება, რომ ეს ქვეყანა ტალანტების ნამდვილი სამჭედლოა. თუ გიმუშავიათ ისეთ ფეხბურთელებთან, რომლებმაც ესპანეთში თავის გამოჩენით ევროპასაც გააცნეს თავი?***

— არიან ასეთებიც, მაგალითად: ჟერარდ დეულოფეუ, რომელსაც კატალონიის „ბარსელონას“ რიგებში პრიმერადივიზიონშიც აქვს ნათამაშები, ამჟამად კი იგი ლივერპულის „ევერტონის“ მე-10 ნომერია. ლონდონის „ჩელსის“ ყოფილი ფეხბურთელი ორიოლ რომეუ, იგი „ვალენსიაში“ გააგრძელებს კარიერას. ასევე ბარსელონელები: მარკ ბარტრა და ისააკ კუენკა. სხვათა შორის, ამ უკანასკნელის მწვრთნელი ტარაგონის ასაკობრივ გუნდში ვიყავი.

***— იცით, რომ „ტორპედოს“ ისტორიაში თქვენ ყველაზე ახალგაზრდა მწვრთნელი ხართ?***

— ვფიქრობ, ასაკს მნიშვნელობა არ აქვს, რადგან „ტორპედოს“ პრეზიდენტმა გადაწყვიტა, რომ ამ ახალგაზრდა ტალანტებთან, ალბათ, ყველაზე კარგად მე ვიმუშავებდი. მე ბოლომდე კმაყოფილი ვარ იმ სამუშაოთი, რომელიც დღეს მაქვს. ბედნიერები უნდა ვიყოთ, რომ ქართული ფეხბურთის საუკეთესო მომავლის ყველაზე დიდი ნაწილი „ტორპედოს“ სრულუფლებიანი წევრია.

***— გასული სეზონის შემდეგ გუნდის შემადგენლობა რადიკალურად შეიცვალა.***

— მე ასე არ ვფიქრობ, რადგან წინა გუნდის 13 ფეხბურთელი დღეს ჩემს განკარგულებაშია. ჩემი მთავარი მიზანია, მათთან ერთად ყოველდღე ვიმუშაო იმაზე, რათა ყოველი მომდევნო მატჩი მოგებით დავამთავროთ.

***— თქვენგან მომისმენია, რომ ფეხბურთს ასაკი არ თამაშობს. რატომ ფიქრობთ ასე?***

— იმიტომ, რომ, თუ ფეხბურთში ტალანტი არის, რატომ არ უნდა მისცე მას დაწინაურებისა და თამაშის საშუალება მიუხედავად ასაკისა, თუ ის კარგად წარმოაჩენს თავს ამ ასპარეზზე. მერაბ გიგაურის მაგალითს მოვიყვან. იგი რამდენიმე წელია, „ტორპედოშია“, არის 20 წლის, საკმაო გამოცდილება დაუგროვდა მის ასაკთან შედარებით და ხედავთ, რომ ეროვნული ნაკრების მწვრთნელიც არ ერიდება მის გამოძახებას. ამიტომ, თუ 18-20 წლის ბიჭსაც შეუძლია ასეთ დონეზე თამაში, რატომ მაინცდამაინც შედარებით ასაკოვნები?!

***— ევროპის ლიგაზე „ჟილინამ“ „ტორპედოს“რის ხარჯზე აჯობა?***

— უნდა გვახსოვდეს, რომ რამდენიმე წლის წინ „ჟილინა“ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე თამაშობდა. მიუხედავად ამისა, სამი კვირის შეკრებილმა გუნდმა ორი მატჩის ჯამში მაინც ტოლსწორად ვეთამაშეთ. ქუთაისში საწყისი 65 წუთის განმავლობაში ჩვენ კარგად ვთამაშობდით და როდესაც უკვე ინიციატივა მოვიპოვეთ, იმ დროს „ჟილინა“ დაწინაურდა, როცა პირიქით უნდა მომხდარიყო. შეტევაში თამაში ამის შემდეგაც, 75-ე წუთამდე გავაგრძელეთ, რათა ანგარიში გაგვეთანაბრებინა, თუმცა სლოვაკების შემდგომი გადმოსვლა ჩვენს ნახევარზე კიდევ ერთი გოლით დასრულდა. ბოლო წუთებში ჩემი ფეხბურთელები მენტალურად გატყდნენ და ვთვლი, რომ სწორედ ქუთაისში ჩატარებული მატჩის ბოლო 15-მა წუთმა განაპირობა ჩვენი გამოვარდნა ამ ეტაპიდან, რადგან საპასუხო თამაშმა დაგვანახა, რომ ჩვენ გვქონდა იმის პოტენციალი, რომ „ჟილინა“ გამოგვეგდო. სლოვაკეთში 90 წუთის განმავლობაში „ჟილინა“ მხოლოდ გოლის გატანასა და მოგებაზე იყო მოწადინებული, მათ 1 წუთითაც არ უფიქრიათ კარის დაცვაზე. თუმცა, ჩვენ დავამტკიცეთ, რომ შეგვეძლო ამ ბარიერის წარმატებით გადალახვა.

***— რა პლუსები და მინუსები დაინახეთ ჩვენი გუნდის თამაშში?***

— უნდა აღინიშნოს, რომ სამ კვირაში შეუძლებელია ფეხბურთელმა აითვისოს ახალი ტაქტიკური მონახაზები. განსაკუთრებით ევროპის ლიგაზე გამართულმა მეორე თამაშმა დამანახა, რომ ჩვენს ფეხბურთელებს ძალიან ძლიერად შეუძლიათ შეტევაში თამაში, ჩემი მთავარი სამუშაო არის ის, რომ როგორც შეტევაში, ისე დაცვაშიც უნდა გამოვიყურებოდეთ კარგად.

***— გულშემატკივრები თვლიან, რომ ადგილობრივ ფეხბურთელებზე ნდობა იმ დონეზე არ ხდება, რასაც ისინი იმსახურებენ.***

— ტაბატაძე, კუხიანიძე, გოგიჩაიშვილი, ახვლედიანი, კაპანაძე — პირველ გუნდში 5 ქუთაისელი ფეხბურთელი გვყავს. „ტორპედო“ ასევე ეროვნული ნაკრების მოთამაშეებითაც არის დაკომპლექტებული. ჩვენთან ბარსელონაში ბედნიერები ვართ, რომ კლუბში თამაშობენ არა მარტო კატალონიიდან, არამედ სხვა ქვეყნიდან ჩამოსული ფეხბურთელებიც. ბედნიერები უნდა ვიყოთ, რომ ეს ახალგაზრდა ფეხბურთელები, რომლებიც ტალანტებად ითვლებიან თამაშობენ ქუთაისში. ყველამ უნდა გაიგოს, რომ, თუ რომელიღაც ფეხბურთელი არის ფოთიდან, თბილისიდან ან სხვა ქალაქიდან და თამაშობს ქუთაისში, ის არის ქუთაისელი. მე კატალონიაში დაბადებული და გაზრდილი კაცი ვარ და დღეს თავს ქუთაისელად მივიჩნევ.

***— „ტორპედოში“ კონკურენცია რამდენად მაღალია?***

— მივიჩნევ, რომ ჩემს გუნდში ერთ პოზიციაზე ორი სრულფასოვანი ფეხბურთელი მყავს, ეს ჩემთვის დიდი ფუფუნებაა. თუ მხოლოდ ერთი ფეხბურთელია ამა თუ იმ პოზიციაზე ის ეშვება და აღარ ატანს თავს ძალას. თქვენ ხედავთ ვარჯიშებს, ეს ფეხბურთელები ბოლომდე იხარჯებიან, რომ ძირითად შემადგენლობაში დაიმკვიდრონ ადგილი.

***— „ტორპედო“ თურქეთში გაემგზავრება, მოსამზადებელ ეტაპზე ორი შეკრების გავლა ძალიან უნდა წაადგეს გუნდს.***

— გეთანხმებით, თურქეთში მთიან ადგილზე გავივლით შეკრებას, სადაც ვივარჯიშებთ როგორც ფიზიკურად, ასევე ტაქტიკურადაც. ჩვენთვის გარკვეულწილად პრობლემატურია იმ ფეხბურთელების არყოფნა, რომლებიც ამჟამად 19-წლამდე ნაკრებში არიან, თუმცა, ყველასთვის დიდი ბედნიერებაა, რომ ისინი ქვეყნის ღირსებას იცავენ და კიდევ ერთხელ წარმატებებს ვუსურვებ მათ, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ძალიან აკლია ჩვენს გუნდს.

***— ახალი ეროვნული სეზონის დაწყებამდე აპირებთ თუ არა კიდევ რომელიმე ფეხბურთელის დამატებას?***

— ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი არის საბანაძის დაბრუნება, რადგან ჩემს მონახაზში მან განსაკუთრებული ადგილი უნდა დაიკავოს. ვაწარმოებთ მოლაპარაკებას ერთ ძალიან გამოცდილ მცველთან.

***— მალე საქართველოს 25-ე ეროვნული ჩემპიონატი აიღებს სტარტს. როგორია თქვენი პროგნოზი?,***

— წინა სეზონში თბილისის „დინამომ“ ორივე ტიტული მოიპოვა და, ვფიქრობ, წელსაც იგივე მიზანი ექნება. „დილა“, „მეტალურგი“, „ჩიხურა“ და „ზესტაფონი“ მაღალი ადგილებისთვის იბრძოლებენ. ჩვენ კი გამოგიტყდებით, ახლა არ ვფიქრობთ, მაისში რა იქნება, ჩვენი ობიექტივი პირველი თამაშისკენ არის მიმართული, რომელსაც ქუთაისში „მეტალურგთან“ გავმართავთ, ამის შემდეგ უკვე „ზესტაფონთან“ გასვლით თამაშში წარმატების მიღწევა იქნება ჩვენი მთავარი მიზანი, მერე „დილასთან“ და ასე შემდეგ. ყოველი დღე და საათი მოახლოებული თამაშისთვის რაც შეიძლება სასარგებლოდ უნდა გამოვიყენოთ. წლის ბოლოს კი ჩვენ თვალნათლივ დავინახავთ გუნდის რეალურ ძალას და შეგვეძლება შეფასების გაკეთებაც.

*მოამზადა მიხეილ ყორღალიძემ*

# შეაჩერეთ მშენებლობა „მხატვრის სახლთან!“

დასაწყისი მე-12 გვერდზე

სიგრძესა და სიგანეს – განსაზღვრავს რუსთაველის გამზირისთვის, 0,7 დადგენილია მაშინ, როცა მერიამ კ1 კოეფიციენტი მშენებლებს მოთხოვნის საფუძველზე 0,9-მდე გაუზარდა. ჩვენი სურვილია, შეჩერდეს მშენებლობა და ღია კონკურსის წესით აირჩიონ სასურველი პროექტი, – განაცხადა „ტფილისის ჰამქრის“ გამგეობის წევრმა ცირა ელისაშვილმა.

როგორც ცნობილია, 5000 კვადრატული მეტრის ფართობის მქონე ტერიტორია შპს. „მაგთის“ საკუთრებაა. მშენებლობა არქიტექტორ არჩილ ქურდიანის პროექტის მიხედვით მიმდინარეობს. შპს. „მაგთი“ იმ ადგილას, სადაც სამი შენობა – „მხატვრის სახლი“, მანანა ორბელიანის სახლი და კიდევ ერთი საცხოვრებელი სახლი იდგა, მრავალფუნქციურ ცენტრს აშენებს. ცენტრში საცურაო აუზი, სამუზეუმო სივრცეები და რესტორანი იქნება თავმოყრილი. მიწისქვეშ კი 150 მანქანაზე გათვლილი ავტოსადგომი განთავსდება. საჯარო რეესტრის მონაცემების მიხედვით, რუსთაველის №7/გუდიაშვილის №18 მდებარე მიწის ნაკვეთი 2012 წლის ოქტომბრიდან შპს „მაგთიკომის“ საკუთრებაა:

„მუზეუმი განთავსდება რუსთაველის გამზირზე და ჯორჯაძის ქუჩის ნაწილის გასწვრივ. მის პირველ სართულზე დაგეგმილია საგამოფენო და საკონფერენციო დარბაზები, მაღაზიები. მეორე სართულზე – საოფისე ფართი, მუზეუმის ადმინისტრაციის განსათავსებლად. ხოლო დანარჩენი 3 სართული განკუთვნილია სამუზეუმოდ.

ჯორჯაძის და გუდიაშვილის ქუჩების გასწვრივ დაგეგმილია სასტუმროს აშენება. სასტუმროს გააჩნია შიდა გადაუხურავი, ღია ბაღი; მიწისქვეშა ავტოსადგომი და სასტუმროსთვის აუცილებელი ყველა ატრიბუტი.

ჯორჯაძის ქუჩის გასწვრივ დაგეგმილია კომპლექსის იმ ნაწილის მოწყობა, სადაც განთავსდება მიწისქვეშა ავტოსადგომი, სარესტორნე კომპლექსი, ფიტნესი და საცურაო აუზი. ამ შენობას ექნება შიდა კავშირი მუზეუმის შენობასთან და, შესაბამისად, ექნება გასასვლელი რუსთაველის გამზირზე“.

„ტფილისის ჰამქარის“ ცნობით, მან უკვე მიმართა კულტურის სამინისტროსა და თბილისის მერიას სპეციალური განცხადებით. კულტურის სამინისტრომ საგანგებო განცხადება გაავრცელა, რომელშიც წერია:

„რუსთაველის გამზირზე ყოფილი „მხატვრის სახლის“ ადგილზე ახალი მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობასთან დაკავშირებით ვაცხადებთ, რომ პროექტი, რომლის მიხედვითაც მიმდინარეობს მშენებლობა, სრულიად მიუღებელია მოცემული ადგილისთვის. იგი შეუსაბამობაშია საქართველოს დედაქალაქის მთავარი არტერიის – რუსთაველის გამზირის ისტორიულად ჩამოყალიბებული ურბანული გარემოსთვის, როგორც თავისი მასშტაბით, ასევე სივრცით-გეგმარებითი და არქიტექტურულ-მხატვრული გადაწყვეტით. პროექტი არ ითვალისწინებს კულტურული მემკვიდრეობის ისეთი მაღალხარისხოვანი ძეგლების სიახლოვეს, როგორიც არის ქაშუეთის წმიდა გიორგის სახელობის ეკლესია, კინოთეატრი „რუსთაველი“, ეროვნული გალერეა, ალექსანდრეს ბაღი, გუდიაშვილის ქუჩის განაშენიანება და სხვა. აქვე აღსანიშნავია, რომ ოფიციალური განხილვების დროს, ჩვენი სამინისტროს წარმომადგენლების მიერ, აღნიშნულ პროექტს არაერთხელ ეთქვა უარი, ვინაიდან მივიჩნევთ, რომ მხოლოდ კონკურსის მოწყობისა და ფართო, საჯარო განხილვების შედეგად შეიძლება იქნეს გამოვლენილი ამგვარი ღირშესანიშნავი ადგილისთვის შესაფერისი პროექტი, რომელიც, თავის მხრივ, დაფუძნებული იქნება ღრმა სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებზე, გაითვალისწინებს ძეგლთა დაცვის საერთაშორისო სტანდარტებით დადგენილ ყველა კრიტერიუმს და შესაბამისად, მომავალი შენობა, ორგანულად ჩაეწერება არსებულ სივრცეში.

ყოველივე ზემოაღნიშნული, კიდევ ერთი ნათელი მაგალითია იმისა, თუ რამდენად საჩქაროა და აუცილებელი, რომ თბილისის ტერიტორიაზე განთავსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებსა თუ დამცავ ზონებში მიმდინარე სამუშაოებთან დაკავშირებით, გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება დაუბრუნდეს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს“.

„ტფილისის ჰამქარს“ მიაჩნია, რომ მიმდინარე მშენებლობა გარკვეული დარღვევების გამო უნდა შეჩერდეს. „ტფილისის ჰამქარმა“, „თბილისის არქიტექტურულმა ფორუმმა“ და საინიციატივო ჯგუფმა „ანტიტექტურამ“ ერთობლივი განაცხადით თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურს, საქართველოს კულტურის სამინისტროსა და შპს „მაგთიკომს“ 2013 წლის 2 მაისს მიმართეს.

არჩილ ქურდიანი, რომელიც „მაგთის“ მიერ დაკვეთილი მშენებლობის მთავარი არქიტექტორია, განმარტავს, რომ, თბილისის მერიამ 8 აპრილს მოთხოვნილი კოეფიციენტი 0.7– დან 0,9-მდე გაუზარდა. აპრილის თვეში მას ნულოვანი მშენებლობის ნებართვა ჰქონდა მიღებული. ახლა მას მთლიანი შენობის აშენება შეუძლია. „მაგთის“ მშენებლობა უკვე დაწყებული აქვს. მერიის არქიტექტურის სამსახურმა მას ნულოვანი ციკლის მშენებლობის უფლება ფასადის შეთანხმებამდე მისცა, რაც კანონს არ ეწინააღმდეგება. ნულოვანი ციკლის მშენებლობა შენობისათვის საძირკვლის მიწის დონემდე ამოყვანასა და საინჟინრო კომუნიკაციების აგებისთვის გათვლილ სამუშაოებს მოიცავს.

– აღნიშნული ტერიტორია კომპანია „მაგთიმ“ რამდენიმე თვის წინ შეიძინა. პროექტს კანონით გათვალისწინებული ყველა ინსტანცია გავლილი აქვს და ყველა სტანდარტს აკმაყოფილებს. დასრულებულ ნაგებობას საქველმოქმედო დანიშნულება ექნება და ეს არანაირი კომერციული პროექტი არ იქნება. გარწმუნებთ, ეს არ არის კომერციული პროექტი, აქ არ იქნება სავაჭრო ობიექტები, გასაქირავებელი ოფისები. ეს არის სუფთა ქველმოქმედება, ეს არის მუზეუმი, რომელიც ქალაქისთვის იქნება დიდი მიღწევა, – განაცხადა არქიტექტორმა არჩილ ქურდიანმა.

თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურში წარდგენილი პროექტის მიხედვით, მშენებლებს მითითებული ჰქონდათ, რომ შენობას, სამდონიანი ავტოსადგომის გარდა, ხუთი სართული ექნება. მშენებლებს, საპროექტო განაცხადის მიხედვით, სურდათ კ1 პარამეტრის გაზრდა 0,7-დან 0,9-მდე. კ1 პარამეტრი შენობის ფართს განსაზღვრავს, ანუ კ1-ის გაზრდით სართულების ფართობი იზრდება.

თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურს რუსთაველის გამზირისთვის კ1 0.7 აქვს დადგენილი. ეს ნიშნავს, რომ რუსთაველის გამზირზე ინვესტორს ეკრძალება ისეთი ნაგებობის აშენება, რომელიც საკუთრებაში არსებული მიწის ფართობის 70%-ზე მეტს შენობა დაიკავებს.

თავის მჯრივ, „ტფილისის ჰამქრი“ აცხადებს, რომ თბილისის ამ უბნისთვის განკუთვნილი სივრცითი კოეფიციენტი მერიის ნებართვის არქონის მიუხედავად 0,9-ზეა გათვლილი. „ტფილისის ჰამქარის“ ხელმძღვანელი თამარ ამაშუკელი მიიჩნევს, რომ:

– რუსთაველის გამზირზე, რომელიც კულტურული დაცვის ზონაშია მოქცეული, მშენებლობის ნებართვის გაცემისთვის მეტი სიფრთხილე აუცილებელია, რაც იმას გულისხმობს, რომ სანამ არ შეთანხმდება არქიტექტურის ფასადი, მანამდე იქ შენობის აშენება არ შეიძლება. ამ შემთხვევაში ეს ყველაფერი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან არის ქალაქის მთავარი გამზირი. პროექტი შეთანხმდა, ოღონდ არ იციან, რას აშენებენ. რუსთაველზე კი არა, ეგ საერთოდ დაუშვებელია. ჯობია, რომ თანამედროვე არქიტექტურა აშენდეს და ღირებული, ვიდრე ძველის მიმსგავსებული. რუსთაველის გამზირზე მდებარე შენობები სხვადასხვა დროს არის აშენებული და ამდენად, გამზირის ეკლექტიკურ სივრცეში თანამედროვე არქიტექტურული ძეგლი ამოვარდნილი არ იქნება.

„კომპლექსის მოცულობა და მხატვრული იერსახე დაპროექტდა იმის გათვალისწინებით, რომ მასში ასახული იყოს დღევანდელი ეპოქის მხატვრულ-არქიტექტურული სახე, მაგრამ არ მოხდეს მისი ამოვარდნა ისტორიული განაშენიანების ზოგადი არქიტექტურული კონტექსტიდან, რაც სრულ შესაბამისობაშია და ეფუძნება ისტორიულ-არქიტექტურულ კვლევას და ხელოვნებათმცოდნეების დასკვნარეკომენდაციებს“, – აღნიშნულია მშენებელების მიერ მერიის არქიტექტურის სამსახურში წარდგენილ თანდართულ დოკუმენტში.

ამჟამად „მაგთიკომის“ კუთვნილ ტერიტორიაზე, წლების წინ სამი შენობა იდგა: გუდიაშვილის ქუჩის კუთხეში იდგა მანანა ორბელიანის სახლის სახელით ცნობილი ნაგებობა, რომელიც XIX საუკუნის ადრეული კლასიციზმის ნიმუშია; რუსთაველის გამზირის მხარეს იდგა ოტო იაკობ სიმონსონის მიერ აშენებული ნაგებობა, რომელიც ალბერტ ზალცმანის პროექტით გადაკეთდა. მასში სასტუმრო „ინტურისტი“ იყო განთავსებული, რომელსაც შემდეგ „მხატვრის სახლი“ დაერქვა. „მხატვრის სახლი“ 1991 წელს, სამოქალაქო ომის დროს დაინგრა, დანარჩენი ორი საცხოვრებელი სახლი კი რამდენიმე წლის წინ აიღეს.

– ეს არის, რბილად რომ ვთქვათ, მდარე ხარისხის არქიტექტურა და არ შეეფერება იმ ტერიტორიას, სადაც ეს შენობა შენდება. რუსთაველის გამზირი ნამდვილად იმსახურებს უკეთეს არქიტექტურას, – განაცხადა აქციაზე ,ტფბილისის ჰამქარის“ თავმჯდომარემ თამარ ამაშუკელმა.

ორგანიზაციავ „ტფილისის ჰამქარი“ პრემიერ-მინისტრს წერილობით მიმართა, რომელსაც „ახალი თაობა“ უცვლელად გთავაზობთ:

„ბოლო წლების მანძილზე, კულტურული მემკვიდრეობის სფეროში განხორციელებულმა მანკიერმა პოლიტიკამ, წარმოშვა რიგი პრობლემები საკანონმდებლო, ინსტიტუციურ და მმართველობით სფეროში. წინა ხელისუფლების სურვილმა, რაც შეიძლება სწრაფად გარდაექმნა და აეშენებინა ახალი საქართველო, ახალი ბათუმი, თბილისი, თელავი... სავალალო შედეგამდე მიგვიყვანა.

უშუალოდ კულტურული ძეგლის სტატუსის მქონე ობიექტებზე განხორციელებული ქმედებებისას დაშვებული შეცდომების გარდა, ქალაქის ისტორიულ იერ-სახეს არანაკლები ზიანი მიაყენა ისტორიულ-კულტურული ზონების დაცვის რეგლამენტის სრულმა უგულვებელყოფამ და ამ ზონებში განხორციელებულმა სრულიად შეუსაბამო მშენებლობებმა. მიუხედავად იმისა, რომ კანონში კულტურული მემკვიდრეობის შესახებ შეტანილი ცვლილებების საფუძველზე გაიზარდა კულტურის სამინისტროს უფლებები თბილისის ტერიტორიაზე არსებული ძეგლების მიმართ, რჩება რიგი სირთულეები, რომელთა გადაჭრას კულტურის სამინისტროს კომპეტენცია არ ყოფნის. ვფიქრობთ, ამ რთულ და გარდამავალ ეტაპზე აუცილებელია პრემიერ-მინისტრის ჩარევა და კანონის ფარგლებში პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღება.

განსაკუთრებულად მწვავე ვითარება შეიქმნა თბილისისა და ბათუმის კულტურული მემკვიდრეობის ზონებში ისტორიული ქალაქისა და თანამედროვე ურბანული დაგეგმარებისათვის სრულიად შეუსაბამო პროექტების დამტკიცებით. ვითარებას ამწვავებს ის გარემოებაც, რომ ქალაქის იერ-სახისთვის სრულიად შეუსაბამო ობიექტების უკვე დამტკიცებული პროექტების მიხედვით მშენებლობათა შეჩერება აღიქმება მესაკუთრეთა უფლებების დარღვევად. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ რიგ შემთხვევებში ობიექტისთვის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მოხსნაში, ძეგლზე დაუშვებელი ქმედებების განხორციელების უფლების გაცემასა და ისტორიული ქალაქის დაცვის ზონებში სრულიად შეუსაბამო პროექტების დამტკიცებაში იკვეთება კანონდარღვევის ნიშნები. ჩვენ ვაღიარებთ, რომ საკუთრების უფლების დაცვა სახელმწიფო პოლიტიკის პრიორიტეტია. ამავდროულად, საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, სახელმწიფო ვალდებულია და პასუხისმგებელია შეინარჩუნოს, მოუაროს, დაიცვას და მომავალ თაობებს გადასცეს ჩვენამდე მოღწეული კულტურული მემკვიდრეობა. შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, რათა არც ისტორიული ქალაქის იერი დაზარალდეს და არც მესაკუთრის უფლებები შეილახოს, შექმნილი მძიმე ვითარების გამოსწორების ერთადერთი სწორი და სამართლიანი გზა იქნება ყოველი ცალკეული შემთხვევის დეტალური შესწავლა და განხილვა. საჭიროა მესაკუთრეებთან მოლაპარაკება და შეთანხმების მიღწევა: შესაძლებელია, ზოგ შემთხვევაში შეჩერდეს სამშენებლო სამუშაოები, (მაგ. „იმელის“ – რუსთველის გამზ. №29 და ჟორდანიას სახელობის ინსტიტუტის – კოსტავას ქ. №43), ხოლო მესაკუთრეს შესთავაზონ ალტერნატიული ფართის გადაცემა ქალაქის სხვა ტერიტორიაზე, სადაც დაუბრკოლებლად განხორციელდება მსხვილმასშტაბიანი სამშენებლო სამუშაოები ან, მფლობელთან მოლაპარაკების საფუძველზე, გადაიხედოს არსებული პროექტები (მაგ. „მხატვრის სახლის“ – რუსთაველის გამზ. №7 და შავთელის ქ. №17-ში, აწ უკვე განადგურებული ძეგლის ტერიტორიაზე დაგეგმილი პროექტები). რაც შეეხება გუდიაშვილის მოედნის ირგვლივ განლაგებულ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს, ეს ობიექტები 2007 წლიდან თბილისის მერიის მიერ დაფუძნებულ „ქალაქის განვითარების ფონდი“-ს საკუთრებაა. ამ წლების მანძილზე დასახელებულ ფონდს პრაქტიკულად არაფერი გაუკეთებია თავის საკუთრებად გამოცხადებული კულტრული მემკვიდრეობის ძეგლების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და უფრო მეტიც, ხან ქმედებითა და ხან უმოქმედობით მიზანმიმართულად ანადგურებდა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მქონე ობიექტებს. ვითრებას ამძიმებს ის გარემოებაც, რომ ფონდი პრაქტიკულად აღარ ფუნქციონირებს და მას ამ სამუშაოების შესრულების აღარც სურვილი და აღარც შესაძლებლობა არ გააჩნია. შესაბამისად, გუდიაშვილის მოედნის ირგვლივ განლაგებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების გადარჩენის ერთადერთ გზად მიგვაჩნია, აღიშნული ობიექტები ჩამოერთვას „ქალაქის განვითარების ფონდს“, სასწრაფოდ ჩატარდეს მათი გადაუდებელი გამაგრებითი სამუშაოები სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე, გასხვისდეს სიმბოლურ ფასად და ახალ მფლობელს დაევალოს მათი სრული რესტავრაცია“.

# ჰეზბოლა: ევროკავშირმა შავ სიაში შეყვანით ისრაელს მკვლელობის ლიცენზია მისცა



ცოტა ხნის წინ, ევროკავშირმა ლიბანური დაჯგუფება „ჰეზბოლას“ სამხედრო ფრთა შავ სიაში შეიყვანა. „ობსერვერის“ ცნობით, დაჯგუფების ლიდერმა ცოტა ხნის წინ განაცხადა, რომ ამით ისრაელს ნებისმიერ იერიშზე გზა ეხსნება.

„ევროკავშირის ლიდერებმა სრული პასუხისმგებლობა აიღეს ლიბანზე ისრაელის მხრიდან განხორციელებულ ნებისმიერ თავდასხმაზე. მათ ისრაელის მიერ ლიბანზე დარტყმას კანონიერება შესძინეს, ვინაიდან ისრაელი ახლა იტყვის, რომ ის ტერორიზმის წინააღმდეგ იბრძვის და ტერორისტების სამიზნეებს ბომბავს“, – განაცხადა სატელევიზიო მიმართვისას დაჯგუფების ლიდერმა ჰასან ნასრალამ.

მისი თქმით, შავ სიაში შეყვანა ევროპის ქვეყნების სუვერენიტეტს უთხრის ძირს, ვინაიდან ეს ამ ქვეყნებმა ამერიკისა და ისრაელის ზეწოლის გამო განახორციელეს:“ევროკავშირის ზოგიერთი ქვეყანა აღნიშნავდა, რომ ეს ნაბიჯი არალეგალური იყო, თუმცა მათი დამორჩილება მოახერხეს,“ – აღნიშნა ნასრალამ, რომელმაც ორგანიზაციის ამ ნაბიჯს შეურაცხყოფა უწოდა.

მისი თქმით, შავ სიაში ევროკავშირმა ისრალის არმია უნდა შეიყვანოს, რომელიც არაბ ხალხს კლავს: „ის ვინც ხალხს კლავს, ხოცვა-ჟლეტას აწყობს, პალესტინელების მიწას იტაცებს და მათ საკუთარ ტერიტორიაზე დაბრუნებაში უშლის ხელს, არ არიან ტერორისტები?“

„ჰეზბოლას“ შიიტური დაჯგუფება 1980-იან წლებში ლიბანში სამოქალაქო ომის დროს შეიქმნა. ერთ-ერთი მოტივი რის გამოც ევროკავშირმა „ჰეზბოლა“ შავ სიაში შეიყვანა არის ის, რომ სირიის ქალაქ ქუსეირში პრეზიდენტ ბაშარ ალ-ასადის სამთავრობო ძალებმა, რომელსაც გავრცელებული ინფორმაციით, „ჰეზბოლას“ მეომრები ეხმარებიან, სუნიტი მეამბოხეები დაამარცხა. თუმცა, დიდი ბრიტანეთის დაზვერვის ყოფილი ოფიცერის ალასთარ კრუკი „ობსერვერთან“ საუბრისას აღნიშნავს, რომ ქუსეირის შემთხვევა, იმაზე რთულია, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს.

ლიბანელ შიიტთა დაჯგუფება „ჰეზბოლა“ პოლიტიკურ და შეიარაღებულ ფრთას აერთიანებს. 1980-იანი წლების პირველ ნახევარში, შიიტებით დასახლებული ბიქაას მუჰაფაზაში, ისრაელის ლიბანში შეჭრის საპასუხოდ ჩამოყალიბდა. ტერორისტულ ორგანიზაციად აღიარებულია ისრაელისა და მისი მოკავშირის, აშშ-ს, ასევე კანადის მიერ. მხოლოდ შეიარაღებული ფრთა ტერორისტულ დაჯგუფებად მიჩნეულია ევროკავშირში, გაერთიანებულ სამეფოში, ავსტრალიასა და ეგვიპტეში.

გ. მ.

## კროსვორდი ბ



**შვეულად**: 1. სამართლის რომელიმე დარგის კანონთა კრებული; 2. მთვარიანი ღამე; 3. ზოდიაქოს ნიშანი; 4. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი სომხეთში; 7. განმარტებითი ხასიათის შენიშვნა; 8. სავარჯიშო, ერთადგილიანი, ნიჩბიანი სპორტული ნავი; 12. ლონდონის გარეუბანი, სადაც განთავსებულია ცნობილი ობსერვატორია; 14. აეროპორტი ამსტერდამში; 16. ბეჭდვითი გამოცემა იუმორისტული ნახატების სერიალი ტექსტთან ერთად; 17. შენობის სახურავად გამოყენებული თიხის გამომწვარი ფირფიტა; 19. ოფიციალური დოკუმენტი; 20. ატმოსფერული წნევის საზომი ერთეული.

**თარაზულად**: 5. ცნობილი ქართველი მეან-გინეკოლოგი, აკადემიკოსი; 6. ბრიტანეთის საპატიო რაინდის ტიტულის მფლობელი კინორეჟისორი; 9. შენიშვნა, განმარტება ტექსტში; 10. პამიდორით და ბადრიჯნით მომზადებული ცხვრის წვნიანი კერძი; 11. სამეცნიერო ქალაქი რუსეთში; 13. ცხელი შაქრიანი წყლით შეზავებული რომი ან არაყი; 15. ბალნეოლოგიური კურორტი გურჯაანის რაიონში; 18. ცალკე მცხოვრები ოჯახი სოფლად; 21. ლექციის, მოხსენების მოკლე ჩანაწერი; 22. ქალაქი იმერეთში; 23. ძილის ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

### კროსვორდი ა

**შვეულად**: 1. სადროშო; 2. ტრევი; 3. ინტერესი; 4. ჰერეთი; 5. „შახნამე“; 6. „ფიპრესი“; 11. კბოდე; 13. ტრამვაი; 14. დრაგომანი; 15. კვირინალე; 17. სკვერი; 18. არაგვი; 19. პოლო.

**თარაზულად**: 7. „ბაიერი“; 8. ინტენდანტი; 9. დრაივი; 10. პელეტონი; 12. კონტრაბასი; 14. დრეიკი; 16. ასკარიდა; 18. ანაკოფია; 20. კანოე; 21. ლია; 22. ტერაკოტა; 23. ირაო; 24. მოდილიანი.

### კროსვორდი ბ

**შვეულად**: 1. ლოტბარი; 2. კაბუკი; 3. ლოკოკინა; 4. ჯანელიძე; 7. ტაქსოფონი; 8. „ზედაზენი“; 12. ჰონორარი; 14. დანსინგი; 16. სილეზია; 17. კონდორი; 19. დუმა; 20. კიტო.

**თარაზულად**: 5. კონდიცია; 6. აპოსტასია; 9. ხარება; 10. კლიჩკო; 11. მდადი; 13. ცონგა; 15. ფადიკო; 18. სინჯი; 21. ინანთეული; 22. ზოდიაქო; 23. ხატწერა.

# ბრძოლები ეგვიპტეში კურორტების მიმართულებით ინაცვლებს



ქვეყნის ხელისუფლება ახალ კონსტიტუციას ამზადებს. ეგვიპტეში მუშაობა დაიწყო ექსპერტთა საბჭომ, რომელმაც უნდა მოამზადოს ძირითადი კანონის ახალი პროექტი, კონსტიტუციის ნაცვლად, რომელიც ექს-პრეზიდენტის მუჰამედ მურსის მიერ იყო მიღებული. ეს უნდა იყოს პოლიტიკური რეფორმის საკვანძო ეტაპი, რადგანაც ეროვნული შერიგების შანსები, სულ უფრო მცირდება.

დაპირისპირების ეპიცენტრი რეგიონებში გადადის, სადაც პოპულარული საკურორტო ქალაქებია.

ადგილობრივი მედიის ინფორმაციით, ბოლო დროს ერაყში ყოველდღიურად 30-ზე მეტი ადამიანი იღუპება. ივლისის დსაწყისიდან კი უკვე დაღუპულია 370 ერაყელი. 2013 წლის დასაწყისიდან კი ერაყში დაღუპულთა რაოდენობა 2 600 ადამიანს უდრის.

# სირიაში პოლონელი ფოტოგრაფი გაიტაცეს

„ვირტუალნა პოლსკას“ ინფორმაციით, 24 ივლისს სირიაში პოლონელი ფოტორეპორტიორი მარცინ სუდერი გაიტაცეს.

პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სპეცილაური ჯგუფის შექმნის ბრძანება გასცა, რომელიც მომხდარს გამოიძიებს და ფოტოგრაფის ძებნას შეუდგება. ჯგუფში ის პოლონელი დიპლომატები შევიდნენ, რომლებიც ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში მუშაობენ.

ქვეყნის დიპლომატიური უწყების ცნობით, ვითარებას ის ართულებს, რომ სუდერს სირიაში წასვლის შესახებ სახელმწიფოსათვის არ უცნობებია. პოლონეთის ხელისუფლება, ორი წლის განმავლობაში საკუთარ მოქალაქეებს სირიაში წასვლისაგან თავის შეკავებისაკენ მოუწოდებს.



„როიტერის“ ცნობით, სუდერი ისალმისტმა შეიარაღებულმა მებრძოლებმა გაიტაცეს. სუდერი ქვეყანაში პოლონურ ფოტოსააგენტო შტუდიო ელონ-ის დავალებით ჩავიდა.

დღეისათვის სირია ჟურნალისტებისათვის ყველაზე სახიფათო ქვეყნად ითვლება. 2012 წელს ამ ქვეყანაში 39 ჟურნალისტი მოკლეს და 21 გაიტაცეს. ამასთან, ჟურნალისტებზე თავდასხმას სამთავრობო ძალების გარდა, მეამბოხეებიც ახორციელებენ.

სირიაში კონფლიქტი 2011 წელს დაიწყო, რასაც 100.000 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა.

შეგახსენებთ, რომ შტაბების ხელმძღვანელების გაერთიანებული კომიტეტის თავმჯდომარემ გენერალმა მარტინ დემპსიმ აშშ-ს მიერ სირიის ომში ჩართვის სცენარზე ისაუბრა, შეაფასა და ის და მისი პლიუსები და მინუსები გამოყო. ინფორმაციას ამის შესახებ „ბი-ბი-სი“ ავრცელებს.

გენერალი სენატორებისადმი გაგზავნილ წერილში წერს, რომ ამგვარი სცენარით მოვლენების განვითარება ომსა და მრავალმილიარდიანი ხარჯების მანიშნებელი იქნება. დემპსის მონაცემებით, აშშ-ს აქვს სირიაში აქტიური მოქმედების შემდეგი ვარიანტები:

ამბოხებულების სწავლება, შეიარაღება და სხვა მხარდაჭერა. შეზღუდული ავიადარტყმები.

არასაფრენი ზონის შემოღება. ქვეყანაში ბიფერული ზონების შექმნა. სირიის ქიმიურ იარაღზე კონტროლის დამყარება.

დემპსის თქმით, ზემოთჩამოთვლილთაგან პირველი ვარიანტი დაახლოებით წელიწადში 500 მილიონი აშშ დოლარის ხარჯებს მოითხოვს. სხვა ვარიანტები კი თითო, ერთ მილიარდს წელიწადში.

აღსანიშნავია, რომ ვაშინგტონი ჯერ ჯერობით უარს აცხადებს სირიის სამხედრო კონფლიქტში ჩარევის სავარაუდო განხილვაზეც კი.

„ყველა ჩვენგანი სრული სერიოზულობით ეკიდება ძალის გამოყენების შესაძლებლობას და ეს კი სხვა არაფერია თუ არა ომი“, – წერს დემპსი და აღნიშნავს, რომ აშშ-მ ავღანეთსა და ერაყში დაგროვილი გამოცდილება უნდა გაითვალისწინოს.

# ესპანეთში სარკინიგზო კატასტროფამ 77 ადამიანი იმსხვერპლა



ესპანეთში წუხელ მომხდარ სარკინიგზო კატასტროფას, სულ ცოტა 77 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა; 143-მა ადამიანმა სხეულის სხვადასხვა სიმძიმის დაზიანება მიიღო, რომელთა შორის 30-ზე მეტი კრიტიკულ მდგომარეობაში იმყოფება.

„ბი-ბი-სის“ ცნობით, უბედური შემთხვევა ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთით, ქალაქ სანტიაგო-დე-კომპოსტელას სიახლოვეს მოხდა. მატარებელი მადრიდიდან გალისიის პროვინციაში, ფეროლში მიემგზავრებოდა. ეს ესპანეთში ბოლო 40 წლის განმავლობაში მომხდარი ყველაზე სერიოზული სარკინიგზო ავარიაა.

როგორც გალისიის მთავრობის ხელმძღვანელმა ადგილობრივი რადიოსათვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, კატასტროფის მიზეზებზე საუბარი ჯერ-ჯერობით ნაადრევია. ხელისუფლება მოსახლეობას დაზარალებულთა დასახმარებლად სისხლის ჩაბარებისკენ მოუწოდებს. ერთ-ერთი ვერსიის მიხედვით კატასტროფა გამოწვეულია სიჩქარის გადაჭარბებით. იქ, სადაც ტრაგედია მოხდა, მკვეთრი მოსახვევის გამო მაქსიმალური სიჩქარე შეზღუდულია 80 კმ/საათამდე. მიუხედავად, ამისა, მატარებელი ავითარებდა 180 კმ/საათ სიჩქარეს. სარკინიგზო კომპანიაში აცხადებენ, რომ მატერებელში 218 მგზავრი იმყოფებოდა.

# პუტინი აზერბაიჯანში ჩადის



კრემლმა ცოტა ხნის წინ ოფიციალურად დაადასტურა, რომე რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი ოფიციალური ვიზიტით აზერბაიჯანს ეწვევა.

აღნიშნულის შესახებ პრეზიდენტის პრესსამსახურის უფროსმა ვლადიმერ პესკოვმა განაცხადა. სააგენტო „აპას“ ცნობით, ვიზიტის ზუსტი თარილი უახლოეს პერიოდში გახდება ცნობილი.

უკვე ცნობილია, რომ აგვისტოში აზერბაიჯანს თურქეთის პრეზიდენტი აბდულა გიული ეწვევა.

„ვესტიაზთან“ ინტერვიუში პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, საერთაშორისო ევრაზიული მოძრაობის ლიდერი ალექსანდრე დუგინი პუტინის ბაქოში ვიზიტთან დაკავშირებით შემდეგ ანალიზს აკეთებს:

– ამჟამად, რუსეთ-აზერბაიჯანის ურთიერთობებში რთული პერიოდია და იგი უფრო მეტ ყურადღებას მოითხოვს. ვფიქრობ, არსებულ სიტუაციაში აზერბაიჯანის პოზიცია გარკვეულწილად შეიცვლება, რამდენადაც რეგიონში ძალთა გადანაწილების კონტექსტი იცვლება. ჩვენ ვხედავთ, როგორ ჩავარდა ყველგან პროამერიკული პოლიტიკა: ეგვიპტისა და თურქეთის მოვლენები აჩვენებს, რომ აშშ და მისი მოკავშირეები – საუდის არაბეთი და ყატარი, პოლიტიკური პროცესების ორგანიზებას საერთოდ ვერ ართმევენ თავს. ამავდროულად, რაც უფრო დიდხანს რჩება სირიის პრეზიდენტად ბაშარ ასადი, მით უფრო მეტად ვარდება ამერიკის როლი რეგიონში და სულ უფრო მეტი ადამიანი ხვდება, რომ აშშ-ის დახმარებას მხოლოდ დაშლამდე მივყავართ. აი, მაგალითად, საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ფსონი აშშ-ზე გააკეთა და საკუთარი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა დაკარგა. თურქეთის პრემიერ-მინისტრმა ასევე ფსონი აშშ-ზე გააკეთა და სახალხო მღელვარება მიიღო. ეგვიპტის პრეზიდენტმა მურსიმ ასევე აშშ-ზე გააკეთა ფსონი და ასადის წინააღმდეგ გამოვიდა, შედეგად კი იგი გადააყენეს. ამიტომ სრულიად, გასაგებია, რომ აშშ რეგიონში პოლიტიკას სულაც არ განსაზღვრავს. თურქეთსაც კი, რომელიც ბოლო წლების მანძილზე თავის ზესახელმწიფოდ წარმოჩენას ცდილობდა, ყველა პოლიტიკური წამოწყება ჩაუვარდა. თურქეთი დღეს არაფერს წარმოადგენს. ქვეყნის შიგნიდან იგი ერდოღანის საწინააღმდეგო რევოლუციამ შეარყია, მისი შეტევა სირიაზე ჩავარდა, ქვეყნის სამხრეთ რეგიონებში კი აჯანყება მიმდინარეობს. მორჩა, თურქეთი მწყობრიდან გარკვეული დროით გამოვიდა.

ახლა ბაქოს თავად ცხოვრება უჩვენებს, რომ კიდევ ერთი მოლაპარაკებები ამერიკასთან, კიდევ ერთი მცდელობა როგორღაც დაუახლოვდეს დასავლეთს და ეს სიტუაცია აზერბაიჯანზეც გავრცელდება. ვფიქრობ, რომ პუტინს ალიევთან სერიოზული საუბარი მოუწევს, რადგან სიტუაცია უნდა გაირკვეს. თუ ალიევს სურს, ბედკრული პროამერიკული რეჟიმების გზით წავიდეს, სააკაშვილის, მურსის და ერდოღანის მსგავსად, მაშინ ეს მოსკოვს არ აწყობს. სხვათაშორის, იგივე შეიძლება, ითქვას სომხებზეც: თუ ერევანს დასავლეთთან ლაქუცი სურს, მაშინ ჩვენ სხვანაირად საუბარიც შეგვიძლია.

იმის ფონზე, რომ ამერიკულმა პოლიტიკამ რეგიონში კრახი განიცადა და ირანში პრეზიდენტი შეიცვალა, რუსეთ-აზერბაიჯანის ურთიერთობებში ტონი უნდა შეიცვალოს. ბაქომ უნდა გაიგოს, რომ აზერბაიჯანის ტერიტორიული მთლიანობის გარანტი არა აშშ და თურქეთი, არამედ სწორედ რუსეთია. თუ რუსეთი ამ ურთიერთობებში საკუთარ პოლიტიკას შეცვლის, ამან შესაძლოა, აზერბაიჯანის ტერიტორიული მთლიანობის ისტორიას წერტილი დაუსვას. ამიტომ ვფიქრობ, რომ პუტინი უბრალოდ „მომწიფდა“ სერიოზული საუბრისთვის ალიევთან, რომელმაც არჩევანი უნდა გააკეთოს: ვისთან და როგორ დაამყაროს სამომავლო თანამშრომლობა. ამასთან, უნდა გავითვალისწინოთ, რომ რუსეთი აზერბაიჯანის მიმართ დიდი სიმპათიითაა განწყობილი, ჩვენ გვჭირდება ის როგორც მეგობრული და მოკავშირე სახელმწიფო. ვფიქრობ, რომ ახლა მოსკოვმა, ბაქომ, ერევანმა და თეირანმა ყარაბაღის კონფლიქტზე ერთად უნდა იმუშაონ, აშშ-სა და ევროკავშირის მონაწილეობის გარეშე.

პუტინი ბაქოში მიდის მეგობართან, შეიძლება, ითქვას ძმასთან, რეგიონში არსებული ახალი ვითარების პირობებში! როგორ დაელაპარაკება პუტინი ბაქოს? ის იტყვის: ამერიკელები და ევროპელები „პაშლი ვონ!“, არანაირი ნატო და ევროკავშირი! ჩვენ თავად დავსხდებით, დავილაპარაკებთ და პრობლემას გადავწყვეტთ. ის აზერბაიჯანში ნამდვილად ახალი გარემობების პირობებში ჩადის! ბოლო პერიოდში რეგიონში გლობალური გეოპოლიტიკური ცვლილებები მოხდა და ის, რაც ადრე სურვილი იყო, ახლა ფაქტორად იქცევა.

ბევრი ჩემი კოლეგა, რომელიც ბაქოდან ბრუნდება, ამბობს, რომ აზერბაიჯანელი ექსპერტები ინტერესდებიან, რამდენად შეესაბამება დუგინის პოზიცია კრემლისას? მინდა, ვთქვა, რომ უკეთესია, ყურადღება იმაზე გაამახვილონ, რამდენად შეესაბამება ჩემი ანალიზი იმას, რაც შემდეგ რუსულ პოლიტიკასა და რეგიონში ხდება. ასე, რომ, მე ვთვლი, რუსეთ-აზერბაიჯანის ურთიერთობებში ახალი ფურცელი იშლება, რომელიც აზებაიჯანისთვის სასტარტო იქნება, თუმცა მკაცრი პირობით: დაივიწყონ ისეთი სიტყვები, როგორიცაა „აშშ“ და „დასავლეთი“. საუბარში ამერიკა ფრჩხილებს გარეთ უნდა გავიტანოთ.

# ამერიკა სატელეფონო მოსმენებზე უარს არ ამბობს

ამერიკის კონგრესის წარმომადგენელთა პალატამ კანონპროექტი უარყო, რომელიც ამერიკის სპეცსამსახურების იმ პროგრამის შეზღუდვას გულისხმობს, რომელიც სატელეფონო მოსმენებს ახორციელებს.

კანონპროექტის სასარგებლოდ, რომელიც ამერიკის ეროვნული უსაფრთხოების სააგენტოს საქმიანობას ზღუდავას, 217-მა კონგრესმენმა მისცა ხმა, წინააღმდეგი კი 317 კანონმდებელი გამოვიდა.

ამერიკის პრეზიდენტის ადმინისტრაციამ ადრე კონგრესს მოუწოდა მხარი არ დაეჭირა ამ შესწორებისათვის. ბარაკ ობამას პრესმდივნის ჯეი კარნეის განცხადებით, ამ პროგრამის შეზღუდვით ამერიკის დაზვერვა „ტერორიზმის წინააღმდეგ ეფექტურ ბრძოლას ვეღარ შეძლებს.“

პრეზიდენტის ობამას განცხადებით კი, არაფერია უცნაური იმაში, რომ სადაზვერვო სამსახური სხვა ქვეყნების შესახებ ინფორმაციას აგროვებს. ასეთი განცხადება ობამამ ევროპაში აშშ სპეცსამსახურების მიერ ევროკავშირის პოლიტიკოსებისა და სხვადასხვა ოფისის მოსმენების გარშემო აგორებული სკანდალის კომენტირებისას გააკეთა. პრეზიდენტის განცხადებას „ბი-ბი-სი“ ავრცელებს.

„უნდა ვაღიაროთ, რომ განსაკუთრებული ასეთ საქმიანობაში არაფერია. ყველა დაზვერვა იქნება ეს ჩვენი, ევროპული, აზიური თუ სხვა ცდილობს, უკეთ იყოს ინფორმირებული მსოფლიოში მიმდინარე პროცესების შესახებ. ამ სამსახურებს, დარწმუნებული ვარ, აინტერესებს არა მარტო ის, მათი ქვეყნების ლიდერებთან შეხვედრისას რა თემებზე ვაპირებ საუბარს, არამედ ისიც კი თუ რას მივირთმევ საუზმისას“, – განაცხადა ბარაკ ობამამ.

აღნიშნული კანონმდებლობის წარმოდგენა წარმომადგენელთა პალატის წევრ რესპულიკელ ჯასტინ ემეშს ეკუთვნის. შეგახსენებთ, რომ ამერიკის ეროვნული უსაფრთხოების სააგენტოს ამ საიდუმლო პროგრამის შესახებ ცენტრალური სადაზვერო სააგენტოს ყოფილი თანამშრომლის ედვარდ სნოუდენისაგან გახდა ცნობილი. სნოუდენი ამ დროისათვის მოსკოვში, შერემეტიევოს აეროპორტის სანტრანზიტო ზონაში იმყოფება და რუსეთისაგან ოფიციალურ დოკუმენტებს ელოდება, რათა ეს ქვეყანა დატოვოს. სნოუდენი პოლიტიკური თავშესაფრის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილებას რუსეთისა და კიდევ რამდენიმე ქვეყნისაგან ელის.

*მოამზადა გერა მამულაშვილმა*

# სამგლოვიარო განცხადებები

და მაია სხირტლაძე, სიძე ბესიკ გოფოძე, დისშვილები გიორგი, ერეკლე გოფოძეები, ახლო ნათესავები და მეგობრები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**დავით (დათო) სხირტლაძე**

პანაშვიდი: 25 და 26 ივლისს, 17 საათზე.

დაკრძალვა: 27 ივლისს, შაბათს, 14 საათზე.

მისამართი: ცინცაძის 57 (ყოფილი საბურთალოს 46, პირველი სადარბაზო, ეკლესიის გვერდით).

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12–დან 17 საათამდე.**

# TV პროგრამა

** პარასკევი 26 ივლისი**

**07.30** "ჩვენი დილა" (პ/ე) **08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **11.00** "სამოთხის ვაშლები" (პ/ე) **12.35** "პირადი ექიმი" – მარი მალაზონია (პ/ე) **13.30** "დღეს ორის ნახევარზე" (პ/ე) **15.00** ან/სერ. "ტარატაბონგი" **15.05** ტ/სერ "**ჭორიკანა**" **17.00** "საუკუნის პორტრეტები" **17.30** "ეთნოგრაფიული ჩანახატები" **18.00** დ/ფ "ისტორიის შექმნა" **19.05** ტ/სერ "**მაგდა ემი**" **21.00** ტ/სერ "**ნიკიტა**" **22.00** "ქართული დოკუმენტალისტიკა" **23.00** "საფეხბურთო დღიური" **23.30** "წითელი ზონა" **00.30** მხ/ფ "**ფრენსისი**" (ტიტ) (ჯ.ლენგი) **03.00** "დღეს ორის ნახევარზე"

**08.00, 10.00, 21.00** "ბრიფინგის დრო" **09.00, 19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **10.30** "არგუმენტების დრო" (ხუთშ. გ/ჩვ) **12.00** საქართველოს პარლამენტის სხდომის ტრანსლაცია (პ/ტ) **20.00** "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე)

**07.30** იმედის დილა **09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00** ქრონიკა **09.10** იმედის დილა (გაგრძელება) **10.00** სერ. "**დაუვიწყარი**" **11.20** სერ. "**მაფიის ქვრივი**" **12.30** იმედის დღე (პ/ე) **14.40** იმედის გმირები (გ/ჩ) **15.15** რომ გადახვალ" გააჩერე (გ/ჩ) **16.00** სერ. "**დამალული სიმართლე**" **17.50** სერ. "**მაგნატები**" **18.50** სერ. "**აკრძალული სიყვარული**" **21.00** სერ."**დაბრუნება**" **22.00** იურმალა **2013 00.45** მხ/ფ. "**25-ე საათი**" (პ.ს.ჰოფმანი)

**07.30** დილამშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. "**სიყვარული მშვენიერია**" **11.00** სერ. **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **15.30** ეკი ვოკი (გ/ჩ) **17.00** სერ. "**ნამდვილი გრძნობა**" **18.45** სერ. "**ცრემლების გვირგვინი**" **20.05** სერ "**ერთგულების ძალა**" **20.50** ეროვნული ლატარეა **01.00** მხ/ფ **03.00** კურიერი დაიჯესტი

**06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** დოკ/ფ "დები ტრევისის საოცარი სახლი" **06.40** მხ/ფ "**ელენე, ტროას დედოფალი**" II ნაწ. **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.00, 18.05, 21.20** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.05, 18.55, 00.25** ისტორიის დღიური **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35** დოკ/ფ "წმინდა ათონელი მამები" **11.15** ისტორიის გაკვეთილი **11.45** ქრისტიანული სწავლება **12.05** ამინდი **12.10** მხ/ფ "**გაზაფხული გადის**" **13.30** "შუადღე" ერთსულოვნებაზე **14.45** ფოტოგალერეა **14.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **15.05** განთიადის სტუმარი **15.30** დეკორატიული ფლორა **15.45** საუბრები ლიტერატურაზე **16.15** ძველი ჰანგები **16.50** კვირიაკე **18.10** ტელეზღაპარი **18.35** ფოტოგალერეა **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ/ფ "**განაჩენი**" **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.20** ლექსით ქებათა ქება **21.30** მოგზაურობა სამშობლოში **22.25** ქრისტიანული ხელოვნება **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** სათავეებთან **00.35** განთიადის სტუმარი **01.00** "შუადღე" ერთსულოვნებაზე(გამ.) **02.15** ნიამორი

მაესტრო **7.00** ახალი ამბები კოლაჟი **7.30** მულტფილმები **8.20, 9.15** მაგთიფანი. **9.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 0.00, 1.00, 3.00** ახალი ამბები **10.00** მაღვიძარა (კოლაჟი) **11.00, 15.30** ფარული კამერა **12.30, 22.20, 3.30** თოქ–შოუ - "პოლიტმეტრი" **14.40, 22.00, 0.30, 2.30, 5.30** "ყოველდღიური აბები" **11.00, 15.30** ფარული კამერა **16.00** **სერიალი "შტორმი"** **18.05, 1.30, 6.00** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" **19.00** **სერიალი "1001 ღამე"**

tv9 **8.00, 9.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 21.00, 0.00** ახალი **8.05, 9.05, 10.05** ახალი დილა **11.05, 20.00** **სერიალი "ტკბილი შხამი"** **12.30, 17.30** როგორ შევხვდი დედაშენს **13.10, 14.30, 5.00** ცხელი შუადღე **15.30** დიდი დრო (გამ) **16.10, 17.10, 7.00** დოკ/ფ **18.00** ღია თამაში **22.00** BBC სერიალი. **23.30** სტერეოტიპი. **0.20, 3.50** მხ/ფ **1.50** ღია თამაში გამ

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**26 ივლისი**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1,6565 |
| ევრო | 2,1929 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 2,5436 |
| 100 რუსული რუბლი | 5,1212 |

## ამინდის პროგნოზი 26 ივლისისთვის




# შეაჩერეთ მშენებლობა „მხატვრის სახლთან!“



ეკა ირემაშვილი

მხატვრის სახლის ადგილზე მიმდინარე მშენებლობის შესაჩერებლად საპროტესტო აქცია რუსთაველის გამზირზე გაიმართა. მისი ორგანიზატორი „ტფილისის ჰამქარი“ იყო. საპროტესტო აქცია ორგანიზატორებმა პარლამენტის ყოფილი შენობის წინ გამართეს და მათ რუსთაველის გამზირზე მიმდინარე მშენებლობა ასამდე ადამიანთან ერთად გააპროტესტეს.

– რუსთაველის გამზირზე მიმდინარე მშენებლობა უნდა შეჩერდეს! შენობის ფასადი შეუფერებელია რუსთაველის გამზირის არქიტექტურისთვის. კ1 კოეფიციენტი, რომელიც შენობის ფართს –

გაგრძელება მე-10 გვერდზე

# ასტროპროგნოზი 26 ივლისისთვის

**ყველამ გაითვალისწინეთ!**

**წარმატებული დღეა**

**ვერძი** — ბედი გწყალობთ. ყველა საქმე გამოგდით. **კურო** — იაქტიურეთ. დღეს თქვენი დღეა. **ტყუპები** — პლანეტები დიდ გამარჯვებას გიწინასწარმეტყველებენ. **კირჩხიბი** — არ იზარმაცოთ. დაწყებული საქმე ბოლომდე მიიყვანეთ. **ლომი** — იყავით ოპტიმისტი. წარმატება თქვენია. **ქალწული** — ნუ გადაიღლებით. მხოლოდ აუცილებელი საქმე აკეთეთ. **სასწორი** — დაისვენეთ და გაერთეთ. თქვენ ეს დაიმსახურეთ. **ღრიანკალი** — წარმატება გელით საქმიანი მოლაპარაკებებისას. **მშვილდოსანი** — ნებისმიერი საქმე მშვენივრად გამოგდით. პლანეტები გმფარველობენ. **თხის რქა** — თამამად იმოქმედეთ. ფორტუნა გიღიმით. **მერწყული** — იყავით გულწრფელი პარტნიორთან ურთიერთობისას. **თევზები** — ნოვატორული იდეები გაამართლებს. ახალი საქმის დასაწყებად კარგი პერიოდია.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი ა

**შვეულად**: 1. ობობას ძველი ქართული სახელწოდება; 2. კათოლიკური ეკლესიის მღვდელი ბელგიასა და საფრანგეთში; 3. შექსპირის ნაწარმოებთა ქართულად მთარგმნელი; 4. ზანგისა და თეთრკანიანის ქორწინების შთამომავალი; 5. სხეულის წონასწორობის პირობების შემსწავლელი მექანიკის ნაწილი; 6. რაჭა-ლეჩხუმის ძველი სახელწოდება; 11. ირმისებრთა ოჯახის ცხოველი; 13. ზამთრის თვე; 14. ამერიკული საავტომობილო კონცერნი; 15. ძველებური რუსული ოქროს ფული; 17. მდინარე სამხრეთ ამერიკაში; 18. ცნობილი ბერძენი საოპერო მომღერალი ქალი; 19. ლატვიის დედაქალაქი.

**თარაზულად**: 7. ფრანგული საიუველირო ფირმა; 8. ყალბი, საეჭვო დებულების მტკიცება სხვადასხვა ხრიკებით; 9. ამერიკული ჯიპი; 10. ზღვრული გარე მოხაზულობა; 12. დასავლეთ საქართველოში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის ქართული, სუფრის ჯიში; 14. დაბალი დგომა თხილამურებით სრიალისას; 16. გრძელბეწვიანი მონაწილე ძაღლის ჯიში; 18. დაქირავებული ტაჯის დამკვრელი კონცერტზე, წარმოდგენაზე; 20. ქართველ მეთევზეთა ძველებური შრომის სიმღერა; 21. ხელზე მოსამსახურე ბიჭი; 22. კუნძულოვანი სახელმწიფო სპარსეთის ყურეში; 23. აზრი, ჩანაფიქრი, განზრახვა; 24. ესპანელი აზნაური.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*




# ჯორჯ ბუშმა სოლიდარობის ნიშნად თავი გადაიპარსა




ჯორჯ ბუშ უფროსმა თავი გადაიპარსა. ამის შესახებ, ამერიკული მედია იუწყება.

გავრცელებული ინფორმაციით, უფროსი ბუში ამ ჟესტით კიბოთი დაავადებულ ბავშვებს სოლიდარობას უცხადებს.

ტელეკომპანია „სი-ენ-ენის“ ინფორმაციით, უფროსი ბუშის გარდა, თავი, ამერიკის ექს-პრეზიდენტის დაცვის წევრებმაც გადაიპარსეს, როგორც ირკვევა ერთ-ერთი დაცვის წევრის ორი წლის შვილი კიბოთი დაავადდა და 89 წლის ექსპრეზიდენტმა გადაწყვიტა თავისი თანამშრომელი გაემხნევებინა.

ამას გარდა, ორი წლის ბიჭის მკურნალობისთვის უკვე შექმნილია სპეციალური ფონდი. ამერიკული მედიის ცნობით, უფროსმა ბუშმა ფონდში უკვე „გარკვეული თანხა“ გადარიცხა.

ჯორჯ ჰერბერტ უოლკერ ბუში აშშ-ს რიგით 41-ე პრეზიდენტი იყო 1989-1993 წლებში რესპუბლიკური პარტიიდან. რონალდ რეიგანის პრეზიდენტობის დროს 1981-1989 წლებში აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტი იყო.

ბუში მასაჩუსეთსში დაიბადა. მისი მამა პრესკოტ ბუში ბანკირი და სენატორი იყო კონექტიკუტიდან. 1941 წელს პერლ-ჰარბორზე თავდასხმის შემდეგ ბუშმა კოლეჯში სასწავლებლად წასვლა გადადო და, 18 წლის ასაკში, აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ფლოტის იმ დროისთვის ყველაზე ახალგაზრდა ავიატორი გახდა. მეორე მსოფლიო ომში, მან 58 საბრძოლო მისია განახორციელა. ერთ-ერთ მისიაზე, წყნარ ოკეანეზე გადაფრენისას, ბუში იაპონიის ჰაერსაწინააღმდეგო ძალებმა ჩამოაგდეს, ის აშშ-ის წყალქვეშა ნავმა იხსნა. ბუში ბრძოლაში გამოჩენილი სიმამაცისთვის დააჯილდოვეს. იგი ჯარში ომის დასრულებამდე მსახურობდა. ამის შემდეგ ის იელის უნივერსიტეტში სწავლობდა. უნივერსიტეტში მან თავი სპორტში გამოიჩინა: კალათბურთის გუნდის კაპიტანი გახდა. 1945 წელს დაქორწინდა ბარბარა პირსზე, რომელთანაც 6 შვილი ეყოლა: ჯორჯი, რობინი, ჯონი ნილი, მარვინი და დოროთი. 1948 წელს ბუში თავის ოჯახით ტეხასში გადავიდა და ნავთობის ბიზნესში ჩაება. 40 წლის ასაკში იგი უკვე მილიონერი იყო.

ბუში პოლიტიკაში საკუთარი ნავთობკომპანიის დაარსებიდან მალე ჩაება. იგი ორი ვადის განმავლობაში იყო ტეხასის წარმომადგენელი წარმომადგენელთა პალატაში. ასევე დიპლომატიურ თანამდებობებზე და ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დირექტორად მუშაობდა. 1980 წელს მან წარუმატებლად სცადა პრეზიდენტის ნომინაციის მოპოვება, მაგრამ რესპუბლიკურ პრაიმერებში გამარჯვებულმა რონალდ რეიგანმა იგი ვიცე-პრეზიდენტობის კანდიდატად დაასახელა.

1988 წელს ბუში რეიგანის მემკვიდრედ აირჩიეს პრეზიდენტის პოსტზე. მან არჩევნებში მასაჩუსეთსის გუბერნატორი მაიკლ დუკაკისი დაამარცხა. მისი პრეზიდენტობისას ბერლინის კედელი დაეცა, ხოლო ვარშავის პაქტი და საბჭოთა კავშირი დაიშალა. ასევე იგისამხედრო შეჭრას პანამაში და სპარსეთის ყურის ომს ხელმძღვანელობდა.

სამხედრო ტრიუმფის მიუხედავად, შიდა საკითხებში წინასაარჩევნო დაპირებების ღალატმა და გადასახადების გაზრდამ რესპუბლიკელ ამომრჩევლებში მისი პოპულარულობის დაცემა გამოიწვია. ეკონომიკური პრობლემების ფონზე იგი 1992 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში დემოკრატმა ბილ კლინტონმადაამარცხა.

იგი აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტის ჯორჯ უოლკერ ბუშის და ფლორიდის ყოფილი გუბერნატორის ჯებ ბუშის მამაა.

გ. მ.

# უნიკალური აღმოჩენა „დედოფლის გორაზე“

ეკა ირემაშვილი

საქართველოში უნიკალური აღმოჩენა გაკეთდა. საქართველოს ეროვნული მუზეუმის და ვენეციის კა-ფოსკარის უნივერსიტეტის საერთაშორისო არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ქარელის რაიონში, „დედოფლის გორის“ შესწავლისას აღმოაჩინა ძველი წელთაღრიცხვის I ათასწლეულის I ნახევრით დათარიღებული გალავანი და სათავსოები. აგრეთვე, გამოვლინდა ანტიკური ხანის „სასახლის“



საკურთხეველი, მცირე ზომის ქანდაკების პოსტამენტი, ბრინჯაოს თასები და სხვა უნიკალური არქეოლოგიური მასალა.

ბორცვის შესწავლა გასული საუკუნის 80-იან წლებში დაიწყო, ექსპედიციას ხელმძღვანელობდა იულონ გაგოშიძე. ექსპედიციამ ადრეშუასაუკუნეების (IV-VI საუკუნეები) ფენა და ანტიკური ხანის (ძველი წელთაღრიცხვის I – ახალი წელთაღრიცხვის II საუკუნეების) დიდი კომპლექსის „სასახლის“ ნაშთები აღმოაჩინა.

2013 წელს, ერთობლივი პროექტის ფარგლებში, დაიწყო ქარელის რაიონში მდინარეების ფცა და მტკვრის შესართავთან არსებული მრავალფენიანი ბორცვის ფენების შესწავლა სტრატიგრაფიული ჭრილის მეშვეობით.

ჭრილში გამოვლინდა ანტიკური, ადრერკინის, გვიანბრინჯაოს და ადრებრინჯაოს ხანის ფენები. სავარაუდოდ, ადრერკინის ხანის ქვით ნაშენი გალავნის ნაშთები, კერამიკის და ტერაკოტის ფიგურის ფრაგმენტები.

არქეოლოგიურ სამუშაოებში საქართველოს ეროვნული მუზეუმის სპეციალისტებთან ერთად მონაწილეობას იღებენ ივანე ჯავახიშვილის და ილიას უნივერსიტეტის სტუდენტები. საქართველოს მხრიდან ექსპედიციას მინდია ჯალაბაძე ხელმძღვანელობს, იტალიის მხარეს კი – ელენა როვა.

სახელწოდება „დედოფლის გორა“ მისმა რელიეფმა განსაზღვრა. არქეოლოგიურ ობიექტს ბორცვის ფორმა აქვს, რაც მისმა ხანდაზმულობამ განსაზღვრა.

ეროვნული მუზეუმის არქეოლოგიის ცენტრის ხელმძღვანელი არქეოლოგი ზურაბ მახარაძე განმარტავს, რომ:

– „დედოფლის გორა“, როგორც მრავალსაუკუნოვანი დასახლება მრავალ არქეოლოგიურ ფენას შეიცავს. ეს დასახლება ძველი წელთაღრიცხვის IV ათასწლეულიდან ახალი ახალი წელთაღრიც-

გაგრძელება მე-8 გვერდზე

# „სტიაუას“ მენეჯერმა ჟურნალისტ ქალს სცემა

ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე თბილისის „დინამოს“ მეტოქე ბუქარესტის „სტიაუა“ მაკედონიაში იმყოფებოდა, საიდანაც დიდი სკანდალით მოუწიათ დაბრუნება. „ვარდართან“ გასამართი მატჩის წინ „სტიაუას“ მენეჯერი მიჰაი სტოიკა და მისი დაცვის თანამშრომელი ჟურნალისტ ალექსანდრა ტანასესკუსთვის სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფისთვის ჯერ პოლიციამ დააკავა და 400 ევროთი დააჯარიმა.




ჟურნალისტი სტოიკას უჩივის და არსებობს დიდი შანსი, რომ უეფამ მასაც და კლუბსაც სანქციები დააკისროს.

ჩვენი დაზარალებული კოლეგა აცხადებს:

– მიჰაი სტოიკამ ისეთი შეურაცხყოფა მომაყენა, რომ ამ სიტყვებს პირდაპირ ეთერში კი არა, არსად არ გავიმეორებ. მსგავსი ჩემთვის არავის არაფერი უთქვამს და იძულებული ვიყავი, პოლიციისთვის მეხმო.

როგორც ცნობილია, სტოიკამ ჟურნალისტს ვარჯიშის დატოვება დასაშვებ დროზე ხუთი წუთით ადრე სთხოვა, მაგრამ ტანასესკუსგან უარი მიიღო, რის გამოც „სტიაუას“ მენეჯერი გაცოფდა და სიტყვიერ-ფიზიკური შეურაცხყოფაც მიაყენა.

მოგვიანებით სტოიკა მიხვდა დანაშაულს და ბოდიში მოიხადა – მაპატიეთ, იმ მომენტში ვერ გავაანალიზე, რა ჩავიდინეო, თუმცა, თამამად შეიძლება იმის თქმა, რომ ის მხოლოდ 400 ევროთი ვერ გამოძვრება.

მ. ჟ.

ლურჯი წითელი ყვითელი შავი